ეროვნული
ბიბლიოთეკა

№128
(12 198)

2 ივნისი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ევრო 2008. B ჯგუფი. დღეს. **ლიტვა-საქართველო.** 22:00 რუსთავი 2-ზე

კლაუს ტოპმიოლერი:

საიდუმლო იარაღს გამოვიყენებთ

EURO2008
Austria-Switzerland

თავდასხმა გარკვეულია. დანარჩენი?

კლაუსმა ნაკრებში 17 წლის მეკარე მაკარიძე გამოიძახა

პაატა თოთაძე
კაუნასიდან

გუშინ კაუნასში. საქართველოს ნაკრების მატჩისწინა ბოლო ვარჯიში

ფრანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, კაუნასში მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს ჩამოვედი. ჩვენი ნაკრების ამბები გავიკითხე და გავარკვიე, რომ გუნდი საღამოს 4-5 საათზე უნდა ჩამოფრენილიყო. ჩემს განკარგულებაში 3-4 საათია. ამ დროს ქალაქის დასათვალიერებლად გამოვიყენებ-მეთქი, გაფიქრე და... ერთ-ერთ კაფეში აქ მოთამაშე ჩვენებურ კალათბურთელ **გიორგი ჯგერენაიას** ვაწყდები. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ქართული საუბრის გამგონე, თავად იჩენს ინიციატივას და მე და ჩემს კოლეგას გვესალმება. გიორგი **არვიდას საბონისის** საკალათბურთო აკადემიაში სწავლობს, "ჟალგირისის" დუბლებში თამაშობს და აქაურების თქმით, საკმაო ნარმატებითაც. ეს ყველაფერი ხუთ წუთში ირკვევა, რაშიც მთავარ როლს ლიტვაში კალათბურთის უზომო პოპულარობა თამაშობს. საბონისი ამ ქვეყანაში კერპია, მასზე დიდი ფიგურა აქ, მგონი, არავინაა. და რა თქმა უნდა, მისი აკადემიის აღსაზრდელებზეც თქმა ყველაფერი იციან. გაიუღერა თუ არა მისმა სახელმა, კაფეში მსხდომებმა მოგვაპყრეს მზერა...

ერთი საათი გავიდა, სეირნობა განვაგრძე და აქაური ჟურნალისტები დავინახე. ისინი იმ სასტუმროსთან არიან ჩასაფრებულები, სადაც ჩვენი ნაკრები უნდა დაბინავდეს.

- ხომ აქ იქნები, ნაკრები რომ ჩამოვა? - ახლოს მისულს უცბად შემომიტრიალდა ერთ-ერთი მათგანი. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- აუცილებლად დამანახეთ კახა კალაძე. შეიძლება, ვერ ვიცნო, არადა სურათი უნდა გადავუღო და მერე ეგებ ინტერვიუზეც დავითანხმო.

ჩემს პასუხს არც დალოდებია და გვერდით ამომიდგა...

ამასობაში, ჩვენი ნაკრების ავტობუსიც მოგვადგა. პირველი **კლაუს ტოპმიოლერი** გამოჩნდა, მას სხვა მწვრთნელები მოყვნენ, მერე ფეხბურთელებიც. ბიჭები საკმაოდ ხალისიანად არიან.

- სულ ასე მხიარულობენ? - მეკითხები ლიტველი კოლეგა, რომლის სახელი ჯერაც არ ვიცი.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ სახე შემეცვალა: **ლევან მჭედლიძეს** ფეხი აქვს შეხვეული და კოჭლობს.

- გუშინდელ ვარჯიშზე დავშავდი, "ჩაშკა" ამომივარდა. ისე მინდოდა ნაკრებთან ერთად ყოფნა, მაინც წამოვედი, - მეუბნება ლევანი. მჭედლიძეს ყველა აქებს და ამხნევებს. უნდა ნახო, რა ჯანზეაო, ბიჭებმა თქვეს.

სხვებსაც ვაკვირდები, კიდევ ვინმეს რამე ხომ არ სჭირს? ფრანკფურტში დამტვრეული **ნუკრი რევიშვილი** ნაკრებს აღარ გამოჰყოლია. მის მაგივრად, ტოპიმ ჭაბუკი **გიორგი მაკარიძე** ("დინამო 2-ისა" და 19-წლამდელთა ნაკრების წევრი) გამოიძახა. ის საფრანგეთთან მატჩისთვის შეუერთდება გუნდს. ლიტვისთვის ორი მეკარით ვრჩებით. დანარჩენი ყველა ჯანზეა. **ზურაბ ხიზანიშვილს** საზარდულიც წესრიგში აქვს და მუხლიც. იქვეა **ოთარ ხიზანეიშვილი** - ტრავმის მერე ნელ-ნელა აღვიდგინე ფორმა, ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ხვალ მოგების მერე უფრო კარგად ვიქნებიო, - გვეუბნება.

- ერთი, ავტობუსიდან რომ ჩამოვდივარ, მაშინ გადამიღეთ რა, - მიმართავს ლიტველებს **გიორგი დემეტრაძე**.

მათ კი **კახა კალაძის** გარდა, არავინ აინტერესებთ... სასტუმროში ბოლო **რალფ მინგე** შედის, ორი დიდი ჩანთა უჭირავს, ქართულად გვესალმება:

- ქარგათ ვარტ, ქარგათ... აბა, სქვა მე არ ვიცი...

ბიჭები ნელ-ნელა იწყებენ თავიანთ ნომრებში ასვლას.

- 15 წუთში აქ იყავით, - ყველას გასაგონად ამბობს ტოპმიოლერი, - ჯერ სადილია, მერე ცოტა დასვენება და ვარჯიში გველის.

სასტუმროში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანლობა შემოდის: **ნოდარ ახალკაცი, გოგი ქავთარაძე, უჩა უგულავა.** მათ საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი ახლავს. **რევაზ არველაძე** და პროფლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი** უფრო ადრე ჩამოფრინდნენ, ერთად ვიმგზავრეთ. ახალკაცი და მისი თანმხლებნი შვეიცარიიდან ფრანკფურტში ჩავიდნენ და ლიტვაში ნაკრებთან ერთად გამოემგზავრნენ. შვეიცარიაში სტუმრობის მიზეზი ფიფასა და უეფას კონგრესები იყო.

- ფიფას კონგრესზე მნიშვნელოვანი უეფასი იყო, რადგან იქ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა წესდებაში. მაგალითად, კვლავ შემოიღეს გენერალური მდივნის პოსტი, გაიზარდა კომიტეტების რაოდენობა, შეიქმნა ფეხბურთის განვითარების სტრატეგიული საბჭო და საერთოდ, ყველა ის ცვლილება განხორციელდა, რაც დაგეგმილი იყო. ნიშანდობლივი ისაა, რომ ცვლილებები ყველამ ერთხმად მიიღო, წინააღმდეგი არავინ წასულა, - ამბობს ახალკაცი შვეიცარიულ ვიზიტზე.

- ეს ყველაფერი ჩვენთვის დადებით შედეგს მოიტანს?

- წესდების შეცვლა ახალი პრეზიდენტის სურვილი იყო და მე ვთვლი, რომ ამით, ევროპულ საფეხბურთო სამყაროში ეროვნული ფედერაციების როლი და მნიშვნელობა ბევრად უფრო იზრდება.

- შვეიცარიაში შეხვედრა უნდა გქონოდათ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმღვანელებთან, ამხანაგური მატჩის თაობაზე...

- ჩვენ შევხვდით გენერალურ მდივანს, რომელიც უშუალოდ კურირებს ამ საკითხს. ცხადია, რომ ბრაზილიას არაერთი მთხოვნელი ჰყავს და მათგან საუკეთესოს აირჩევს...

...სადილი მორჩა, ფეხბურთელები ნომრებში ადიან დასასვენებლად, ტოპმიოლერი და ახალკაცი კი გარეთ გადიან, იქვე, ღია კაფეში სხდებიან, სახვალიო ამბებზე ბჭობენ. რამდენიმე წუთში ოფლადდაღვრილი მინგე უერთდებათ: სანამ ფეხბურთელები სადილობდნენ, სასტუმროს გარშემო ურბენია...

კლაუს ტოპმიოლერის პრეს კონფერენცია

ავტორის ფოტოები

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და
დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ევრო 2008. მეტოქეები

თითქმის გადამწყვეტი და უკვე გადაწყვეტილი

საფრანგეთი-უკრაინა

2 ივნისი. პარიზი. სტად დე ფრანსი. 23:00 (თბილისის დროით)

არბიტრი: ლ. მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

ანდრეი შევჩენკო რომ საფრანგეთთან ვერ ითამაშებდა, ეს კარგა ხნის წინათ გადაწყდა. შეგახსენებთ, უკრაინელთა ლიდერმა ტრავმა დაახლოებით ერთი თვის წინათ, „ჩელსიში" თამაშისას მიიღო და სეზონი ნაადრევად დასრულა. **ოლეგ ბლოხინმა** მას პარიზში ჩასვლა და თანაგუნდელთა გამხნევება სთხოვა, რაზედაც ანდრეიმ თანხმობა განაცხადა – ხვალ იგი „სტად დე ფრანსის" ტრიბუნაზე იჯდება.

„კარგად მესმის, რომ ეს შესარჩევი ციკლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩია. საფრანგეთთან თამაში ძალიან მინდოდა, მაგრამ რას ვიზამ, მწყობრში დროულად ჩადგომა ვერ მოვასწარი. იმედია, სასურველ შედეგს მივაღწევთ, ფრე ჩვენთვის სავსებით მისაღებია, მაგრამ გამარჯვებისთვის ბრძოლაც შეგვიძლია", - ამბობს შევჩენკო.

ბლოხინი შედარებით მოზომილ განცხადებებს აკეთებს. უკრაინელთა დამრიგებელი შეგირდთა დიდი ნანილის მომზადების დონით უკმაყოფილოა, თუმცა იმედოვნებს, რომ სანაკრებო შეკრებაზე ეს ფეხბურთელები სასურველ კონდიციებს მიაღწევენ. შევჩენკოს გარდა, უკრაინელები კიდევ ორ წამყვან ფორვარდს – **სერგეი რებროვსა** და **არტიომ მილევსკის** მოისაკლისებენ. ბლოხინის აზრით, პარიზში მარცხის შემთხვევაში, მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს მაინც შეინარჩუნებს. თბილისში გასამართ მატჩს უკრაინელთა თავკაცი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

არანაკლები საკადრო პრობლემა აქვს **რაიმონ დომენეკს**. "სამფეროვნებს" განსაკუთრებით შეტევის ხაზში გაუჭირდებათ. ტრავმების გამო, დღეს მოედანზე **ტიერი ანრი**, **დავიდ ტრეზეგე** და **ლუი საა** ვერ გავლენ. მათ გარდა, მასპინძლებს კაპიტანი **პატრიკ ვიეირა** და გამორჩეული მცველი **ვილი სანიოლი** ვერ დეხმარებიან.

ბუნებრივია, საფრანგეთის ნაკრების ლიდერთა არყოფნა უკრაინელთა წარმატების შანსს ერთიორად ზრდის, მაგრამ დომენეკი სიმშვიდეს ინარჩუნებს. მისი თქმით, გუნდს საკმაო რეზერვი აქვს საიმისოდ, რომ პრინციპული შეხვედრა რამდენიმე ლიდერის გარეშეც მოიგოს. უკრაინისთვისაც და საფრანგეთისთვისაც მატჩს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ალბათ, დღევანდელი შედეგი დიდ გავლენას მოახდენს საბოლოო სატურნირო განლაგებაზე.

შარეერები-იტალია

2 ივნისი. ტორსპავნი. ტორსკოლური. 22:45 (თბილისის დროით)

არბიტრი: რ. მალეკი (პოლონეთი)

იტალიელებს მშვენივრად ესმით, რომ მოახლოებულ ორ საკვალიფიკაციო მატჩში ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ. მთელი იტალია დარწმუნებულია, რომ "სკუადრა აძურა" დღეს უპრობლემოდ მოიგებს, ოთხშაბათს კი გაცილებით რთული შეხვედრაა კაუნასში. შეგახსენებთ, იტალიელებმა შარშან შემოდგომაზე ლიტველებისგან სერიოზული დარტყმა მიიღეს – ბალტიელებთან შინ ფრეს დასჯერდნენ.

როგორც იცით, სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა **ალესანდრო ნესტამ**, რაც ძირითადი შემადგენლობისკენ **მარკო მატერაცის** უხსნის გზას. **რობერტო დონადონიმ** ეროვნულ გუნდში ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი **ფილიპო ინძაგი** დააბრუნა. მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელმა შესაძლოა, თავის გამოჩენის შანსი მისცეს მცველ **ალესანდრო გამბერინის** („ფიორენტინა"), ნახევარმცველი **მაქს ტონეტოსა** („რომა") და ფორვარდ **კრისტიანო ლუკარელის** („ლივორნო").

ლევან ჭანეზაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. უკრაინა	5	4	0	1	8-4	12
2. შოტლანდია	5	4	0	1	11-4	12
3. საფრანგეთი	5	4	0	1	12-2	12
4. იტალია	5	3	1	1	9-5	10
5. საქართველო	6	2	0	4	13-12	6
6. ლიტვა	5	1	1	3	3-5	4
7. შარეერები	5	0	0	5	0-20	0

21-წლამდელთა ნაკრები. ევროპის ჩემპიონატი. საქართველო-ესპანეთის წინ

ლურჯ-წითელი ბალანსი

საქართველო (ლურჯები)-საქართველო (წითლები) 1:1

1:0 ბარაბაძე (7), 1:1 ჩიმაკაძე (38. გრიგალაშვილის პასით)

საქართველო (ლურჯები): ლორია, თომაშვილი, მახარაძე, ფოფხაძე, ელბაქიძე, ჩირიკაშვილი, ბჟალავა, კვარაცხელია, წინამძღვრიშვილი, დვალიშვილი, ბარაბაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: ნიკოლაიშვილი, ბენაშვილი, ხიდეშელი, დათუნაიშვილი.

საქართველო (წითლები): რ. კვასხვაძე, თოთაძე, ლობჟანიძე, გ. კაშია, ნავალოვსკი, დაუშვილი, კახელიშვილი, გრიგალაშვილი, ხორგუაშვილი, კობახიძე, ჩიმაკაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: სანაია, ყენია, გოცირიძე, უსენაშვილი.

27 მაისიდან მოყოლებული, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი,** თავის შტაბთან ერთად, ოც ფეხბურთელს ყოველდღიურად ავარჯიშებდა. ამ ოცეულს 19-წლამდელთა ნაკრებიდან 11 მოთამაშე და დანიიდან ჩამოსული "ვიბორგის" მცველი **გიორგი ფოფხაძეც** დაემატა. 21-წლამდელთა თავკაცმა ეს 32 ფეხბურთელი გუშინ ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეკრიბა. მერე ბიჭები ორად გაყო და 18 საათზე, "ამერის" სტადიონზე, ერთმანეთის წინააღმდეგ ათამაშა. საწვრთნელი შეხვედრა ორი 30-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. ნაკრები, პირობითად, "წითლებად" (მაისურების მიხედვით) და "ლურჯებად" გაიყო. "წითლებს" **გურამ კაშია** კაპიტნობდა, "ლურჯებს" კი ჯერ ფოფხაძე, მერე კი მეკარე **გიორგი ლორია**. მათ გარდა, სათადარიგოთა შორის **გიორგი მაკარიძე, გიორგი ჭელიძე, გიორგი მერებაშვილი** და **დავით მჭედლიშვილი** იყვნენ. საქმე ისაა, რომ ამ ოთხეულს მცირე ტრავმები აწუხებს და მწვრთნელებმაც ამიტომ დაასვენეს.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ორივე გუნდი აქტიურობდა. ბიჭებს აშკარად ეტყობოდათ მობილიზება და მონდომება. მოტივაცია საკმაოდ დიდია, ესპანეთთან მატჩისთვის ძირითადში მოხვედრა ყველას უნდა, მაგრამ ადგილი მხოლოდ 11-ია. ვარჯიშებზე კი 32 იკლავს თავს...

"ლურჯები" სწრაფი გოლით დანინაურდნენ. მცველების შეცდომით კარგად ისარგებლა **რევაზ ბარაბაძემ** და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. "ლურჯებს" აქტიურობაში არც მეტოქე ჩამორჩა. მათაც შექმნეს საგოლე მომენტები, მაგრამ ბურთის გატანა მხოლოდ მეორე ნახევარში მოახერხეს. მანამდე კი, ჯერ კაშიას შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მის დარტყმულს მცველები გადაეფარნენ, ხოლო ტაიმის ბოლოს **სანდრო კობახიძის** მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტყმაზე მეკარე ლორიამ დროული რეაქცია გამოავლინა.

თამაში შესვენების შემდეგაც საინტერესოდ მიმდინარეობდა. "წითლებმა" კიდევ უფრო მოინდომეს და გარჯაც დაუფასდათ. **გრიგალაშვილის** უჩვეულო პასით წონასწორობა **ჩიმაკაძემ** აღადგინა - 1:1. "წითლებში" მალე **ლევან ყენია** გამოჩნდა, რომელმაც აშკარად გამოაცოცხლა თამაში, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

დავით ცაბაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

პეტარ სეგრტი: ფავორიტი ესპანეთია

...მაგრამ მწვრთნელი დანებებებას არ აპირებს. სეგრტის საფიქრალი: ტრავმირებულები და მეკარე. გოცირიძე გამოირიცხა, მჭედლიშვილიც...

ქართველ მე კარეთა სამი თაობა: ეროვნულში გამოძახებული გიორგი მაკარიძე, სერგო კოტრიკაძე და ოთარ გაბელია

"ამერის" სტადიონზე გამართული მატჩის შემდეგ, 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **პეტარ სეგრტმა** ჟურნალისტებს კითხვებზე გვიპასუხა.

- დღეს აშკარად გამოჩნდა, რომ ფეხბურთელები ძალიან დაღლილები არიან, განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც შოტლანდიაში, 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის, ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში იასპარეზეს. ალბათ, ყველამ ნახეთ, თუ რაოდენ საგრძნობი სხვაობა იყო მათ და იმ მოთამაშეებს შორის, რომლებიც აქ ვარჯიშობდნენ. სნორად ამიტომ იყო, ეს ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდებში რომ გადავანაწილეთ ბალანსის შენარჩუნების მიზნით...

- შოტლანდიაში ნათამაშებთა ნაწილს სხვადასხვა სახის ტრავმა აწუხებს. ბჟალავასაც მცირედი პრობლემა აქვს, მაგრამ ვფიქრობ, ის თამაშს შეძლებს. გვაძაბია ვერ ითამაშებს, ისევე, როგორც მჭედლიშვილი...

- ელიტრაუნდში დისკვალიფიცირებული ბენაშვილი და გოცირიძე? ეს უკანასკნელი ორი გაფრთხილების გამო გაძევეს და 5 ივნისის მატჩს გამოტოვებს. ბენაშვილს კი შეუძლია თამაში. საგრძნობლად გადაღლილები არიან ყენია, ხიდეშელი, წინამძღვრიშვილი, ბარაბაძე... სამაგიეროდ, ძალიან კარგ ფორმაში არიან ბჟალავა, სანაია... ფეხბურთელებს სხვადასხვა სახის ტრავმა აწუხებთ. ჯერ კიდევ არ ვიცით, ვინ შეძლებს თამაშს და ვინ არა. მაგალითად, ფოფხაძეს, მერებაშვილს, ჭელიძეს, ხორგუაშვილს, იმავე ბჟალავას ტკივილები აქვთ და ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ არიან. ამასთან, ჯერ კიდევ ღიადაა მეკარის საკითხი. მაკარიძე ეროვნულ ნაკრებს მესამე მეკარედ დაემატება. ლორიაც, კვასხვაძეც და თევდორაძეც კარგად გამოიყურებიან და ვიდრე მათ შორის არჩევანს გავაკეთებთ, დაფიქრება გვმართებს...

- ესპანეთთან ძალიან მძიმე თამაში გველის. მეტოქე გუნდიდან ძნელია ერთორი ფეხბურთელის გამორჩევა, რადგან მთლიანობაში ძლიერი, კარგად შეთამაშებული შემადგენლობა ჰყავს. ესპანელები 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობენ. დავამატოთ ამას ისიც, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელები ბევრად უკეთეს გუნდებსა თუ ლიგაში ასპარეზობენ და პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ფავორიტი სწორედ ესპანეთია. თუმცა ჩვენ ხელი არ ჩაგვიქნევია და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ბუნებრივია, ქომაგების მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

საქართველო ესპანეთისან

მოგვიანებით, **პეტარ სეგრტმა** ესპანეთთან მატჩისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები - გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (დილა);

მცველები - გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), უჩა ლობჟანიძე (ბათუმი), გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი), გურამ კაშია (დინამო), კახა მახარაძე (ჩიხურა), ამირან სანაია (ზესტაფონი);

ნახევარმცველები - მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), ვალტერ ხორგუაშვილი (ტირასპოლი, მოლდოვა), გიორგი მერებაშვილი, სანდრო კობახიძე, ირაკლი ჩირიკაშვილი (ყველა დინამო), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), გიორგი ხიდეშელი, ალექსი ბენაშვილი, მურთაზ დაუშვილი (ყველა ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი);

თავდამსხმელები - გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), რევაზ ბარაბაძე (დნეპრი, უკრაინა), ვახტანგ კვარაცხელია (ბათუმი), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი).

თუ ამ შემადგენლობას ვინმე გამოაკლდება, შეესება შემდეგი შვიდეულისგან მოხდება: თომაშვილი, ელბაქიძე, წინამძღვრიშვილი, დვალიშვილი, ნიკოლაიშვილი, დათუნაიშვილი და უსენაშვილი.

დავით ცაბაძე

საქართველო-ესპანეთი

ფანკლუბის წევრობა საუკრადღებოდ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 5 ივნისს, თბილისში, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში ესპანეთს უმასპინძლებს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფანკლუბი თავის წევრებს ამ მატჩის ბილეთებით ასაჩუქრებს. ბილეთების მსურველებმა მიმართეთ ფანკლუბის ოფისს ეროვნულ სტადიონზე. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ნომერზე 54-25-42.

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საიდუმლო იარაღს გამოვიყენებთ

პირველი გვერდიდან

მატჩისწინა პრესკონფერენციამდე დარჩენილ დროს ისევ ქალაქის დათვალიერებას ვუთმობ. ერთი-ორგან თუ ნავაწყდი მომავალი მატჩის აფიშას, უმეტესობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ მათი გუნდი შაბათს საქართველოსთან შესარჩევ შეხვედრას მართავს...

საღამოს ექვსი საათია. ტოპმიოლერის პრესკონფერენცია იწყება. საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მოსასმენად ათამდე ლიტველი ჟურნალისტი მოგროვდა.

- დამაფიქრებელია ის შედეგები და თამაში, რაც ლიტვის ნაკრებმა აჩვენა, - დაიწყო კლაუსმა, **- მე ვიტყოდი, რომ შაბათს საკმაოდ რთულ მეტოქესთან გვექნება საქმე, მეტოქესთან, რომელსაც წინა მატჩებში, უბრალოდ, იღბალი არ სწყალობდა სასურველი შედეგის მისაღწევად. სამაგიეროდ, ფორტუნა შოტლანდიის მხარეს იყო. ის მეტ-ნაკლებად ლიტვისა და საქართველოს დონის გუნდია...**

- ვერ ვიტყვი, რომ ის, ვინც ხვალ მოიგებს, მეხუთე ადგილს დაიკავებს. წინ კიდევ არაერთი მატჩია, რომელთა შედეგებსაც ბევრი რამის შეცვლა შეუძლია...

- შემადგენლობა უკვე გამოკვეთილია. სამი დღე იმიტომაც გავჩერდით გერმანიაში, რომ მშვიდად, უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად მოვმზადებულიყავით. ვარჯიშებიდან გამომდინარე, ბიჭებმა უკვე გააკეთეს დასკვნები და ლოგიკურად, უნდა იცოდნენ, თუ ვინ ითამაშებს შაბათს. გერმანიაში მზადებისას არაერთი ტაქტიკური მონახაზი დავხვეწეთ, ბევრი ვივარჯიშეთ სტანდარტულების შესრულებაზე. ძალიან შეგვაშინა მჭედლიძის ტრავმამ, თუმცა, საბედნიეროდ, ის მალე მომჯობინდება. როგორც თვითონ თქვა, ასეთი რამ უკვე მეოთხედ დაემართა. ახლა გასარკვევი ისაა, თუ რა არის ამის მიზეზი.

- შოტლანდიაში ვახლდი 19-წლამდელთა ნაკრებს და შემიძლია გითხრათ, რომ ისევე, როგორც მჭედლიძე, მაკარიძეც, ყენიაც და წინამძღვრიშვილიც არიან ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში...

- მეტოქის შესწავლისას გარკვეული ხარვეზები დავინახეთ და ვეცდებით, ისინი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. როგორც ვთქვი, იმიტომ მოვემზადეთ გერმანიაში, რომ უცხო თვალს არ ვენახეთ. ჩვენს საიდუმლო იარაღს ხვალ გამოვიყენებთ... ძნელი თამაში იქნება, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ...

- შემიძლია გითხრათ, რომ მარცვალაძე ძირითადში არ იქნება. ახლა თავად განსაჯეთ, ვინ რჩება თავდასხმაში. ბოლო ოთხი მატჩიდან სამი მოვიგეთ და ერთიც ისეთი წავაგეთ, რომ არ ვიმსახურებდით. აქედან გამომდინარე, ყველანაირი წინაპირობაა შექმნილი, რომ ხვალ გავიმარჯვოთ. ჩვენ აქ ამისთვის ვართ...

როგორც ჩანს, ტოპმიოლერი 4-4-2 სქემით აპირებს თამაშს, წინ **იაშვილი** და **დემეტრაძე** იმოქმედებენ. დანარჩენი? ვარჯიშზე გავარკვევ, ვფიქრობ ჩემთვის... რაც შეეხება ჩვენი ნაკრების ვარჯიშს, მხოლოდ პირველი ათი წუთი ვნახეთ. ბიჭებმა მოთელვა დაიწყეს, იძუნძულეს, ბურთითაც გახურდნენ და... ტოპმიოლერმა თავაზიანად მიგვითითა კარისკენ. ვარჯიში დაიხურა...

ჩვენი ნაკრების გუშინდელი ვარჯიში

ავტორის ფოტოები

გიორგი ფოფხაძე

21-წლამდელთა ნაკრები

ფოფხაძე, დანიის საუკეთესო ახალგაზრდა მცველია

დანიის ელიტურ ლიგაში მოასპარეზე "ვიბორგის" ქართველი მცველი **გიორგი ფოფხაძე** ესპანეთთან მატჩისთვის ემზადება. გუშინ, ორად გაყოფილ გუნდში მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი** 5 ივნისისთვის საუკეთესოებს არჩევდა. "ლურჯების" გუნდის (რომელიც, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობად მოიაზრება) კაპიტანი ფოფხაძე პირველ ტაიმში დაშავდა, მოედანი დატოვა და ექიმის დახმარება დასჭირდა. საბედნიეროდ, საშიში არაფერია. გიორგის თქმით, ესპანეთთან ყველაფერი კარგად იქნება: *"შეჯახების დროს, დანიაში მიღებულმა კოჭის ტკივილმა გამახსენა თავი. თუმცა, ხვალ (ანუ, დღეს - ავტ) ისევ ვივარჯიშებ"*.

გიორგიმ ერთი კარგი ამბავიც გვითხრა: ერთ-ერთი გამოკითხვით, ის დანიის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მცველად დაუსახელებიათ. ეს ფოფხაძის პირველი დანიური წარმატებაა და იმედია, ამას გაგრძელებაც მოჰყვება.

ბარაბაძე დნეპრიდან წავიდა

კარლ ცაისი ან ბაზელი, ოლიმპს უარი

რევაზ ბარაბაძე დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და უკრაინიდან წამოვიდა. ეს 18 წლის თავდამსხმელმა თავად გვითხრა: *"უკრაინელებთან ერთწლიანი ხელშეკრულება დამიმთავრდა, "დნეპრში" აღარ დავრჩები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე შემომთავაზეს. თუმცა პირობები იგივე რჩებოდა და რაც მთავარია, ძირითადში თამაშის გარანტიას არავინ მაძლევდა. ეს კი მე არანაირად არ მაწყობდა"*.

სად ითამაშებს ახალი სეზონიდან ბარაბაძე? როგორც დავადგინეთ, მას საკმაოდ საინტერესო წინადადებები მიუღია: *"საქართველოში დაბრუნება არ მსურს. რუსთავის "ოლიმპი" ჩემი მშობლიური გუნდია და ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში შემომთავაზა. ერთი შეხედვით, მისაღები ვარიანტია, მაგრამ მე აქ დროებით დარჩენაც არ მსურს. ევროპაში შეკრება თუ არ გაიარე, მერე ძალიან ძნელია ძირითად გუნდში მოხვედრა. ერთადერთი ქვეყანა, სადაც თამაში არ მინდა, რუსეთია. თუმცა მათი პრემიერლიგა ძალიან მაღალი დონისაა. ორი აზრიც არაა, იქ გამოსვლა პრესტიჟულიცაა და ძალიან ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელიც თამაშობს, უკრაინაზე ბევრად უკეთესი პირობები და ჩემპიონატია, მაგრამ განვითარებისა და წინსვლისთვის, მირჩევნია, დასავლეთი ევროპის რომელიმე ლიგაში გადასვლა. თავიდანვე გრანდში არავინ ამიყვანს, მაგრამ ჯერ 18 წლის ვარ და არსად მეჩქარება. "დნეპრი" ცნობილი კლუბია, მაგრამ სკამის ხეხვა არ მინდა. ჩემს ასაკში სათამაშო პრაქტიკაა მთავარი და იქნებ, ისეთ გუნდში მოვხვდე, სადაც მათამაშებენ"*.

რეზოს არ დაუმალავს, რომ მისით გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისი" და "ბაზელი" დაინტერესდნენ: *"სეზონი ახლა დასრულდა, "კარლ ცაისი" 10 ივნისს იკრიბება და ზუსტი პასუხიც მაშინ მეცოდინება. არის "ბაზელის" ვარიანტიც. თუმცა ჯერ მაინც ნაადრევია იმაზე საუბარი, როგორ დასრულდება ეს მოლაპარაკება"*.

მერაბ მამულაშვილი

ლიუბინსკასი: ყველა პირობაა იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ

ლიტვის ნაკრებში არეულობაა. მწვრთნელს ორი ფეხბურთელი გაანუდგა

ქართველებამდე "დარიუსის და გენერასის" მოედანი ლიტველებმა დაიკავეს. დიდი არეულობაა მასპინძელთა ნაკრებში, სტადიონზე გავიგე. **ჩესნაუსკისი** რომ შემოსწყრა მწვრთნელს, ვიცოდი, მაგრამ **ველიჩკოც** გაბრაზებული ყოფილა **ალგიმანტას ლიუბინსკასზე,** მაგის გუნდში არ ვითამაშებო...

მოთელვა სულ ათ წუთს გრძლდება, ამის მერე მწვრთნელი ფეხბურთელებს გრძელ პასებზე ავარჯიშებს. ნახევარი საათის შემდეგ მეკარეები დგებიან კარში და სამი სხვადასხვა პოზიციიდან დარტყმულის მოგერიება უწევთ. ყველაფერი კი ორმხრივი თამაშით სრულდება. თითოეულ ნაწილში ლიუბინსკასმა გამოყო ხუთი შემტევი, ხუთი მცველი და ისინი თანაშემწეს გადაულოცა.

- ძალიან პრინციპული მატჩია. ჯერ-ჯერობით, კარგი გუნდების წინააღმდეგ მხოლოდ ჩვენ ავიღეთ ქულები, ამიტომ, შაბათსაც წარმატებაზე ვიფიქრებთ. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ლიტვამ საქართველოსთან არაერთხელ წააგო და ხომ დადგა მოგების დრო? მოკლედ, ბევრი ფაქტორია, რის გამოც უნდა მოვიგოთ. ეს მატჩი ისეთივე მნიშვნელოვანია, ვთქვათ, როგორც იტალია-საფრანგეთის დაპირისპირება.

- აქ დღეს ბევრჯერ ითქვა, რომ ამ მატჩში მოგებული დაიკავებს საბოლოოდ მეხუთე ადგილს. თქვენც ასე ფიქრობთ?

- მე კი მგონია, რომ შოტლანდიასაც არ აქვს ცუდი შანსი, რათა მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდეს.

- ტოპმიოლერმა თქვა, რომ ლიტვას წინა მატჩებში იღბალმა აქცია ზურგი. მხოლოდ იღბალია წარუმატებლობის მიზეზი თუ ლიტვის ნაკრებს კიდევ აკლია რაღაც?

- არა, ცხადია, ყველაფერს იღბალს ვერ დავაბრალებთ. როცა მომენტი გექმნება, უნდა გაიტანო, მერე მნიშვნელობა აღარ აქვს, ვისი ბრალია - იღბლის, მოედნის თუ ვინმე სხვისი. ფორტუნა ყოველთვის ძლიერის მხარესაა, ესე იგი, ჩვენ არ ვიყავით იმ მატჩებში ძლიერები. უკაცრავად, ბიჭებს უნდა მივხედო...

ლიტველთა ვარჯიში

აბრამიძემ აზერბაიჯანი დალესბანზე გაცვალა

ამსეზონში **ვალერი აბრამიძემ** აზერბაიჯანში ორი ტიტული მოიგო: 27 წლის მცველი, ლენქორანის "ხაზართან" ერთად, ქვეყნის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც. "ყიზილ დუბლის" მიღწევისა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის პერსპექტივის მიუხედავად, აზერბაიჯანში მოთამაშე ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა ქართველმა ლეგიონერმა გადაწყვიტა, კარიერა რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ "ანჟიში" გააგრძელოს. ამის შესახებ, აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს თავად "ხაზარის" მთავარმა მწვრთნელმა **აგასალიმ მირჯავადოვმა** განუცხადა: *"აბრამიძემ უკვე დატოვა ჩვენი გუნდი, მან "ანჟიში" თამაში არჩია. ამ კლუბისგან შეთავაზება აბრამიძემ ჯერ კიდევ ზამთარში მიიღო. ჩვენთვის მისი წასვლა დიდი დანაკარგია, უკვე ვეძებთ ცენტრალურ მცველს"*.

აბრამიძე **ომარ თეთრაძის** კლუბის მეოთხე ქართველი იქნება **ზურაბ არზიანის, გოჩა ხოჯავასა** და **კახა მჟავანაძის** შემდეგ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს XVII ჩემპიონატი

სეზონის ნომინანტები

გია ტუხაშვილის პროექტი

საუკეთესო ფეხბურთელი

სანდრო იაშვილი

სექტემბრიდან მოყოლებული, თვის ნომინანტებს ვასახელებდით. თვის საუკეთესო ფეხბურთელის პატივი სულ პირველად **სანდრო იაშვილს** ("დინამო") ერგო, ოქტომბერში ბრწყინვალედ ითამაშა **ამირან მუჯირმა** ("ბათუმი"), ნოემბერში - **დავით დიღმელაშვილი** ("ვიტ ჯორჯია") იყო უკონკურენტო; მარტში ისე მოხდა, რომ საუკეთესოდ ერთდროულად ორი ფეხბურთელი მივიჩნიეთ - სანდრო იაშვილი და **ვიტალი დარასელია** ("სიონი"). აპრილი და მაისი კი იაშვილის თვეები იყო და ბევრი ფიქრიც არ დაგვჭირდა იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მე-17 ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. არ დაგვავიწყდეს, რომ იაშვილი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და ამ, უდავოდ, ნიჭიერ ფორვარდს მხოლოდ ერთს ვუსურვებდით - მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს!

ლეგიონერები

ვიერა

საქართველოს მე-17 ჩემპიონატი, მართლაც, გამორჩეული იყო ლეგიონერთა სიმრავლით. როგორი საქმეა, როცა ქართველი ქომაგი ერთდროულად 24 ლეგიონერის თამაშს ადევნებდა თვალს. ფეხბურთმა საზღვრები არ იცის და საქართველოს სტადიონებზეც რვა ქვეყნის წარმომადგენელი ვიხილეთ: 7 არგენტინელი, 6 ბრაზილიელი, 2 ეკვადორელი, 5 კამერუნელი და თითოც სლოვაკეთს, ავსტრალიას, ჩერნოგორიასა და გაბონს წარმოადგენდა. ციფრებსა და ზოგად საუბარს ჯობია, ყველა ჩამოვთვალოთ: **პაკორი, ვომარი, ნინი, ავერსა, ბედინი, კასტელო, ფრანკი** (ყველა - არგენტინა), **ნკემი, მონგუე** (ორივე - კამერუნი) "ბორჯომის" ღირსებას იცავდნენ; **ამბროზიო** (ბრაზილია), **ანგულო, ურტადო** (ორივე - ეკვადორი), **ზელიჩი** (ავსტრალია), **კრშკო** (სლოვაკეთი), **სპასოვიჩი** (ჩერნოგორია) - "დინამოში" თამაშობდნენ; ამ სეზონის "სიონი" წარმოუდგენელი იყო სამი კამერუნელის - **ბოიომოს, ჩასემისა** და **ევოჩეს** გარეშე; ისე როგორც, მეორე წრის "ზესტაფონი" - **ვიერას, ჟონატასის, სანტოსის, ლეანდროსა** (ყველა - ბრაზილიელია) და **კესანის** (გაბონი) გარეშე. ძალიან საინტერესო ფეხბურთელი იყო ბათუმის ბრაზილიელი ლეგიონერი **ტიაგო**, მაგრამ, რატომღაც, სეზონის დასაწყისშივე წავიდა აქედან. ლეგიონერებიდან საუკეთესოდ კი "ზესტაფონის" მარცხენაფლანგელი **ვიერა** მივიჩნიეთ, რომელიც, ამ ჩემპიონატში სულაც საუკეთესოდ ვცანით თავის ამპლუაში. ისე, "დინამოს" გამოცდილ მცველ ნედ ზელიჩს რომ პირველი წრეც აქ ეთამაშა, ალბათ, უკონკურენტო იქნებოდა. მოკლედ, იმდენი ლეგიონერი გვყავდა, იმათგან სიმბოლური ნაკრებიც შევადგინეთ და... მწვრთნელიც "მოვუძებნეთ". **დუშან უჰრინი** სეზონის სუკეთესო მწვრთნელობაზე აცხადებდა პრეტენზიას და "ლეგიონერების ნაკრების" გაძღოლა გაუჭირდებოდა? ახლა კი, მართლაც, ორიგინალური ნაკრები: **პაკორი - ბოიომო, ზელიჩი, კრშკო - ამბროზიო, კესანი, ჟონატასი, სანტოსი, ვიერა - ჩასემი, ევოჩე.**

არბიტრი

ლევან ფანიაშვილი

სასიამოვნოა, რომ ჩვენთან ახალგაზრდა არბიტრების თაობა წამოვიდა. რა თქმა უნდა, შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ გვინდა დავიჯეროთ, რომ ახალგაზრდა მსაჯები ამას შეუგნებლად აკეთებდნენ. **ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია, ლაშა სილაგავა** - ხვალ და ზეგ ეს ბიჭები თავს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული მსაჯობით უნდა იწონებდნენ; ალბათ, თასის ფინალსა თუ სხვა გადამწყვეტ მატჩებშიც აღარ დაგვჭირდება უცხოელი მსაჯების მოწვევა, იმიტომ რომ ჩვენი არბიტრების (უმრავლესობის) კვალიფიკაცია ხშირ შემთხვევაში... ფეხბურთელებზე მაღალია. აი, თუნდაც **ლევან ფანიაშვილი** ავიღოთ, ამ სეზონში ბევრი პრინციპული მატჩის გაძღოლა რომ დაევალა და ყველა იმ შემთხვევაში მაღალ დონეზე იმსაჯა. პირველ წრეში ორი "ბომბა-მატჩი" იყო: "ვიტ ჯორჯია"-"დინამო" და "ამერი"-"ოლიმპი", მეორეში კი - "ოლიმპი"-"დინამო". სამივეჯერ ფანიაშვილმა ისე იმსაჯა, მეტოქეთა მწვრთნელ-ფეხბურთელებს სალაპარაკო არაფერი დაუტოვა. ჰოდა, ჩემპიონატის საუკეთესო არბიტრად ლევან ფანიაშვილი ვცანით!

მწვრთნელი



დუშან უჰრინი

ყველაზე ძალიან ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენა გაგვიჭირდა. კანდიდატი სამი იყო: **რევაზ ძოძუაშვილი, დუშან უჰრინი** და **გიორგი ჩიხრაძე**. უფრო ზუსტად, ოთხი - ბოლოს და ბოლოს, **თემურ მახარაძემ** ჩემპიონატი ხომ ნაუგებლად დაასრულა?

ნურც **გიორგი კიკნაძეს** დავივიწყებთ - დებიუტანტმა მწვრთნელმა პირველ წრეში "ოლიმპს" ქულათა სოლიდური მარაგი მოუტანა. მოკლედ, საუკეთესო მწვრთნელის გამოვლენა, მართლაც, გაგვიჭირდა. ეგ კი არა, რედაქციაში "ცხელ გამოკითხვაც" მოვაწყვეთ, რის შემდეგაც ძალიან მცირე უპირატესობით დუშან უჰრინმა "გაიმარჯვა". მართალია, "დინამომ" უმთავრეს მიზანს (ჩემპიონობას) ვერ მიაღწია, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც გამოჩნდა, რომ გამოცდილმა ჩეხმა სპეციალისტმა გუნდს თავის ხელი დაატყო. მეორე წრეში სწორედ "დინამომ" მოაგროვა ყველაზე მეტი ქულა (35) და კლუბის ხელმძღვანელობას უჰრინი ჩემპიონატის დასაწყისიდანვე რომ ჩამოეყვანა, საკითხავია, ჩემპიონი ვინ გახდებოდა?

უდისციპლინოები და ჯენტლმენები



გიორგი სეთურიძე

გიორგი სეთურიძე ("ამერი"), **სანდრო კობახიძე** ("დინამო"), **შალვა ღონღაძე** ("ზესტაფონი") და **გრიგოლ ბედიაშვილი** ("ვიტ ჯორჯია") თავის გუნდებში წამყვან და შეუცვლელ ფეხბურთელებად ითვლებიან. ოთხივე ფეხბურთელმა ორივე წრე სტაბილურად ჩაატარა და სულ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითად შემადგენლობაში მათი თამაში ეჭვს არ იწვევდა. ორმაგად დასაფასებელი კი ის გარემოება გახლავთ, რომ ამ ოთხივე ფეხბურთელმა ჩემპიონატი... ყვითელი ბარათის გარეშე დაასრულა!

რაც შეეხება გუნდებს, ყველაზე დისციპლინირებული ქუთაისის "ტორპედო" აღმოჩნდა. ჯერ ერთი, "ტორპედოს" ფეხბურთელებმა ყველაზე ცოტა (23) ყვითელი ბარათი მიიღეს, ამასთან, ქუთათურების გუნდი და "ზესტაფონი" იყვნენ ის გუნდები, ვისი ფეხბურთელებიც მსაჯებს არ გაუძევებიათ. ყველაზე უდისციპლინო გუნდი "ლოკომოტივი" გამოდგა, რომლის ფეხბურთელებმა 66 "ყვითელი" და 3 "წითელი" ბარათი დაიმსახურეს. ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა "ამერის" მაჩვენებელიც - 53 გაფრთხილება და 2 გაძევება...

რეკორდსმენი

დავით ჭიჭვეიშვილი

რეკომენდაცია ჩემპიონობის მსურველ გუნდებს - აიყვანეთ გუნდში **დავით ჭიჭვეიშვილი** და... ოქროს მედლებიც გარანტირებული გაქვთ! ბევრს, შესაძლოა, ხუმრობად მოეჩვენოს ჩვენი მტკიცება, მაგრამ რეალობასაც ვერსაც გავექცევით. დიახ, ბოლო სამი წელიწადია დავით ჭიჭვეიშვილი საქართველოს ჩემპიონი ხდება. თანაც, არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჭიჭვეიშვილმა ამ წარმატებას... სამ სხვადასხვა გუნდთან მიაღწია: წლეულს - "ოლიმპთან", შარშან - "სიონთან", შარშანწინ კი - "დინამოსთან". სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და საიმედო მცველი კარიერის დასაწყისში ერთობ... შედეგიან ცენტრფორვარდად ითვლებოდა. "ზოოვეტში" ასპარეზობისას სეზონში საშუალოდ 20 გოლი ხომ ჩვეულ ამბად ითვლებოდა; მერე, ბათუმის "დინამოში" რომ გადავიდა, არცთუ ურიგო ნახევარმცველად ჩამოყალიბდა; ეს ბოლო წლები კი დაცვის ცენტრში ჩინებულად თამაშობს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ახალ გუნდში ჩემპიონი ხდება!

...ჭიჭვეიშვილი რომ არა, ძნელი საკითხავია, ჩემპიონი ვინ გვეყოლებოდა. "ოლიმპი"-"დინამოს" პრინციპული მატჩის მიწურულს სტუმართა ჩერნოგორიელი ფორვარდი ილია სპასოვიჩი უძლიერესი დარტყმით გზავნიდა ბურთს, ფაქტობრივად, ცარიელ კუთხეში, მაგრამ კარის ხაზზე მდგარმა ჭიჭვეიშვილმა შეძლო და ბურთი მოიგერია...

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

ამ შემთხვევაშიც "მარტივი" გამოსავალი ვიპოვეთ - უპირატესობა იმ ფეხბურთელებს მივანიჭეთ, ვინც ყველაზე მეტჯერ იყო დასახლებული თვის სიმბოლურ ნაკრებში. არც სტაბილურობა დაგვიწყებია - ისეთი ფეხბურთელები იყვნენ, პირველი წრე ჩინებულად რომ ჩაატარეს, მერე კი გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, ჩვენს ნომინაციებში ვეღარ ხვდებოდნენ. არადა, ამ ფეხბურთელებიდან (მიხეილ ალავიძე, ლაშა ქებაძე, ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, დავით დიღმელაშვილი, ამირან მუჯირი, ნიკა გელაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დავით გამეზარდაშვილი) ზოგმა გუნდი გამოიცვალა, ზოგს მწვრთნელი აღარ სწყალობდა, ზოგიც უცხოეთში გაემგზავრა. საბოლოოდ კი, საქართველოს მე-17 ჩემპიონატის სიმბოლურმა ნაკრებმა ("ლელოს" ვერსიით) ასეთი სახე მიიღო:

საუკეთესო შემცვლელი

"ამერის" ფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი** იყო, თასის ფინალში ერთადერთი გოლი რომ გაიტანა და თავის გუნდს ზედიზედ მეორედ უდიდესი წარმატება მოუტანა. თუმცა ტატანაშვილი ამ სეზონში სხვა მხრივაც გამორჩეული გახლდათ. თავად განსაჯეთ: "ამერის" შემადგენლობაში საუკეთესო ბომბარდირი ტატანაშვილი იყო 11 გოლით, მაშინ, როცა ძირითადში მხოლოდ შვიდჯერ დაიწყო თამაში. მოკლედ, გამოდიოდა შეტვლაზე ტატანაშვილი და ყოველ მეორე მატჩში გოლს იტანდა!



დიმიტრი ტატანაშვილი

დავიწყებული ლეგიონერი

ამისულაშვილს ემადლიერებიან

გვაზავა ქართველი სოლსკიაერიაო...

ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველ მოთამაშეებს, **ალეკო ამისულაშვილსა** და **ლევან გვაზავას** გუნდიც ემადლიერება, გულშემატკივარიცა და მედიაც. ნალჩიკში გამომავალ გაზეთ "სპორტში" ვკითხულობთ: *"სეზონის დაწყებამდე იური კრასნოჟანმა სახელდახელოდ შეკრიბა გუნდი. მართალია, "სპარტაკი" შარშანდელივით არ ბრწყინავს, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ცენტრში გააზრებული თამაშით გამოირჩევა ამისულაშვილი-შუმეიკოს მძლავრი დუეტი. არ შეიძლება, არ შევეხოთ კიდევ ერთ მოთამაშეს. მას, შეიძლება, გუნდის შინაგანი ძლიერი რეზერვი ვუწოდოთ. პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი მწვრთნელი გუნდის გაძლიერების გზას არსებულ რესურსებში ეძებს. როგორც ჩანს, მან ბოლო ტურებში ასეთ ფეხბურთელს მიაგნო. მისი სახელია ლევან გვაზავა. ქართველი შემტევი ნახევარმცველი შესანიშნავი სისწრაფითა და დრიბლინგით გამოირჩევა. კარებზეც დაგეშილია და შეუძლია, მოწინააღმდეგის თავისუფალ ზონებში სახიფათოდ შევარდნა. ერთი შეხედვით, გვეჩვენება, ასეთი ფეხბურთელი მოედანზე მატჩის დასაწყისიდანვე უნდა გამოიყენონ. ადრე თუ გვიან, ის საგოლე მომენტს აუცილებლად შექმნის. თუმცა ქართველი ლეგიონერი ძირითადად შეცვლაზე, 15-30 წუთი თამაშობს და უამრავ სასარგებლო სამუშაოს ასრულებს. როცა ის ძირითადში დააყენეს, მისი თამაში არც ჩანდა და საერთო მასაში იკარგებოდა. იური კრასნოჟანის გონიერებაც მოთამაშის საუკეთესოდ გამოყენებაში გამოიხატა. მან გვაზავას ხასიათი კარგად შეისწავლა და მიხვდა, რომ ფლეიმეიქერი მატჩის მიწურულს გაცილებით სასარგებლოა და არც შემცდარა. როცა მოწინააღმდეგე იღლება და ზონებს შედარებით ათავისუფლებს, გვაზავასნაირ ტექნიკურ და დასვენებულ მოთამაშეს კარგი პასით სახიფათო მომენტის შექმნა შეუძლია. ასე მოხდა ბოლო ხუთ ტურში. გვაზავას "სპარტაკის" თამაშში ახალი იმპულსი შეჰქონდა და უამრავ მომენტს ქმნიდა".*

ალექსანდრე ამისულაშვილი

ახლა, ევროპაში სანაკრებო პაუზაა. ამით ისარგებლა **ალეკო ამისულაშვილმა**, რომელიც ორიოდე დღით თბილისს ესტუმრა და ჩვენც გავესაუბრეთ. ალეკოს თქმით, ნალჩიკელებმა მისი გამოსყიდვა გადაწყვიტეს:

"მართალია, ჯერ პირველი წრე ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ "სპარტაკის" მწვრთნელმა და პრეზიდენტმა კონტრაქტის გამოსყიდვაზე ჩამომიგდეს სიტყვა. მე ხომ დღემდე კიევის "დინამოს" ვეკუთვნი. ნალჩიკელებს მდიდარი კლუბი არ ჰყავთ, და ამის მიუხედავად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დამატებითი თანხები სთხოვეს ჩემი ტრანსფერისთვის. მე კი ჯერ უკრაინელებს არ დავლაპარაკებივარ. საბოლოო პასუხი "სპარტაკისთვისაც" არ გამიცია. ველოდები პირველი წრის დასრულებას და მერე მეცოდინება, რომელი გუნდის ინტერესია სერიოზული და სად ვითამაშებ მეორე წრეში. წინადადებები კი უკვე არის, მაგრამ წინასწარ მათზე საუბარს მოვერიდები. თუმცა კრასნოჟანი მაძალებს, რომ დავრჩე. ის ძალიან კარგი პიროვნება და სერიოზული სპეციალისტია. მასთან მუშაობა მართლა სასიამოვნოა, მაგრამ ძლივს აღვიდგინე ფორმა და თავდაჯერებულიც გავხდი. საკმაოდ ცნობილი გუნდები მიწვევენ და მათზე უარის თქმა სისულელე იქნება. დასამალი რაა, ჩემი მენეჯერი უკვე მოლაპარაკებებს აწარმოებს, რადგან რუსეთში საკმაოდ კარგი გამოხმაურება მაქვს".

ალეკომ საინტერესო ამბავი გაგვიმხილა. თურმე, ზამთარში მისი შეძენა მოსკოვის "სპარტაკს" სურდა: *"ეს არ იყო უბრალო ინტერესი. მე საგანგებოდ მოსკოვშიც ჩავედი და "სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ ფედოტოვს ვესაუბრე. მითხრა, რომ ჩემი აყვანა სურდა, ოღონდ მცირე დრო მთხოვა. საქმე ის იყო, რომ მაშინ "სპარტაკი" ავსტრიელი მცველის, შტრანცლის გაყიდვას აპირებდა და როგორც კი ეს საკითხი მოგვარდება, კონტრაქტიც გავაფორმოთო. ველოდე ავსტრიელის გაყიდვას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და მეც ნალჩიკში წავედი. სხვათა შორის, მოსკოველების მიზეზით იყო გამოწვეული სეზონისთვის ნალჩიკელებთან ერთად მზადება დაგვიანებით რომ დავიწყე. ახლა, "სპარტაკის" თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა არანაკლებ საინტერესო გუნდები დაინტერესდნენ".*

ამისულაშვილი ნაკრებში დიდი ხანია დაივიწყეს. ალეკო უკვე მკვახე განცხადებებსაც აკეთებს: *"სანამ გუნდში კლაუს ტოპმიოლერი იმუშავებს, მიწვევის იმედი არ მაქვს. მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს ფეხბურთელმა ისეთი, მისი ყურადღება რომ მიიქციოს. სადღაც ორლობეში ხომ არ ვთამაშობ, რუსეთის პრემიერლიგაში ვარ, თან სულ ძირითადში მაყენებენ, მაგრამ ყურადღებას მაინც არც მაქცევენ. ეტყობა, მის ნაკრებში თამაში არ მიწერია".*

ალეკოს გვაზავაზეც ვესაუბრეთ: *"ლევანი, ძირითადად, შეცვლებზე თამაშობს. თუმცა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ის "სპარტაკის" სოლსკიაერია. მოედანზე მისი გამოჩენა და მომენტის შექმნა ერთია. კრასნოჟანი ლევანს ემადლიერება, უკვე ახალი კონტრაქტიც შესთავაზა. თუმცა ისიც ჩემსავით ფიქრობს. როცა კი შეცვლაზე შემოვიდა, ყველა მატჩი ძალიან კარგად ითამაშა".*

მერაბ მამულაშვილი

განცხადება

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები ანარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

ს.ჯ. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუქვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, ეცოცხლეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge www.cdn.ge

A ჯგუფი

2 ივნისი, 2007

ბელგია-პორტუგალია
აზერბაიჯანი-პოლონეთი
ფინეთი-სერბეთი
ყაზახეთი-სომხეთი

6 ივნისი, 2007

სომხეთი-პოლონეთი
ფინეთი-ბელგია
ყაზახეთი-აზერბაიჯანი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	6	5	1	1	12-5	16
2. პორტუგალია	6	3	2	1	13-4	11
3. სერბეთი	6	3	2	1	8-4	11
4. ფინეთი	6	3	2	1	7-3	11
5. ბელგია	6	2	1	3	4-6	7
6. ყაზახეთი	6	1	2	3	3-8	5
8. აზერბაიჯანი	6	1	1	4	2-13	1
8. სომხეთი	5	0	1	4	0-6	1

ჩატარებული მატჩები

ბელგია-ყაზახეთი 0:0
სერბეთი-აზერბაიჯანი 1:0
პოლონეთი-ფინეთი 1:3
აზერბაიჯანი-ყაზახეთი 1:1
ფინეთი-პორტუგალია 1:1
პოლონეთი-სერბეთი 1:1
სომხეთი-ბელგია 0:1
სერბეთი-ბელგია 1:0
პორტუგალია-აზერბაიჯანი 3:0
სომხეთი-ფინეთი 0:0
ყაზახეთი-პოლონეთი 0:1
სერბეთი-სომხეთი 3:0
პოლონეთი-პორტუგალია 2:1
ბელგია-აზერბაიჯანი 3:0
ყაზახეთი-ფინეთი 0:2
პორტუგალია-ყაზახეთი 3:0
ბელგია-პოლონეთი 0:1
ფინეთი-სომხეთი 1:0
პორტუგალია-ბელგია 4:0
პოლონეთი-აზერბაიჯანი 5:0
ყაზახეთი-სერბეთი 2:1
სერბეთი-პორტუგალია 1:1
პოლონეთი-სომხეთი 1:0
აზერბაიჯანი-ფინეთი 1:0

დარჩენილი მატჩები

22 აგვისტო, 2007

სომხეთი-პორტუგალია
ფინეთი-ყაზახეთი
ბელგია-სერბეთი

8 სექტემბერი, 2007

პორტუგალია-პოლონეთი
აზერბაიჯანი-სომხეთი
სერბეთი-ფინეთი

12 სექტემბერი, 2007

პორტუგალია-სერბეთი
ფინეთი-პოლონეთი
სომხეთი-აზერბაიჯანი
ყაზახეთი-ბელგია

13 ოქტომბერი, 2007

აზერბაიჯანი-პორტუგალია
პოლონეთი-ყაზახეთი
სომხეთი-სერბეთი
ბელგია-ფინეთი

17 ოქტომბერი, 2007

ყაზახეთი-პორტუგალია
აზერბაიჯანი-სერბეთი
ბელგია-სომხეთი

17 ნოემბერი, 2007

პორტუგალია-სომხეთი
პოლონეთი-ბელგია
სერბეთი-ყაზახეთი
ფინეთი-აზერბაიჯანი

21 ნოემბერი, 2007

პორტუგალია-ფინეთი
სერბეთი-პოლონეთი
სომხეთი-ყაზახეთი
აზერბაიჯანი-ბელგია

B ჯგუფი

2 ივნისი, 2007

უკრაინა-იტალია
ლიტვა-საქართველო
საფრანგეთი-უკრაინა

6 ივნისი, 2007

საფრანგეთი-საქართველო
ლიტვა-იტალია
უკრაინა-შოტლანდია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	5	4	0	1	12-2	12
2. შოტლანდია	6	4	0	2	11-6	12
3. უკრაინა	5	4	0	1	8-4	12
4. იტალია	5	3	1	1	9-5	10
5. საქართველო	6	2	0	4	13-12	6
6. ლიტვა	5	1	1	3	3-5	4
7. უკრაინა	6	0	0	6	1-23	0

ჩატარებული მატჩები

უკრაინა-საქართველო 0:6
შოტლანდია-უკრაინა 6:0
საქართველო-საფრანგეთი 0:3
იტალია-ლიტვა 1:1
უკრაინა-საქართველო 3:2
ლიტვა-შოტლანდია 1:2
საფრანგეთი-იტალია 3:1
უკრაინა-ლიტვა 0:1
შოტლანდია-საფრანგეთი 1:0
იტალია-უკრაინა 2:0
საქართველო-იტალია 1:3
უკრაინა-შოტლანდია 2:0
საფრანგეთი-უკრაინა 5:0
შოტლანდია-საქართველო 2:1
ლიტვა-საფრანგეთი 0:1
უკრაინა-უკრაინა 0:2
უკრაინა-ლიტვა 1:0
საქართველო-უკრაინა 3:1
იტალია-შოტლანდია 2:0

დარჩენილი მატჩები

8 სექტემბერი, 2007

საქართველო-უკრაინა
შოტლანდია-ლიტვა
იტალია-საფრანგეთი

12 სექტემბერი, 2007

უკრაინა-იტალია
საფრანგეთი-შოტლანდია
ლიტვა-უკრაინა

13 ოქტომბერი, 2007

შოტლანდია-უკრაინა
იტალია-საქართველო
უკრაინა-საფრანგეთი

17 ოქტომბერი, 2007

უკრაინა-უკრაინა
საქართველო-შოტლანდია
საფრანგეთი-ლიტვა

17 ნოემბერი, 2007

ლიტვა-უკრაინა
შოტლანდია-იტალია

21 ნოემბერი, 2007

უკრაინა-საფრანგეთი
საქართველო-ლიტვა
იტალია-უკრაინა

C ჯგუფი

2 ივნისი, 2007

ბოსნია-თურქეთი
ნორვეგია-მალტა
საბერძნეთი-უნგრეთი

6 ივნისი, 2007

ბოსნია-მალტა
საბერძნეთი-მოლდოვა
ნორვეგია-უნგრეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. თურქეთი	5	4	1	0	14-3	13
2. საბერძნეთი	5	4	0	1	8-4	12
3. ნორვეგია	5	2	1	2	9-6	7
4. ბოსნია	5	2	1	2	10-12	7
5. უნგრეთი	5	2	0	3	7-8	6
6. მალტა	5	1	1	3	5-10	4
7. მოლდოვა	6	0	2	4	3-13	2

ჩატარებული მატჩები

მალტა-ბოსნია 2:5
უნგრეთი-ნორვეგია 1:4
მოლდოვა-საბერძნეთი 0:1
ნორვეგია-მოლდოვა 2:0
თურქეთი-მალტა 2:0
ბოსნია-უნგრეთი 1:3
მოლდოვა-ბოსნია 2:2
უნგრეთი-თურქეთი 0:1
საბერძნეთი-ნორვეგია 1:0
თურქეთი-მოლდოვა 5:0
მალტა-უნგრეთი 2:1
ბოსნია-საბერძნეთი 0:4
საბერძნეთი-თურქეთი 1:4
მოლდოვა-მალტა 1:1
ნორვეგია-ბოსნია 1:2
თურქეთი-ნორვეგია 2:2
მალტა-საბერძნეთი 0:1
უნგრეთი-მოლდოვა 2:0

დარჩენილი მატჩები

8 სექტემბერი, 2007

მალტა-თურქეთი
მოლდოვა-ნორვეგია
უნგრეთი-ბოსნია

12 სექტემბერი, 2007

ნორვეგია-საბერძნეთი
თურქეთი-უნგრეთი
ბოსნია-მოლდოვა

13 ოქტომბერი, 2007

მოლდოვა-თურქეთი
უნგრეთი-მალტა
საბერძნეთი-ბოსნია

17 ოქტომბერი, 2007

თურქეთი-საბერძნეთი
ბოსნია-ნორვეგია
მალტა-მოლდოვა

17 ნოემბერი, 2007

ნორვეგია-თურქეთი
საბერძნეთი-მალტა
მოლდოვა-უნგრეთი

21 ნოემბერი, 2007

თურქეთი-ბოსნია
მალტა-ნორვეგია
უნგრეთი-საბერძნეთი

D ჯგუფი

2 ივნისი, 2007

გერმანია-სან მარინო
უელსი-ჩეხეთი

6 ივნისი, 2007

გერმანია-სლოვაკეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	5	4	1	0	21-3	13
2. ჩეხეთი	6	4	1	1	15-4	13
3. ირლანდია	7	4	1	2	12-8	13
4. სლოვაკეთი	6	3	0	3	15-11	9
6. უელსი	5	2	0	3	8-9	6
5. კვიპროსი	6	1	1	4	9-16	4
7. სან მარინო	5	0	0	5	1-30	0

ჩატარებული მატჩები

სლოვაკეთი-კვიპროსი 6:1
ჩეხეთი-უელსი 2:1
გერმანია-ირლანდია 1:0
სლოვაკეთი-ჩეხეთი 0:3
სან მარინო-გერმანია 0:13
ჩეხეთი-სან მარინო 7:0
კვიპროსი-ირლანდია 5:2
უელსი-სლოვაკეთი 1:5
ირლანდია-ჩეხეთი 1:1
სლოვაკეთი-გერმანია 1:4
უელსი-კვიპროსი 3:1
კვიპროსი-გერმანია 1:1
ირლანდია-სან მარინო 5:0
სან მარინო-ირლანდია 1:2
ჩეხეთი-გერმანია 1:2
კვიპროსი-სლოვაკეთი 1:3
ირლანდია-უელსი 1:0
უელსი-სან მარინო 3:0
ირლანდია-სლოვაკეთი 1:0
ჩეხეთი-კვიპროსი 1:0

დარჩენილი მატჩები

22 აგვისტო, 2007

სან მარინო-კვიპროსი

8 სექტემბერი, 2007

სან მარინო-ჩეხეთი
უელსი-გერმანია
სლოვაკეთი-ირლანდია

12 სექტემბერი, 2007

ჩეხეთი-ირლანდია
სლოვაკეთი-უელსი
კვიპროსი-სან მარინო

13 ოქტომბერი, 2007

ირლანდია-გერმანია
კვიპროსი-უელსი
სლოვაკეთი-სან მარინო

17 ოქტომბერი, 2007

გერმანია-ჩეხეთი
ირლანდია-კვიპროსი
სან მარინო-უელსი

17 ნოემბერი, 2007

ჩეხეთი-სლოვაკეთი
გერმანია-კვიპროსი
უელსი-ირლანდია

21 ნოემბერი, 2007

კვიპროსი-ჩეხეთი
გერმანია-უელსი
სან მარინო-სლოვაკეთი

E ჯგუფი

2 ივნისი, 2007

ესტონეთი-ხორვატია
რუსეთი-ანდორა
მაკედონია-ისრაელი

6 ივნისი, 2007

ესტონეთი-ინგლისი
ანდორა-ისრაელი
ხორვატია-რუსეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	5	4	1	0	15-4	13
2. ისრაელი	6	3	2	1	13-6	11
3. ინგლისი	6	3	2	1	9-2	11
4. რუსეთი	5	3	2	0	7-1	11
5. მაკედონია	6	2	1	3	5-5	7
6. ესტონეთი	5	0	0	5	0-10	0
7. ანდორა	5	0	0	5	1-22	0

ჩატარებული მატჩები

ესტონეთი-მაკედონია 0:1
ინგლისი-ანდორა 5:0
ესტონეთი-ისრაელი 0:1
რუსეთი-ხორვატია 0:0
ისრაელი-ანდორა 4:1
მაკედონია-ინგლისი 0:1
ინგლისი-მაკედონია 0:0
ხორვატია-ანდორა 7:0
რუსეთი-ისრაელი 1:1
ხორვატია-ინგლისი 2:0
რუსეთი-ესტონეთი 2:0
ანდორა-მაკედონია 0:3
ისრაელი-ხორვატია 3:4
მაკედონია-რუსეთი 0:2
ისრაელი-ინგლისი 0:0
ესტონეთი-რუსეთი 0:2
ხორვატია-მაკედონია 2:1
ანდორა-ინგლისი 0:3
ისრაელი-ესტონეთი 4:0

დარჩენილი მატჩები

22 აგვისტო, 2007

ესტონეთი-ანდორა

8 სექტემბერი, 2007

ინგლისი-ისრაელი
რუსეთი-მაკედონია
ხორვატია-ესტონეთი

12 სექტემბერი, 2007

ინგლისი-რუსეთი
ანდორა-ხორვატია
მაკედონია-ესტონეთი

13 ოქტომბერი, 2007

ინგლისი-ესტონეთი

17 ოქტომბერი, 2007

რუსეთი-ინგლისი
ხორვატია-ისრაელი
მაკედონია-ანდორა

17 ნოემბერი, 2007

მაკედონია-ხორვატია
ისრაელი-რუსეთი
ანდორა-ესტონეთი

21 ნოემბერი, 2007

ინგლისი-ხორვატია
ისრაელი-მაკედონია
ანდორა-რუსეთი

F ჯგუფი

2 ივნისი, 2007

დანია-შვედეთი
ლატვია-ესპანეთი
ირლანდია-ლიხტენშტაინი

6 ივნისი, 2007

ლიხტენშტაინი-ესპანეთი
შვედეთი-ირლანდია
ლატვია-დანია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩრ.ირლანდია	6	4	1	1	10-7	13
2. შვედეთი	5	4	0	1	9-4	12
3. ესპანეთი	5	3	0	2	9-6	9
4. დანია	4	2	1	1	7-2	7
5. ლატვია	4	1	0	3	4-3	3
6. ირლანდია	5	1	0	4	4-9	3
7. ლიხტენშტაინი	5	1	0	4	3-15	3

ჩატარებული მატჩები

ჩრ.ირლანდია-ირლანდია 0:3
ლატვია-შვედეთი 0:1
ესპანეთი-ლიხტენშტაინი 4:0
შვედეთი-ლიხტენშტაინი 3:1
ირლანდია-დანია 0:2
ჩრ.ირლანდია-ესპანეთი 3:2
შვედეთი-ესპანეთი 2:0
დანია-ჩრ.ირლანდია 0:0
ლატვია-ირლანდია 4:0
ირლანდია-შვედეთი 1:2
ლიხტენშტაინი-დანია 0:4
ჩრ.ირლანდია-ლატვია 1:0
ესპანეთი-დანია 2:1
ლიხტენშტაინი-ჩრ.ირლანდია 1:4
ჩრ.ირლანდია-შვედეთი 2:1
ლიხტენშტაინი-ლატვია 1:0
ესპანეთი-ირლანდია 1:0

დარჩენილი მატჩები

22 აგვისტო, 2007

ჩრ.ირლანდია-ლიხტენშტაინი

8 სექტემბერი, 2007

შვედეთი-დანია
ლატვია-ჩრ.ირლანდია
ირლანდია-ესპანეთი

12 სექტემბერი, 2007

ირლანდია-ჩრ.ირლანდია
ესპანეთი-ლატვია
დანია-ლიხტენშტაინი

13 ოქტომბერი, 2007

დანია-ესპანეთი
ლიხტენშტაინი-შვედეთი
ირლანდია-ლატვია

17 ოქტომბერი, 2007

შვედეთი-ჩრ.ირლანდია
ლიხტენშტაინი-ირლანდია
დანია-ლატვია

17 ნოემბერი, 2007

ესპანეთი-შვედეთი
ჩრ.ირლანდია-დანია
ლატვია-ლიხტენშტაინი

21 ნოემბერი, 2007

ესპანეთი-ჩრ.ირლანდია
დანია-ირლანდია
შვედეთი-ლატვია

G ჯგუფი

2 ივნისი, 2007

სლოვენია-რუმინეთი
ალბანეთი-ლუქსემბურგი
ბელარუსი-ბულგარეთი

6 ივნისი, 2007

რუმინეთი-სლოვენია
ლუქსემბურგი-ალბანეთი
ბულგარეთი-ბელარუსი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	6	4	2	0	8-2	14
2. რუმინეთი	5	3	2	0	10-3	11
3. ბულგარეთი	5	2	3	0	7-3	9
4. ბელარუსი	5	2	1	2	9-11	7
5. სლოვენია	5	1	1	3	4-8	4
6. ალბანეთი	5	0	3	2	3-6	3
7. ლუქსემბურგი	5	0	0	5	1-9	0

ჩატარებული მატჩები

ბელარუსი-ალბანეთი 2:2
რუმინეთი-ბულგარეთი 2:2
ლუქსემბურგი-პოლონეთი 0:1
ბულგარეთი-სლოვენია 3:0
ალბანეთი-რუმინეთი 0:2
პოლონეთი-ბელარუსი 3:0
რუმინეთი-ბელარუსი 3:1
ბულგარეთი-პოლონეთი 1:1
სლოვენია-ლუქსემბურგი 2:0
ბელარუსი-სლოვენია 4:2
ლუქსემბურგი-ბულგარეთი 0:1
პოლონეთი-ალბანეთი 2:1
პოლონეთი-რუმინეთი 0:0
ლუქსემბურგი-ბელარუსი 1:2
ალბანეთი-სლოვენია 0:0
რუმინეთი-ლუქსემბურგი 3:0
სლოვენია-პოლონეთი 0:1
ბულგარეთი-ალბანეთი 0:0

დარჩენილი მატჩები

8 სექტემბერი, 2007

ბელარუსი-რუმინეთი
პოლონეთი-ბულგარეთი
ლუქსემბურგი-სლოვენია

12 სექტემბერი, 2007

სლოვენია-ბელარუსი
ბულგარეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-პოლონეთი

13 ოქტომბერი, 2007

რუმინეთი-პოლონეთი
ბელარუსი-ლუქსემბურგი
სლოვენია-ალბანეთი

17 ოქტომბერი, 2007

ლუქსემბურგი-რუმინეთი
პოლონეთი-სლოვენია
ალბანეთი-ბულგარეთი

17 ნოემბერი, 2007

ბულგარეთი-რუმინეთი
პოლონეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-ბელარუსი

21 ნოემბერი, 2007

რუმინეთი-ალბანეთი
ბელარუსი-პოლონეთი
სლოვენია-ბულგარეთი

რაიან გიგზი ნაკრებში ბოლო მატჩს ჩაატარებს

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩების წინ

დანიის ბოლო შანსი

დღეს უელსი რაიან გიგზს გააცილებს

დღეს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის 21 შეხვედრა გაიმართება. ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვთ ბელგიას, ნორვეგიასა და დანიას, რომლებიც იძულებულები არიან, მოიგონ. გერმანიის ნაკრები სან მარინოსთან რეკორდული ანგარიშით გამარჯვებას შეეცდება, უელსი კი დიდ კაცს ემშვიდობება.

A ჯგუფი

A ჯგუფში რვავე გუნდი თამაშობს. 16 საათზე ერთმანეთის წინააღმდეგ ყაზახეთი და სომხეთი წარდგებიან, ზუსტად ოთხი საათის შემდეგ კი, ჯგუფის ლიდერი პოლონეთი ბაქოში, აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ წარდგება. პოლონელები ზედიზედ მე-6 გამარჯვების მოპოვებასა და ლიდერობის განმტკიცებას გეგმავენ. პოლონეთის შემდეგ, რომელსაც სხვა გუნდებისგან განსხვავებით, ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული, ევრო 2008-ის მეორე საგზურისთვის ერთდროულად სამი გუნდი იბრძვის. ამ სამიდან ორი ერთმანეთს ხვდება: ფინეთი სერბეთს მასპინძლობს.

მეორე ადგილზე მყოფი პორტუგალია ბელგიაში ჩადის და როგორც იცით, პირნეელებს **კრისტიანო რონალდო** არ ეყოლებათ. მიუხედავად ამისა, ბელგიელები მაინც ძალიან ფრთხილობენ. *"პორტუგალიის ნაკრები რონალდოს გარეშეც ძალიან ძლიერია. ასე რომ, ყურადღებით უნდა ვიყოთ,"* - აცხადებს მასპინძელთა დამრიგებელი **რენე ვანდერეიკენი**. თავის მხრივ, ბელგია ვალდებულია, მოიგოს, თუკი უნდა, რომ პირველი ოთხეული თვალთახედვის არიდან არ დაკარგოს. ფავორიტი, რა თქმა უნდა, პორტუგალიაა.

C ჯგუფი

ამ ჯგუფში თურქებმა და ბერძნებმა ყველა მეტოქე დაჩრდილეს და თუ სასნაული არ მოხდა, ევროპის ჩემპიონატის საგზურს ორივე გუნდი უპრობლემოდ მოიპოვებს. **ფათიჰ თერიმის** გუნდს 13 ქულა აქვს, **ოტო რეჰაგელის** სამწყსოს კი 12. მესამე ადგილზე მყოფი ბოსნია საბერძნეთს 5 ქულით ჩამორჩება. დღეს ბოსნიელები თურქებს მასპინძლობენ და თუ ავსტრია-შვეიცარიაში გამგზავრების ამბიცია აქვთ, ეს თამაში უნდა მოიგონ, რაც ერთობ არარეალურია. იგივე ეხება ნორვეგიასაც, რომელიც მალტას სტუმრობს. სკანდინავიელები კუნძულზე **ოლე გუნარ სოლსკიაერის** გარეშე ჩავიდნენ - მანჩესტერელს მუხლის ტრავმა აქვს. ამ უკანასკნელის ნაცვლად ნორვეგიელთა თავკაცმა **თომას მირემ** არავის უხმო. უკანასკნელი შანსისთვის იბრძოლებს უნგრეთიც, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ გამარჯვება მოახერხოს - უნგრელები საბერძნეთს სტუმრობენ, გუნდს, რომელმაც 5 თამაშში მხოლოდ 4 გოლი გაუშვა და ისიც მხოლოდ თურქეთისგან (საბერძნეთი-თურქეთი1:4).

D ჯგუფი

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ სან მარინოს სტუმრად 13:0 მოუგო, დღევანდელ მატჩში ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ექსპერიმენტებას არ დაიწყებს და მეორე გუნდით არ ითამაშებს. *"ეს თამაში სლოვაკეთთან შეხვედრის გენერალური რეპეტიცია უნდა იყოს,"* - ამბობს ლიოვი. როგორც იცით, ალემანები ოთხშაბათს სწორედ სლოვაკეთს უმასპინძლებენ. ტრავმირებული **მიხაელ ბალაკის** არყოფნაში, გერმანიის კაპიტანი **ბერნდ შნაიდერი** იქნება, მის პოზიციაზე კი, შესაძლოა, ჰამბურგელი **პიოტრ ტროხოვსკი** ვიხილოთ. თუმცა ამ უკანასკნელსაც მცირე ტრავმა აწუხებს და გამორიცხული არაა, რომ ბალაკის პოზიციაც შნაიდერმა შეითავსოს. როგორც იცით, ალემანს არც **ბასტიან შვაინშტაიგერი** ეყოლებათ. დანაკლისი აქვთ სანმარინოელებსაც. მართალია, ეს ნაკლებად საინტერესოა, სამაგიეროდ მიზეზი გახლავთ ერთობ მოულოდნელი: სან მარინოელთა ლიდერ **ენდი სილვას** თავისი იტალიური კლუბის "სასუოლოს" რიგებში თამაში ურჩევნია, რომელიც სერია B-ში გადასვლისთვის იბრძვის.

მეორე შეხვედრაში უელსი ჩეხეთს მასპინძლობს. სტუმრებს ტრავმის გამო **ტომაშ გალაშეკი** გამოაკლდათ. **რაიან გიგზისთვის** კი, ეს მატჩი უელსის ნაკრებში რიგით 64-ე და უკანასკნელი იქნება.

E ჯგუფი

ამ ჯგუფში დღევანდელმა შეხვედრებმა სატურნირო ცხრილი წესით დიდად არ უნდა შეცვალოს. მესამე ადგილზე მყოფი რუსეთი უქულო ანდორას მასპინძლობს, ლიდერი ხორვატია კი ესტონეთს სტუმრობს, გუნდს, რომელსაც გარდა იმისა, რომ არცერთი ქულა არ აქვს, გატანილი გოლების გრაფაშიც 0 უწერია. გაცილებით საინტერესო და დაძაბული იქნება მაკედონიაში დაგეგმილი მატჩი, სადაც მეორეადგილოსანი ისრაელი ჩადის.

F ჯგუფი

დანია შვედეთს მასპინძლობს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მასპინძელთათვის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია - სკანდინავიურ დერბიში დანიას აუცილებლად მოგება უნდა. მთავარი მწვრთნელი **მორტენ ოლსენი** დისკვალიფიცირებულია და თამაშს თვალი ტრიბუნიდან უნდა ადევნოს. დანიელებს **ნიკლას იენსენიც** დასჯილი ჰყავთ. მის ნაცვლად, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე, ალბათ **იან კრისტიანსენი** ითამაშებს. გაურკვეველია **იონ დალ ტომასონის** მდგომარეობა, რომელიც ავადმყოფობისა და ტრავმების გამო "ვილიარეალში" ბოლო დროს იშვიათად თამაშობდა. *"ჰო, მაგრამ ტომასონი ისეთი ფეხბურთელია, რომლისთვისაც ფორმაში ყოფნა აუცილებელი არ არის,"* - აცხადებს ოლსენი. ესპანელები, რომლებიც ასევე წნეხის ქვეშ არიან მოქცეული, ლატვიას სტუმრობენ.

G ჯგუფი

ბელარუსსა და ბულგარეთს ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ და დღეს ისინი ერთმანეთს ხვდებიან. ცხადია, ორივე მათგანს გაეხარდება, სლოვენიამ მეორე ადგილზე მყოფ რუმინეთს ფეხი რომ დაუდოს. ლიდერი ჰოლანდია კი არც დღეს თამაშობს და არც ოთხშაბათს.

არისტოკრატები

გადაწყდა: პისარო ჩელსიში

ჟოზეს სურდა, დროგბას კონკურენტი მიეღო და მიიღო კიდეც

მაშ ასე: **კლაუდიო პისაროს** მომავალი გარკვეულია! ინგლისური გამოცემა "თაიმსის" ცნობით, "ბაიერნის" თავდამსხმელი, რომელსაც რეკორდმაისტერთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მომავალი სეზონიდან "ჩელსის" მაისურას მოირგებს. როგორც ჩვენი ინგლისელი კოლეგები იტყობინებიან, პერუელი "არისტოკრატებთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს - "ჩელსიში" ის უფასოდ გადადის. პისაროს მიუხენში დარჩენა სურდა, მაგრამ ბავარიული გიგანტის ბოსებმა ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმეს, რადგან ხელფასის გაზრდას ითხოვდა.

ცნობები იმის შესახებ, რომ ლონდონელებს პისაროს გადაბირება სურდათ, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გავრცელდა. მისი მრჩეველი ამბობდა, კლაუდიოს გრანდიოზული წინადადება აქვს და კარიერას "ბაიერნზე" ძლიერ გუნდში გააგრძელებსო. მაშინ ეს არავის სჯეროდა, ახლა კი რეალობაა - პისარო "ჩელსიში" მიდის. გაირკვა, რომ "სტემფორდ ბრიჯზე" მისი ხელფასი კვირაში 73 500 ევრო იქნება. ანუ, თუ კლაუდიო კონტრაქტის ბოლომდე "არისტოკრატი" იქნება, ჯამში 15.2 მილიონ ევროს მიიღებს.

პისა ლონდონელთა რიგით მესამე უფასო ახალწვეულია. მანამდე "ჩელსიმ" კონტრაქტები რეიინგელ **სტივ სიდველსა** და ეინდჰოვენელ **ალექსს** გაუფორმა. **ჟოზე მოურინიოს** კლაუდიო **დიდიე დროგბას** კონკურენტად სურდა. ცნობილია, რომ "ჩელსის" ბოსებთან მოლაპარაკებების გამო პისარომ პერუს ნაკრებში, ეკვადორსა და ესპანეთთან მატჩებში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა.

კლაუდიო პისარო მეოთხე არაგერმანელი ფეხბურთელია, რომელმაც ბუნდესლიგაში 100 გოლის გატანა მოახერხა. მიუნხენური გრანდის მაისურით მან 229 თამაშში 97 გოლი შეაგდო, აქედან, 71 ბუნდესლიგაში. "ვერდერში", სადაც 1999-იდან 2001 წლამდე ასპარეზობდა, 29 გოლი გაიტანა და ამრიგად, ბუნდესლიგაში სულ 100 გოლი აქვს. მის გარდა, 100 გოლიანი ბარიერი არაგერმანელი ფორვარდებიდან, მხოლოდ **ჯოვანი ელბერს** (133), **სტეფან შაპუიზასა** (106) და **აილტონს** (105) აქვთ დაძლეული.

სკოლარი: ლონდონიდან დამირეკეს

საკვალიფიკაციო მატჩებამდე ერთი დღით ადრე **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** სპეკულაციების ახალი ტალღა ააგორა. პორტუგალიელთა თავკაცი ირწმუნება, რომ **რომან აბრამოვიჩის** ემისრებმა მას "ჩელსიში" მუშაობა შესთავაზეს. სკოლარი ცეცხლზე ნავთს ასხამს და ამბობს, რომ მას სულ რაღაც სამი კვირის წინათ დაუკავშირდნენ. *"რა თქმა უნდა, დიდი პატივია, როცა ამხელა კლუბს შენთან თანამშრომლობა სურს,"* - ამბობს სეუ ლუიში. მისი აგენტი უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა: *"ეს ის პერიოდია, როცა მწვრთნელებს უთვალავი წინადადებით მიმართავენ. რა გასაკვირია, რომ სკოლარისაც დაურეკეს, მაგრამ მისი პოზიცია ურყევია. ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმას არ აპირებს. ლუიშ ფელიპეს სურს, პორტუგალია ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანოს. ამ წუთში ის სხვა საკითხებზე არცკი ფიქრობს."*

კლაუდიო პისარო ლონდონში წავიდა

სკოლარის განცხადება მოულოდნელი უნდა იყოს მოურინიოსათვის, რომელიც დირექტორებთან უთანხმოებას ამოწურულად თვლის და ახალი სეზონისათვის ემზადება. მწვრთნელი "ჩელსის" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელთან ერთად განაში იმყოფება და საქველმოქმედო პროექტებში მონაწილეობს. მოურინიოს ყველგან ოვაციებით ხვდებიან. თინეიჯერი ფანი, რომელსაც ჟოზემ ავტოგრაფი მობილური ტელეფონის ხუფზე გაუკეთა, ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზე დაფრინავს: *"წარმოიდგინეთ, მე მისი ავტოგრაფი მოვიპოვე. ასეთი გახარებული არასოდეს ვყოფილვარ. ის კარგი ადამიანია. სხვა დიდ მწვრთნელებს შავი ხალხი ჭირივით სძულთ."*

მოურინიოს ვიზიტი პირველი აქციაა კანადურ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან გაფორმებული კონტრაქტის შემდეგ. ორგანიზაციას სახელად "თამაშის უფლება" ჰქვია. "არისტოკრატები" მათთან მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ითანამშრომლებენ. პროექტები ხაზს უსვამს სპორტის მნიშვნელობას მშვიდობის განმტკიცებისა და სილარიბის დაძლევის საქმეში.

ჟოზე: *"მიხარია, რომ აფრიკაში ვარ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ კონტინენტთან განსაკუთრებული გრძნობები მაკავშირებს. ჩემი მეუღლე ტამი ანგოლელია. მე მიყვარს აფრიკა და ბედნიერებაა, თუკი შემიძლია, ვიღაცას ღიმილი დავუბრუნო და ვიღაცა კარგ ხასიათზე დავაყენო."* "ჩელსის" ბოსმა რამდენიმე საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშები ჩაატარა. ბავშვები სიამოვნებით ასრულებდნენ მის მითითებებს. *"ჩემი აზრით, იმისათვის, რომ დიდი კლუბი გერქვას, ტიტულები საკმარისი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანია ხალხის სიყვარული,"* - დასძინა მოურინიომ. გუშინ ის ლონდონში დაბრუნდა, თუმცა დაწყებულ საქმეს "ჩელსის" კიდევ ერთი ვარსკვლავი **მიკაელ ესიენი** გაგრძელებს. განელი ნახევარმცველი სამშობლოში ხუთშაბათს ჩაფრინდა, რათა მთელი რიგი საქველმოქმედო აქციები ჩაატაროს.

ლივერპული. ტრანსფერები

ბენიტესს მალუდა ეძვირა

რას აპირებენ ბელამი და ჰიიპია?

"ლივერპულს" **ფლორან მალუდას** შეძენა უნდა. "ლიონმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვანქა მოითხოვა. მერსისაიდელები ფიქრობენ. მალუდა კი ინგლისელებს კონტრაქტის გაფორმებას სთხოვს: *"ლივერპულიდან მხოლოდ ერთხელ დამირეკეს. მას მერე არაფერი მსმენია. შესანიშნავი კლუბია. ვინ არ ინატრებდა "ენფილდზე" თამაშს? ვიცი, რომ 17 მილიონად შემაფასეს. მე "ლიონის" საკუთრება ვარ. ლიონელებს კი უფლება აქვთ, იმდენი მოითხოვონ, რამდენსაც საჭიროდ თვლიან, მაგრამ 17 მილიონი მაინც ძალიან ბევრი მგონია. იმედია, ეს თანხა ტრანსფერში ხელს არ შემიშლის."*

კიდევ რამდენიმე ინფორმაცია ლივერპულიდან. **კრეიგ ბელამის** "ენფილდზე" დარჩენა სურს. მან იცის, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული არ აქვს, მაგრამ კონკურენციის არ ეშინია. ბელამი "ასტონ ვილამ" მოიკითხა. მერსისაიდელებმა სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა მოითხოვეს, რამაც მოლაპარაკებები შეაფერხა. ბირმინგემელთა გარდა, კრეიგს მისი ყოფილი კლუბი "ბლეკბერნიც" ეპატიჟება. "ვარდები" ტრანსფერისათვის საჭირო ფულს **მორტენ გამსტ პედერსენის** "ტოტენჰემში" გაყიდვით გააკეთებენ.

შეიძლება, აბარგება მოუხდეს **სემი ჰიიპიას**. ფინელმა მცველმა თადარიგში გადაინაცვლა. მას "ფულჰემი", "ნიუკასლი" და "ბირმინგემი" იწვევენ. მაგრამ **რაფა ბენიტესს** გასაშვებად არ ემეტება: *"სემის ვესაუბრე და ვუთხარი, რომ მისი იმედი მაქვს. ის ნამდვილი პროფესიონალია. ადვილი არ არის, მისი დონის ფეხბურთელის პოვნა. იმედია, შვებულების შემდეგ კიდევ შევხვდებით."*

ტერი ბექჰემს კაპიტნად ხედავს

ჯონ ტერი მზადაა, ნაკრების კაპიტნის სამკლაური **დევიდ ბექჰემს** დაუბრუნოს, როცა ის ეროვნულ გუნდში მე-100 მატჩს გამართავს. გუშინ ინგლისმა ბრაზილიას უმასპინძლა. 32 წლის ნახევარმცველმა ერთწლიანი პაუზის შემდეგ 95-ე სანაკრებო შეხვედრა ჩაატარა. მან ტრადიციული შვიდნომრიანი მაისურა მოირგო და ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშა. დევიდის დაბრუნების მიუხედავად, სამკლაური ჯონ ტერის ეკეთა. დღეს სწორედ ისაა ინგლისის კაპიტანი. მატჩამდე ერთი დღით ადრე ტერიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"როცა კაპიტნად ამირჩიეს, პირველებმა ბექსმა და სტივი ჯერარდმა დამირეკეს. ისინი ყოველთვის მქონდა მაგობდნენ და მამხნევებდნენ. დევიდის დასახასიათებლად სიტყვები არ მეყოფა. ის დიდი ადამიანია. ერთი წუთითაც არ მომერიდება, მას რჩევისათვის მივმართო. რადგან სამკლაური მიკეთია, არ ნიშნავს, რომ ყველაზე მაგარი ვარ."*

ინტერი: სამი ფეხბურთელი კივუს სანაცვლოდ

"ინტერი" **კრისტიან კივუს** ტრანსფერზე მუშაობს. რომაელთა გენერალური მენეჯერი **დანიელე პრადე** კი ფეხბურთელის აგენტებს ხვდება. მხარეები ახალი კონტრაქტის პირობებს იხილავენ. თუ შეთანხმდებიან, მილანელებს კივუს დავიწყება მოუწევთ. თუ ვერა – სავსებით რელური იქნება, კრისტიანმა "ნერაძურიში" გააგრძელოს კარიერა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ინტერი" რომაელებს **დავიდ პისაროს**, **ვალტერ სამუელსა** და **მარიანო გონსალესს** შესთავაზებს. შეგახსენებთ, პისარომ გასული სეზონი "ჯალეროსიში" გაატარა. მას ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. გონსალესი სანახევროდ "პალერმოს" საკუთრებაა. სამუელი "ინტერის" ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ის წლიურად 2.6 მილიონ გირვანქას იღებს. თუ ვალტერი რომში გადავა, "ნერაძური" მისი ხელფასის 40 პროცენტს გადაიხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

რანიერი და იუვე, ჭორი თუ მართალი?

სისოკო ტურინისთვის მზადაა

გუშინ გაცნობეთ, რომ "პარმიდან" წასული **კლაუდიო რანიერი** "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელად ინიშნება. ეს ინფორმაცია გუშინ ყველა სააგენტომ გაავრცელა და ამის საფუძველი იყო თავად სპეციალისტის კომენტარი, რომელშიც მას უკვე მანჩესტერული დერბი უტრიალებდა თავში. რანიერი საკმაოდ დაბალი წარმოდგენისაა იტალიური ფეხბურთის დღევანდელობაზე, მაშინ, როცა პრემიერლიგა ქებით ცაში აჰყავს. ბუნებრივია, ამგვარი კომენტარის შემდეგ ცოტა საეჭვოა ინფორმაცია, ვითომდაც რანიერის "იუვენტუსში" მოსალოდნელი დანიშვნის თაობაზე.

რა თქმა უნდა, "ბებერი ქალბატონის" მესვეურთ **მარჩელო ლიპიზე** ხელი არ აუღიათ. მაგრამ ლიპის პრობლემები აქვს, რომელიც მისი ვაჟის "კალჩოპოლის" სკანდალში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობას უკავშირდება. მარჩელო მუშაობის განახლებას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. გუშინ მან ეს უკვე აცნობა "სინიორას" თავკაცებს.

"გაძეტა დელო სპორტი" კი ამტკიცებს, რომ "იუვენტუსის" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** რანიერის დაუკავშირდა. თუ ტურინელთა სურვილი მყარია და არა სათადარიგო ვარიანტი, მაშინ მათ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევთ "მანჩესტერ სიტისთან", რომელსაც ტაილანდის ექსპრემიერ **ტაქსინ შინავატრას** სახით, ახალი მეპატრონე ჰყავთ. აზიელ მულტიმილიარდერს გადაწყვეტილი აქვს, ამ ზაფხულსვე, ტრანსფერებისთვის 50 მილიონი გირვანქა გამოყოს. ეს დიდი ცდუნებაა. საეჭვოა, რანიერიმ ამ თაფლის კასრზე უარი თქვას.

"იუვენტუსი" რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტსაც ამუშავებს. სულ უფრო ინტენსიური ხდება სპეკულაციები **ფრანჩესკო გვიდოლინთან** დაკავშირებით. თუმცა კლუბის დირექტორატში მის კანდიდატურას დიდი მხარდაჭერა არ აქვს. მიაჩნიათ, რომ გვიდოლინის კომპეტენცია "ქალბატონის" ამბიციებს არ შეეფერება. არ არის გამორიცხული ერთი შინაური კაცის დანინაურებაც. საუბარია **ჩირო ფერარაზე**, რომელიც "იუვეს" ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებს. დღის წესრიგში რჩებიან **ანტონიო კონტე** და **ჯანლუკა ვიალიც**.

ყურადღებას იქცევს კლუბის გენერალური მენეჯერის **ჟან-კლოდ ბლანის** მიერ გუშინ გაკეთებული კომენტარი, რომელიც უცხოელ მწვრთნელს ეხება: *"რა თქმა უნდა, ეს საკითხიც განიხილება, მაგრამ ის მეორეხარისხოვანია. ჩვენ ვეძებთ საუკეთესო იტალიელ მწვრთნელს. ჯერ ის, მერე უცხოელი".*

ვრცელდება ვერსია, რომ ეს უცხოელი, შეიძლება, **სვენ გორან ერიქსონი** იყოს. ერიქსონს აპენინებზე მუშაობაში, რომ იტყვიან, ჭიში აქვს მოჭრილი. ის ჯერ "სამპდორიას" წვრთნიდა, მერე "ლაციოში" შექმნა ეპოქა და რომაული გრანდი ჩემპიონიც გახადა. ერთი სიტყვით, სამწვრთნელო საკითხები ჯერ კიდევ გასარკვევია.



კლაუდიო რანიერი

ახლა იმაზე, რაც უკვე გარკვეული, ან თითქმის გარკვეულია. "იუვენტუსი" ლივერპულელ **მოჰამედ სისოკოს** ყიდულობს. მალის ნაკრების ნახევარმცველში ტურინელები 8.5 მილიონ გირვანქას იხდიან. 22 წლის შუახაზელს "ლივერპულში" მომავალი აღარ აქვს. **რაფა ბენიტესმა** ის სკამს მიაჯაჭვა. "ქალბატონს" კი სისოკო ახალ **პატრიკ ვიეირად** ესახება. და რაკი **ტორსტენ ფრინგსის** ტრანსფერიც ჩაიშალა, "იუვენტუსი" სისოკოს ხელიდან არ გაუშვებსო, წერენ იტალიური სააგენტოები.

ვალტერ ნოველინო

ტორინო

მაინც ნოველინო?

"ტორინოსა" და **ჯანი დე ბიაზის** გზები საბოლოოდ და უკვე ოფიციალურად გაიყარა. ტურინული კლუბის პრეზიდენტ **ურბანო კაიროს** მწვრთნელთან განშორება ადრეც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ დარჩენილი იყო ფორმალური საკითხები, რაც კონტრაქტის დეტალებს ეხებოდა. ხელშეკრულების მიხედვით, 51 წლის სპეციალისტს "ტოროში" კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა. გუშინ მას კაიროსთან სამსაათიანი შეხვედრა ჰქონდა. გადაწყდა, რომ ორივე მხარისთვის კონტრაქტის განგრძობა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. ასე რომ, დე ბიაზი, რომელმაც "ბრონეულები" სერია A-ში დატოვა, უმუშევარი დარჩა.

როგორც იტალიური პრესა წერს, ვაკანტურ პოსტზე **ვალტერ ნოველინოს** იწვევენ. წერენ იმასაც, რომ "ტორინოს" პრეზიდენტი უკვე შეხვდა აველინოელ ტაქტიკოსს და ერთწლიანი კონტრაქტიც შეუთანხმა. მხარეები იმაზეც მორიგებულან, რომ წარმატებული სეზონის შემთხვევაში, ხელშეკრულება ავტომატურად ერთი წლით გაგრძელდება, სინიორ ვალტერის წლიური ანაზღაურება კი 570 ათასი გირვანქა იქნება. საგულისხმოა, რომ ნოველინოს საფეხბურთო კარიერა სწორედ "ტორინოში" დაიწყო (1972). შეთავაზებით ის ფრიად კმაყოფილია:

"რაკი ასეთი პრესტიჟული კლუბების ინტერესთა სფეროში მოვექეცი, ეს იმას ნიშნავს, რომ ადრეც კარგად მიმუშავია და ახლაც კარგ ფორმაში ვარ. რაც შეეხება მომავალს, ყველაფერს 4 ივნისამდე გადავწყვეტ".

კლუბი თუ ნაკრები?

იბრაჰიმოვიჩმა ინტერი გააბრაზა...

ზლატანი: რა დროს კლუბია, ნაკრები მელოდეგოდა...

ვისთვის როგორ - ზოგი კლუბს აყენებს წინა პლანზე, ზოგისთვის კი მთავარი თავისი ქვეყნის ნაკრებია. აი, მაგალითიც: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი.** მან "ინტერი" ძალიან გააბრაზა. აპრილის ბოლოს ზლატანმა ტრავმა მიიღო და მას მერე ჩემპიონატში აღარ უთამაშია. შვედმა ფორვარდმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა. წესით, ამის შემდეგ მას ექვსი კვირა უნდა დაესვენა, ხოლო სრულ გამოჯანმრთელებამდე კიდევ 14 დღე ჰქონდა დარჩენილი. მაგრამ იბრამ დაჰკრა ფეხი და შვედეთის ნაკრების ბანაკში ამოჰყო თავი. შვედებს დღეს დანიასთან პრინციპული საკვალიფიკაციო მატჩი აქვთ. ზლატანი თვლის, რომ ჯანმრთელიცა და ავადმყოფიც, პირველ რიგში, ეროვნული გუნდის განკარგულებაში უნდა იყოს.

"რა თქმა უნდა, კლუბის აზრი გასათვალისწინებელი და პატივსაცემია, მაგრამ ნაკრების სამედიცინო შტაბმაც უნდა გამხინჯოს და დაადგინოს, შემიძლია თუ არა თამაში, ვარ თუ არა ჯანმრთელი. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ვითამაშო. თუმცა ვრისკავ იმით, რომ შეიძლება, ხელახლა დავშავდე და ტრავმა გავირთულო".

ბოლო პერიოდში, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა იბრაჰიმოვიჩი კლუბს უპირისპირდება. ამასწინათ, მან სკანდალური ინტერვიუ მისცა პრესას, რომელშიც "იუვენტუსსა" და **ლუჩანო მოჯის** კომპლიმენტები უძღვნა. ეს კი, "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ, იტალიაში მეტად ცუდ ტონად ითვლება. იბრაჰიმოვიჩი თავს იმართლებს:

"ინტერვიუ მივეცი ჟურნალისტს, რომელსაც არ ვიცნობდი და ბედად, ლუჩანო მოჯიც იქვე იყო. ჩემი სიტყვები დაამახინჯეს. ვფიქრობდი, რომ კარგი მასალა გამოვიდოდა, მაგრამ შევცდი, ჟურნალისტმა ცუდად იმუშავა".

იბრაჰიმოვიჩმა "სან სიროს" პუბლიკაც გააბრაზა, როცა გავრცელდა ხმა "მილანში" მის მოსალოდნელ გადასვლასთან დაკავშირებით, თან იმ მომენტში, როცა "ნერაძური" სკუდეტოს ზეიმობდა. ტიფოზებმა მას ობსტრუქციაც მოუწყვეს. ზლატანი ფანებს ამშვიდებს: *"უკვე არა ერთხელ ვთქვი, რომ ჩემი მომავალი კარგა ხნით უკავშირდება "ინტერს". მე პატივს ვცემ კონტრაქტს და აქ ყოფნითაც ბედნიერი ვარ".*

კლუბსა და ფეხბურთელს შორის უთანხმოება კიდევ უფრო ადრე დაიწყო, როცა შვედმა "ინტერის" ხელმძღვანელობას ხელფასის გაზრდა მოსთხოვა. მას ახლა წლიურად 4 მილიონი გირვანქა აქვს. ის მილიონნახევრით მეტს ითხოვს. როგორც ხედავთ, ორ სუბიექტს შორის ურთიერთობა დაძაბულია. "მილანი" და "რეალი" მოვლენათა განვითარებას გაფაციცებით აკვირდებიან.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

დანიშვნა

ფავრი, ბერლინელთა ახალი ბოსი

შვეიცარიელმა ჰერტაში ციურიხი უნდა გაიმეოროს

"ჰერტამ", როგორც იქნა, ახალი მწვრთნელი იპოვა. გუშინ გავრცელებული და დადასტურებული ინფორმაციის თანახმად, ბერლინულ კლუბს მომავალ სეზონში 49 წლის შვეიცარიელი **ლუსიენ ფავრი** უხელმძღვანელებს. ეს უკანასკნელი ამ სეზონში "ციურიხს" თავკაცობდა და ჩემპიონის ტიტული შეუნარჩუნა. იმის გამო, რომ ფავრს შვეიცარიულ გრანდთან კონტრაქტი არ უმთავრდებოდა, "ჰერტას" "ციურიხისთვის" 200 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. მისი კონტრაქტი სამწლიანია.

"მიხარია, რომ მწვრთნელი, რომლის დანიშვნაც ყველაზე მეტად გვინდოდა, ბოლოს და ბოლოს დავითანხმეთ. ფავრი თავისი სტილით, ზუსტად შეეფერება "ჰერტას". დარწმუნებული ვარ, რომ მის ხელში ჩვენი გუნდი წარმატებული იქნება," - განაცხადა გუშინ ბერლინელთა ბოსმა **დიტერ ჰაინესმა**. ახალ მწვრთნელს ბერლინელები ოფიციალურად დღეს წარადგენენ.

ლუსიენ ფავრის სამწვრთნელო კარიერა საკმაოდ წარმატებულია. შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, "ციურიხის" მწვრთნელის რანგში, ზედიზედ ორჯერ (2006, 2007) მოიპოვა ჩემპიონობა. ამასთან, ორჯერვე სეზონში შვეიცარიის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. აი, ფავრის დახასიათებაც: ჟურნალისტებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა აქვს, ტალანტებს აღმოჩენის ნიჭიც გააჩნია და შემტევი ფეხბურთის მოყვარულად მიიჩნევენ.

ამრიგად, ფავრის მოსვლით, "ჰერტაში" **კარსტენ ჰაინეს** მცირეხნიანი ერა დასრულდა. როგორც იცით, ჰაინესმა ეს უკანასკნელი 10 აპრილს, **ფალკო გიოტცის** ადგილზე დანიშნა და არ გამორიცხავდა, რომ მომავალი სეზონისთვისაც დაეტოვებინა. მაგრამ ჰაინემ ბოსს მთავარი მწვრთნელის რანგში თავი ვერ მოაწონა და ახლა ისევ მოყვარულებში მოუწევს მუშაობა.

კიევო დელ ნერის გაშორდა

სერია B-დან გავარდნილი "კიევო" მწვრთნელის გარეშე დარჩა. **ლუიჯი დელ ნერიმ**, რომელმაც 6 წლის წინ გუნდი ელიტურ ლიგაში აღაზევა, კლუბის პრეზიდენტ **ლუკა კამპედელისთან** მოთათბირების შემდეგ, თანამდებობა ხმაურის გარეშე დატოვა. თუ ვინ შეცვლის დელ ნერის, ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდების დონეზეა. ერთ-ერთი კანდიდატურა შეიძლება იყოს **ჯანი დე ბიაზი**, რომელიც "ტორინოდან" გაუშვეს. არის "უდინეზედან" წასული **ალბერტო მალეზანის** ვარიანტიც. აქა-იქ ასახელებენ **სილვიო ბალდინისა** და **სტეფანო პიოლის** კანდიდატურებსაც.

პარკერმა ვესტ ჰემს მიაშურა

"ვესტ ჰემმა" "ნიუკასლის" კაპიტანი **სკოტ პარკერი** შეიძინა. "ჩაქუჩებს" ეს ტრანსფერი 7 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. 26 წლის ნახევარმცველი სარფიან კონტრაქტს გააფორმებს. ფინანსური დეტალები უცნობია, თუმცა ამბობენ, მას ავსტრალიელ მცველ **ლუკას ნილზე** მეტს გადაუხდიან. ნიღი ლონდონელების უმდიდრესი ვარსკვლავი. ის კვირაში 72 ათასი გირვანქას იღებს. პარკერის ნიუკასლური ანაზღაურებაც სოლიდური იყო – 60 ათასი კვირაში. ის "სენტ ჯეიმსზე" 2005 წლის ზაფხულში "ჩელსიდან" 6.5 მილიონად გადავიდა, "ჩელსიმ" კი ერთი წლით ადრე "ჩარლტონიდან" 12 მილიონად იყიდა.

ალან სმიტი ტოტენჰემში?

ალან სმიტი, შეიძლება, "ტოტენჰემში" აღმოჩნდეს. "მანჩესტერ იუნაიტედი" მისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას არ ჩქარობს. სერ ალექს ფერგიუსონმა ის შეიძლება ზედმეტადაც კი მიიჩნიოს. მან ხომ ეს-ესაა, ორი ამომავალი ვარსკვლავი, **ანდერსონი** და **ნანი** შეიძინა. ორივე შემტევი ნახევარმცველია. გუნდში სმიტის ადგილი უბრალოდ აღარ რჩება. ალანი 7 მილიონი გირვანქა ღირს. "ტოტენჰემში" წასვლის შემთხვევაში, მას იქ ორი ლიდსელი თანაგუნდელი **პოლ რობინსონი** და **აარონ ლენონი** დახვდება. "მამლებს" მეოთხე თავდამსხმელი სჭირდებათ. ეგვიპტელი **მიდო** ბარგს აღაგებს. მას ფრანგული კლუბები ეპატიჟებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ახალი ამბები

რონალდინიო ანრის ელის

ლაპორტამ დაადასტურა, რომ არსენალის ფრანგი ფორვარდი სურს, ედმილსონმა მილანისკენ გაიხედა, სავიოლა კი 30 ივნისს წავა...

ბრაზილიის ნაკრები ლონდონში ინგლისის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ემზადება. მატჩი ახლადაშენებულ "უემბლის" სტადიონზე გაიმართება. კარლოს დუნგამ, სხვა ვარსკვლავებთან ერთად, რონალდინიოსაც უხმო. ბრიტანელმა ჟურნალისტებმა "ბარსელონის" სუპერფორვარდის სტუმრობით დიდად გაიხარეს. ლონდონში მთელი სერიოზულობით საუბრობენ, რომ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელები ტიერი ანრის გადაბირებაზე ინტენსიურად მუშაობენ. იქაურ მასმედიელებს ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხი აინტერესებდათ. აღმოჩნდა, რომ რონალდინიო ანრის ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში უზომოდ ბედნიერი დარჩება...

"ტიერი იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა კვალიფიკაციაც ეჭვქვეშ არასოდეს დგება. ის არ არის დამოკიდებული დროსა და გარემოებებზე. თუ ტრავმა არ აწუხებს, ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშობს. ჩემთვის უცნობია, აწარმოებს თუ არა ბეგირისტაინი მოლაპარაკებებს. პროფესიონალი ვარ და სხვის საქმეში ვერ ჩავერევი, თუმცა გულწრფელად მოგახსენებთ, უზომოდ ბედნიერი ვიქნები, თუ ტიერის "კამპ ნოუზე" ჩამოიყვანენ. ფრანგ ფორვარდთან ერთად უდიდესი სიამოვნებით ვითამაშებ. სხვათა შორის, ბეგირისტაინს ამ საქმის მოგვარება ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის დაწყებამდე სურდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, "არსენალის" მესვეურებთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოხერხდა. ანრის ძალიან კარგად ვიცნობ. სარეკლამო აქციებში ხშირად გვითანამშრომლია. გადაუჭარბებლად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. ღმერთმა ქნას, ტიერიმ მართლაც ჩემს გუნდში გააგრძელოს კარიერა."

ინგლისელი ჟურნალისტების მიერ წამონეული თემა ესპანურმა პრესამაც აიტაცა. "დიარიო ასის" კორესპონდენტი გვარნმუნებს, რომ მას შემდეგ, რაც **ხუან ლაპორტამ** "ლივერპულიდან" **სამუელ ეტოოს** 60 მილიონ ევროდ შეძენის შეთავაზება მიიღო, ტიერი ანრის საკითხზე მთელი სერიოზულობით ფიქრი დაიწყო. "ბარსელონის" პრეზიდენტმა საქმეში **ბეგირისტაინი** ჩართო. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას ამზადებენ კატალონიელები, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "არსენალისთვის" დაახლოებით იმდენივე ფულის გადახდა მოუწევთ, რამდენსაც "ლივერპული" ეტოოს სანაცვლოდ გადაიხდის. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში, "ბარსა" ეტოოს, ფაქტობრივად, ანრიში გაცვლის. ლაპორტა ლონდონურ კლუბთან ურთიერთობაზე საუბარს გაურბის, მაგრამ ის ადასტურებს, რომ დირექტორატი ფრანგი ფორვარდით სერიოზულადაა დაინტერესებული.

დროა ისევ რონალდინიოს პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ. როგორც იცით, "ხეტაფესთან" პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაში გაუწოს **პერეს ბურულმა** წითელი ბარათი აუფრიალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც **ბელენგერის** დაუნდობელი ჩარტყმებით თავმობეზრებულმა ბრაზილიელმა მადრიდელი მოწინააღმდეგის მორიგ უხეშობას წიხლით უპასუხა. ბასკმა არბიტრმა ეს ეპიზოდი უმკაცრესად შეაფასა. რამდენიმე დღეში ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა რონალდინიოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. კლუბის იურისტებმა იმ სხდომაზე თავიანთი არგუმენტები ვერავის დააჯერეს. არადა, მართლაც ცხადი იყო, რომ ბელენგერი "ბარსა" მეათე ნომერს მთელი ტაიმის განმავლობაში დაუნდობლად ურტყამდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, "ხეტაფეს" მცველი ამას მიზანმიმართულად აკეთებდა. ალბათ, ფიქრობდა, რომ დაშინებული, ან ტრავმირებული რონალდინიომის გუნდს პრობლემას ვეღარ შეუქმნიდა. კატალონიელები იმედს მაინც არ კარგავდნენ. გუშინ მათ სააპელაციო კომიტეტში საუცხოოდ მომზადებული სარჩელი შეიტანეს, თუმცა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ფედერაციის მაღალჩინოსნებმა რონალდინიოს გაცხარება არ აპატიეს. დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა. რაც იმას ნიშნავს, რომ სამხრეთამერიკელი გენიოსი პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურში "ესპანიოლთან" უმნიშვნელოვანეს მატჩს დააკლდება. სააპელაციო კომიტეტის მიერ გამოცხადებული უარი ინგლისელმა ჟურნალისტებმა რესპონდენტს სწორედ პრესკონფერენციაზე შეატყობინეს. ბრაზილიელი, რა თქმა უნდა, იმდენაცრუებული დარჩა: *"დასანანია, რომ ფედერაცია ზერელედ მოეკიდა საკითხს. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მსაჯმა არასწორად შეაფასა. ის ვალდებული იყო, პროვოკაცა აღეკვეთა. აშკარა გახლდათ ბელენგერი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მოთმინება დამეკარგა. ბუნებრივია, უხეშობა ნებისმიერ შემთხვევაში დასაგმობია, მაგრამ თუ ინციდენტს განვიხილავთ, ყველა დეტალი უნდა აიწონ-დაიწონოს. გიჟი ხომ არ ვიყავი, უმიზეზოდ მეუხეშა. ამ ყველაფრის გამო "ესპანიოლს" ვერ დავუპირისპირდები. ჩემთვის ეს ფაქტი მეტისმეტად მტკივნეულია, მაგრამ ვერაფერს გავხდები. აპელაცია არ დაკმაყოფილეს... მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული გახლავართ, რომ "ბარსელონა" დარჩენილ ორივე შეხვედრას მოიგებს. შესაძლოა, ვინმე არ დამეთანხმოს და გაუკვირდეს, მაგრამ საერთოდ არ მაინტერესებს, რას გააკეთებს "რეალი". "ბარსელონამ" მხოლოდ და მხოლოდ ბოლო ტურების დაპირისპირებებზე უნდა იფიქროს. ცხადია, გამიხარდება, თუ "სარაგოსა" სამეფო კლუბს ქულებს დააკარგვინებს, თუმცა ფაქტია, ეს მათი საქმე და თამაშია."*

სეზონი დასასრულს უახლოვდება. ცოტა ხანში ფეხბურთელები შვებულებაში გავლენ. აი, დირექტორებსა და პრეზიდენტებს დასვენება კიდევ დიდ ხანს არ ეღირსებათ. როგორც ყოველთვის, მომავალი სეზონის დაწყებამდე კლუბებს შორის დიდი ვაჭრობა გაჩაღდება. ევროპული გრანდები და საშუალო შესაძლებლობების მქონე კოლექტივები შეეცდებიან ის მოთამაშეები იყიდონ და გაყიდონ, რომელთა მოსვლა და წასვლა კლუბის ინტერესებს მოემსახურება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "მილანი" **ედმილსონით** დაინტერესდა. ინფორმაცია "ლა გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა. "როსონერი" "ბარსელონას" 12 მილიონ ევროს სთავაზობს. კატალონიელთა პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ თავად ედმილსონი "სან სიროზე" გადაბარგების შესაძლებლობას დადებითად შეხვდა: *"მილანი" ძალიან მომწონს. თუ მათ ჩემთან თანამშრომლობის რეალური სურვილი გაუჩნდებათ და "ბარსას" შეფებს შუთანხმდებიან, საწინააღმდეგო აბსოლუტურად არაფერი მექნება. "როსონერი" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბი რომ არის, ეს რამდენიმე დღის წინაც დამტკიცდა. მოკლედ, მე თანახმა ვარ. დანარჩენი უკვე გუნდების ხელმძღვანელებმა უნდა გადაწყვიტონ."*

ირკვევა, რომ ედმილსონი ერთადერთი არ არის, რომელმაც "ბარსელონაზე" გული აიცრუა. კატალონიური გრანდიდან აბარგების გადაწყვეტილება **ხავიერ სავიოლამაც** მიიღო. ის 100 პროცენტითაა დარწმუნებული, რომ მომავალ სეზონს "კამპ ნოუზე" აღარ გაატარებს: *"30 ივნისს თავისუფალი აგენტის სტატუსით აღვიჭურვები. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ბეგირისტაინმა კონტრაქტის გახანგრძლივების საქმეს საშველი არ დააყენა. აქედან გამომდინარე, თვის ბოლოს ახალ კლუბში უსასყიდლოდ გადავალ. იცით, რომ რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება მაქვს. ახლა ჩემი მენეჯერები ინტენსიურად მუშაობენ. ბუნებრივია, კარიერას იმ კლუბში გავაგრძელებ, რომელიც საუკეთესო პირობებს შემომთავაზებს. ახალი გუნდი კოპა ამერიკის დაწყებამდე უნდა გამოვნახო, რადგან ნაკრებში მშვიდად თამაში მსურს. მოკლედ, გადაწყვეტილია, რომ "ბარსაში" აღარ დავრჩები. აქ დაუვიწყარი წლები გავატარე. ყველაზე მეტად რა თქმა უნდა, გულშემატკივრებს ვემადლიერები. ბევრისგან განსხვავებით, ისინი ჩემი სახელით არასოდეს სპეკულირებდნენ და ყოველმხრივ მამხნევებდნენ. ხალხი მუდამ ჩემ გვერდით იყო. ინჩასები ხედავდნენ, რომ ხავიერ სავიოლა თავს არასოდეს ზოგავდა. არ შემიძლია, გულისტკივილი არ გამოვთქვა იმის გამო, რომ დირექტორატი სისტემატურად მატყუებდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ წელსაც მომატყუებდნენ. რა გაეწყობა, ისინი ასეთები არიან და სჯობს, გავეცალო. ორი წლის წინათ სხვა დამოკიდებულება გვქონდა, ახლა კი ყველაფერი გაფუჭდა. მგონი, იმდენს მაინც ვიმსახურებდი, მათი პასუხი მიმეღო და ამდენი დრო არ დამეკარგა. უნამუსობა არ მიყვარს."*

ილია ნიკოლაიშვილი



ტიერი ანრი

ხოსე ნესტორ პეკერმანი

მწვრთნელი

პეკერმანი მექსიკაში გადაბარგდა

არგენტინის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **ხოსე ნესტორ პეკერმანი** მექსიკური "ტოლუკას" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. აღნიშნული ინფორმაცია თავად კლუბის პრეზიდენტმა **რაფაელ ლებრიხამ** გაავრცელა. 57 წლის პეკერმანი თანამდებობაზე შემოდგომისა (აპერტურა) და გაზაფხულის (კლაუსურა) ჩემპიონატების განმავლობაში იმუშავებს. სენიორ ხოსემ **ამერიკო გალიეგოს** გადადგომის შემდეგ გათავისუფლებული პოსტი დიდი ოპტიმიზმითა და ენთუზიაზმით ჩაიბარა: *"იმედი მაქვს, რომ წარმატებებს მივაღწევთ. ჩემმა წინამორბედმა შესანიშნავი სამუშაო ჩაატარა. გალიეგოს ხელმძღვანელობით "ტოლუკამ" 2005 წლის აპერტურაში გაიმარჯვა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ შემოდგომაზე კიდევ ერთი საჩემპიონო ტიტული მოვიპოვოთ. ხელმძღვანელობა ყოველმხრივ დახმარებასა და თანადგომას დამპირდა. ტოლუკას საკმაოდ კარგად ვიცნობ. ზედმიწევნით კარგად ვიცი, ფეხბურთელები რას წარმოადგენენ. მე მათ ჭეშმარიტ პროფესიონალებს ვუწოდებდი. ამ ბიჭებთან ერთად შეუძლებელი მართლაც არაფერი იქნება. აპერტურა აგვისტოში დაიწყება. როგორც კი მუშაობას შევუდგები, შეგირდებს ჩემს საფეხბურთო მსოფლმხედველობას გავაცნობ. ჩვენ ფანტასტიკური თანამშრომლობა გვექნება. ერთი სიტყვით, ბედნიერი ვარ, რომ "ტოლუკაში" დავინიშნე."* ამ ეტაპზე გარიგების ფინანსური დეტალები ოფიციალურად არ ხმაურდება, თუმცა მოარული ხმების თანახმად პეკერმანს მილიონ დოლარს გადაუხდიან.

სოლსკიაერი დაშავდა

ხვალ ნორვეგია მალტასთან საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს. **ოლე გუნარ სოლსკიაერს** მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი. ამიტომ მისი თამაში გამორიცხა. ხსენებული ტრავმის გამო "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელს თითქმის სამი წელიწადი გაუცდა და კინაღამ კარიერის დასრულება მოუხდა. ნორვეგიელთა ძირითადში მის ნაცვლად "ასტონ ვილის" ფორვარდ **ჯონ კარუს** ვიხილავთ. უცნობია, ითამაშებს თუ არა სოლკიაერი უნგრეთთან 6 ივნისის შეხვედრაში.

სტიაუამ კონტრა მოიკითხა

გუშინ, "ხეტაფეს" ოფისში ბუქარესტიდან დარეკეს. მადრიდელებს რუმინელმა კოლეგებმა **კოზმინ კონტრას** გაყიდვა შესთავაზეს. "სტიაუა" მზადაა, 31 წლის მცველის სანაცვლოდ 700 ათასი ევრო გადაიხადოს, თავად მას კი ნლიური გასამრჯელოს სახით 180 ათასი ევრო დაუნიშნოს. "ხეტაფეს" პრეზიდენტს საკუთარი პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია. უნდა აღინიშნოს, რომ კოზმინს სამშობლოში დაბრუნება ძალიან უნდა, თუმცა ამ ნაბიჯს ის მეუღლესთან შეუთანხმებლად ვერ გადადგამს. როგორც გაირკვა, ფეხბურთელის ცოლი არასტაბილურ რუმინეთში ცხოვრების იდეით არ არის მოხიბლული. მოკლედ, "სტიაუას" მიზნის მისაღწევად ლოდინი მოუწევს.

კოზმინ კონტრა ესპანეთში 1999 წლიდან ასპარეზობს. პირნეებზე გადაბარგებიდან ორი წლის განმავლობაში ის "ალავესის" ლირსებას იცავდა. შემდეგ ერთი სეზონი "მილანში" გაატარა. 2002 წელს "ატლეტიკოში" გადაბარგდა და იქ სამი წელი დაყო. 2005 წლიდან კი "ხეტაფეში" თამაშობს. ეროვნულ გუნდში გამოცდილ მცველს 58 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 6 გოლი აქვს გატანილი.

ბილბაოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება

"ბილბაოს" დირექტორთა რიგგარეშე სხდომაზე გადაწყდა, რომ 2007 წლის 12 ივლისს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. გეცოდინებათ, რომ ბასკურ კლუბს ამჟამად **ანა ურკიხო** ხელმძღვანელობს. "ბილბაოს" ისტორიაში ის პირველი პრეზიდენტი ქალია. დონია ანას მოსვლას საზოგადოება ენთუზიაზმით გამოეხმაურა. ხალხი ოპტიმიზმით განიმსჭვალა, მაგრამ მათ ახლაღა გააცნობიერეს, რომ ურკიხოს მიერ შესრულებული სამუშაო რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. დირექტორებმა საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ არჩევნები შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო გზაა.

ფული და ფეხბურთი

პრემიერლიგას კონკურენტი არ ჰყავს

ინგლისელები კიდევ უფრო გამდიდრდებიან. სუპერვარსკვლავებმა კვირაში, შეიძლება, 200 ათასი გირვანქაც გააკეთონ...

მომავალი სეზონიდან ინგლისის პრემიერლიგის ფეხბურთელებს მილიარდ გირვანქაზე მეტს გადაუხდიან. ეს უპრეცედენტო სახელფასო ბიუჯეტია. ალბიონურ ფეხბურთს ასეთი რამ არ ახსოვს. ინფორმაციას ფირმა "დელოიტი" ავრცელებს. ავტორიტეტული ორგანიზაცია ფეხბურთის ფინანსებს ყოველ წელს მიმოიხილავს ხოლმე. კვლევის შედეგებს კი საზოგადოებას აცნობს. "დელოიტი" წინასწარმეტყველებს, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში პრემიერლიგის წამყვანი ფეხბურთელების კვირეულმა შემოსავალმა შეიძლება 200 ათას გირვანქას მიაღწიოს. ეს წლიურად 10 მილიონ გირვანქაზე მეტია. საიდან მოიტანენ კლუბები ამხელა თანხებს? პასუხი მარტივია – ახალი სატელევიზიო, სარეკლამო და მარკეტინგული კონტრაქტებიდან.

პრემიერლიგა მსოფლიოს უმდიდრესი საფეხბურთო ტურნირია. მისი ზოგიერთი ვარსკვლავი უკვე იღებს ასტრონომიულ შემოსავლებს. **მიხაელ ბალაკისა** და **ანდრეი შევჩენკოს** კვირეული შემოსავალი 130 ათას გირვანქას უახლოვდება. ქვეყნის საუკეთესო კლუბებს – "მანჩესტერ იუნაიტედს", "ჩელსის", "ლივერპულსა" და "არსენალს" მთელ მსოფლიოში მილიონობით ქომაგი ჰყავს. პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციები 200-მდე სახელმწიფოში გადაიცემა. "დელოიტის" ცნობით, 2005-06 წლების სეზონში, წინა წელთან შედარებით, ხელფასები 9 პროცენტით გაიზარდა, 20 კლუბის სახელფასო ფონდმა კი 845 მილიონი გირვანქა შეადგინა. კლუბები ფეხბურთელთა ანაზღაურებაზე მთელი შემოსავლების დაახლოებით 62 პროცენტს ხარჯავენ. "დელოიტის" ვარაუდით, ეს შეფარდება არ შეიცვლება. დამატებითი თანხები კი სტადიონებსა და ინფრასტრუქტურას მოხმარდება. პრემიერლიგის კლუბთაგან ხელფასებზე ყველაზე მეტს ფულს, 114 მილიონ გირვანქას "ჩელსი" ხარჯავს, მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელებმა გასული ფინანსური წელიწადი 80 მილიონიანი დეფიციტით დაასრულეს. მეორე ადგილზეა "მანჩესტერ იუნაიტედი" - 85 მილიონი. მას მოსდევენ "არსენალი" - 83 მილიონი, "ლივერპული" - 69 მილიონი, "ნიუკასლი" - 52 მილიონი და "ტოტენჰემი" - 41 მილიონი.

მომდევნო სამ წელიწადში უფსკრული პრემიერლიგისა და სხვა ლიგების შემოსავლებს შორის უფრო გაღრმავდება. ინგლისელები მომავალი სეზონის ტრანსლაციებს 2.5 მილიარდ ევროდ გაყიდიან. მეორე უმდიდრესი ლიგა სერია A ტელეკონტრაქტებით 1.5 მილიარდს გააკეთებს, ბუნდესლიგა და პრიმერა დივიზიონი – 800 მილიონს, ხოლო საფრანგეთის პირველი ლიგა – 600 მილიონს.

ემირატსის აშენებამ არსენალი ვალებში ჩააგდო, მაგრამ მეთოფეებს ფულსაც ეს სტადიონი აშოვნინებს

გაისად პრემიერლიგის საოპერაციო მოგება გაორმაგდება და 260 მილიონ გირვანქას მიაღწევს. გასულ სეზონში პრემიერლიგამ ბრიტანეთის სახელმწიფო ბიუჯეტში 647 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ერთი წლის წინანდელზე 8 პროცენტით მეტი და 25 პროცენტით მეტი, ვიდრე ათი წლის წინათ. უცხოურმა კლუბებმა ფეხბურთელების ტრანსფერების სანაცვლოდ ინგლისიდან 187 მილიონი გირვანქა მიიღეს, აგენტებისათვის გადახდილმა თანხამ 50 მილიონ გირვანქას გადააჭარბა.

კიდევ რამდენიმე საინტერესო დეტალი: პრემიერლიგის ხუთმა კლუბმა ბოლო სეზონში სახელფასო ფონდი შეამცირა, უმნიშვნელოდ მაგრამ მაინც. ამათგან ყველაზე მეტი ხელმომჭირნეობა "ფულჰემმა" და "მანჩესტერ სიტიმ" გამოიჩინეს. ერთმა 3.8 მილიონი გირვანქა დაზოგა, მეორემ – 3.3 მილიონი. პროცენტულად, სახელფასო ფონდის ყველაზე დიდი ზრდა სამ კლუბში დაფიქსირდა: "ტოტენჰემმა" ის 7.5 მილიონი გირვანქით გაზარდა, "ევერტონმა" – 6.1 მილიონით და "ასტონ ვილამ" – 5.1 მილიონით. გაისად პრემიერლიგის ფეხბურთელის სუფთა საშუალო წლიური შემოსავალი 1.1 მილიონი გირვანქა იქნება. შედარებისათვის, 2005-06 წლების სეზონში ის 0.9 მილიონი იყო.

პრემიერლიგის კლუბთაგან ყველაზე დიდი ვალი "არსენალს" აქვს – 262 მილიონი გირვანქა. ეს იმიტომ, რომ "მეთოფეებმა" ახალი სტადიონი ააშენეს, თუმცა "ემირატსი" იმდენ და თანაც ისეთ სტაბილურ შემოსავალს იძლევა, რომ ვალს უპრობლემოდ მოევლება. მეორე ადგილზეა "ჩელსი" – 180 მილიონი, მესამეზე "ფულჰემი" – 167 მილიონი და მეოთხეზე "მანჩესტერ სიტი" – 94 მილიონი.

გუტი ნაკლულ

გუტი ისევ "რეალ"-ში ... ფიქრობს. ხოსე მურინიოს სკამზე ჯდომა არ აკმაყოფილებს. მადრიდელებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ. ისინი ჩემპიონობისათვის იბრძვიან. **ფაბიო კაპელოს** გუტი მუდმივად თადარიგში ჰყავს და შეცვლებზე ათამაშებს. ჟურნალისტის კითხვაზე, რას იზამს, თუ არაფერი შეიცვლება, ნახევარმცველმა მოკლედ მიუგო: "წავალ..."

უორთინგტონი ჩრდილოეთ ირლანდიაში

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების თავკაცად "ნორვიჩის" ყოფილი ბოსი **ნაიჯელ უორთინგტონი** დაინიშნა. მან ამ პოსტზე ლორი სანჩესი შეცვალა. ამ უკანასკნელმა, მოგეხსენებათ, "ფულჰემს" მიაშურა. თავდაპირველად დროებითი მწვრთნელის რანგში, შემდეგ კი ლონდონელებთან ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა. უორთინგტონი ჩრდილოირლანდიელია. ნაკრების შემადგენლობაში მას 1982 და 1986 წლების მუნდიალებზე აქვს ნათამაშევი.

გეკასის შემცვლელი ნაპოვნია

როგორც იცით, ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი **თეოფანის გეკასი** "ბოხუმიდან" ლევერკუზენის "ბაიერში" გადავიდა. ბოხუმელებმა მის შემცველს უკვე მიაგნეს: გუნდმა ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 24 წლის სლოვაკ თავდამსხმელ **სტანისლავ სესტაკს**, რომელიც "ხილინაში" თამაშობდა. ამ გუნდის მენეჯერმა ტრანსფერი უკვე დაადასტურა.

ბერტი ფოგთსი

მას მერე, რაც ბერტი ფოგთსი ნიგერიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ჯერ მხოლოდ სამი თვე გავიდა და გერმანელი მწვრთნელი უკვე ნასვლაზე ალაპარაკდა. ამის მიზეზი ის ქაოსია, რომელშიც 1996 წლის ევროპის ჩემპიონი მწვრთნელი მოხვდა. საშინელი მოედნები, უაზროდ შედგენილი კალენდარი და არაპუნქტუალური ფუნქციონერები - ეს ყველაფერი ფოგთსს ნერვებს უშლის. ბერტის "შპიგელი" გაესაუბრა.

ინტერვიუ ბერტი ფოგთსთან

ასეთ მოედნებზე გერმანელები ძროხებსაც არ აბალახებენ

დანიშვნიდან სამი თვის შემდეგ, ბერტი წასვლაზე ალაპარაკდა...

- ჰერ ფოგთს, სამი თვეა, ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ. როგორ მოგწონთ ახალი სამსახური?

- აქ ყველაფერი გაცილებით სხვანაირადაა, ვიდრე წარმომედგინა - შესანიშნავი ფეხბურთელები, მაგრამ სრული ქაოსი ორგანიზაციაში. იმას ვგულისხმობ, რომ კალენდარი ძალიან ქაოტურადაა შედგენილი. მაგალითად, ახლა აფრიკის ერთა თასის საკვალიფიკაციო მატჩი გვაქვს. არადა, სამი კვირაა, ფეხბურთელები შვებულებაში არიან - ისინი ხომ ევროპაში თამაშობენ. წარმოიდგინეთ, ახლა ისინი გამოვიძახეთ და ველით, რომ შვებულებიდან მოტივირებულები და მონდომებულები ჩამოვლენ. ჩემი აზრით, აფრიკის საფეხბურთო ასოციაციამ კალენდარი ფიფასთან უნდა შეათანხმოს, მაგრამ ასე არ ხდება. ვფიქრობ, რომ სენეგალი, კამერუნი და ნიგერია მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ იმის გამო ვერ მოხვდნენ, რომ კალენდარი ძალიან ცუდად, ფეხბურთელებისთვის არასახარბიელოდ იყო შედგენილი.

- ამ ფონზე ნამდვილი სასწაულია ის, რომ თქვენ მიერ გამოძახებული ყველა ფეხბურთელი უპრობლემოდ ჩამოვიდა და ყველა კარგ ფორმაშია...

- დიახ, ეს ნამდვილად სასწაულია. თუმცა მე ველოდი, რომ ასე იქნებოდა, რადგან ამ ბიჭებს ფეხბურთი ძალიან უყვართ. თვითონაც ჩივიან იმის გამო, რაც აფრიკულ ფეხბურთში ხდება, რადგან რაკი ევროპაში თამაშობენ, დისციპლინას და წესრიგს არიან მიჩვეულები, აქ კი სრული ქაოსი ხვდებათ.

- ანუ, აფრიკულ ფეხბურთს მხოლოდ დისციპლინა და წესრიგი აკლია?

- დიახ. ტექნიკის მხრივ, აფრიკელი ფეხბურთელები არავის ჩამოუვარდებიან, ბრაზილიელებსაც კი და, ჩემი აზრით, ამ მხრივ ევროპელებზე ერთი თავით მაღლა დგანან. აფრიკელთა ერთადერთი პრობლემა ქაოტურობაა. პოსტზე დანიშვნიდან ერთი კვირის შემდეგ ვთქვი, ამხანაგურ თამაშებს აფრიკულ გუნდებთან არ ჩავატარებთმეთქი. ჩვენი ფეხბურთელების უდიდესი ნაწილი ევროპაში თამაშობს და მათთვის ტესტ-მატჩზე აფრიკაში ჩამოსვლა ზედმეტი ენერგიის ხარჯვას ნიშნავს. ნიგერიის საფეხბურთო კავშირმა მოთამაშეებზე უნდა იზრუნოს - ამხანაგური მატჩები მხოლოდ ევროპულ ნაკრებებთან უნდა გავმართოთ.

- გაქვთ კი იმის შანსი, რომ ასეთ ქვეყანაში წესრიგი დაამყაროთ? მოახერხებთ ამას?

- აფრიკული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში წესრიგს ვერავინ დაამყარებს - ამაში დარწმუნებული ვარ. მიზეზი ისაა, რომ აქ წარმოუდგენლად დიდი ქაოსია. ნიგერიის ნაკრების მწვრთნელის რანგში პირველი თამაში შინ, უგანდასთან გვქონდა და მატჩის დროს გავიფიქრე, ხომ არ დავბრმავდიმეთქი. ასეთ მოედანზე გერმანელ ფეხბურთელს ბურთს ვერ გააგორებინებ. მეტიც, ასეთ მოედანზე გერმანელი ძროხასაც კი არ შეუშვებს საბალახოდ - უბრალოდ, ვერ გაიმეტებს, შეეცოდება.

- ის თამაში ნიგერიამ 1:0 მოიგო...

- ჰო, ეს ერთადერთი პოზიტიური რამ იყო. თამაშის შემდეგ "მანჩესტერის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა დამირეკა და მითხრა, ვიზიარებ შენს მწუხარებას, ასეთ მოედანზე ჩემს ცხენებსაც კი არ შევუშვებდიო. ასეთები არიან ფუნქციონერები. ამ დროს მთელი ნიგერია იმის მოლოდინშია, რომ რაკი ნაკრების მწვრთნელად ბერტი ფოგთსი დაინიშნა, გუნდი ყველა თამაშს ისე მოიგებს, რომ ერთ გოლსაც არ გაუშვებს და ჯერ აფრიკის თასზე, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზებთ.

- ჩანს, რომ უკმაყოფილო ხართ.

- უკმაყოფილო არა, მაგრამ რაღაც-რაღაცების გამო კი ნამდვილად გავბრაზდი.

- და თუ ასე გაგრძელდა?

- თუკი არაფერი შეიცვალა, მაშინ ული შტაინი, თომას ჰესლერი და მე ჩემოდნებს ჩავალაგებთ და აქედან ავიბარგებით.

- კი მაგრამ, თქვენი დანიშვნიდან ჯერ მხოლოდ სამი თვე გავიდა...

- მართალია და თანაც, დანიშვნის შემდეგ, ნიგერიაში მხოლოდ ორჯერ ვიყავი ჩასული. ეს არ მოსწონთ, არადა, ჩემს ფეხბურთელებს ევროპიდან გაცილებით უკეთესად ვაკვირდები. საერთოდ, ამ ფეხბურთელებთან მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მათში პოტენციალს ვხედავ.

- გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნიგერიის საფეხბურთო კავშირთან პრობლემები შეგექმნათ, რადგან ხელფასი დროულად არ გადმოგირიცხეს...

- ეს ცნობა გერმანულმა საინფორმაციო სააგენტომ ფრანგული გაზეთიდან გადაიწერა და გაავრცელა. ჩემთან არავის ულაპარაკია.

- მაშინ შეგიძლიათ, რომ ეს ინფორმაცია უარყოთ...

- ამ თემაზე საუბარი არ მსურს.

- რატომ დათანხმდით ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობას?

- იმიტომ, რომ ნიგერიაში შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, მათთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. ეს აფრიკაა - ან გიყვარს, ანაც გეჯავრება.

- და თქვენ გიყვართ აფრიკა?

- თუკი აფრიკაში 18-ჯერ ან 19-ჯერ ხარ ნამყოფი, გარეული ცხოველების ფონზე ღამე გაგითენებია და აფრიკაზე წიგნები წაგიკითხავს, მაშინ შეუძლებელია, ამ კონტინენტისადმი უდიდესი სიმპათიით რომ არ განეწყო. პირადად მე მარტო კენიაში 9-ჯერ ვარ ნამყოფი. ბოლოს იქ 1983 წელს გახლდით.

- თქვენი თარჯიმანი ამბობს, ბერტი ფოგთსს ამ ქაოსში წესრიგი შემოაქვსო...

- ცოტა ხნის წინათ, შტაინს, ჰესლერს და მე ორ ფუნქციონერთან შეხვედრა გვქონდა დანიშნული. ცხადია, დააგვიანეს. ზუსტად 2 წუთი ველოდეთ და რომ არ გამოჩნდნენ, შეხვედრის ადგილი დავტოვეთ. მერე ტაქსით დაგვედევნენ. დარწმუნებული ვარ, რომ მეორედ შეხვედრაზე აღარ დაიგვიანებენ. თუ ჩემი თარჯიმანი წესრიგის დამყარებაში ამას გულისხმობდა, მაშინ ვეთანხმები. მაგრამ დღესავით ნათელია, რომ ნიგერიის საფეხბურთო კავშირში მე ვერაფერს შევცვლი.

- მაინც რა არის თქვენი მიზანი?

- მუნდიალი 2010! აფრიკელი ფეხბურთელისთვის ყველაზე მთავარი მოტივაციაა - თუ მონდომებულია, მთას გადადგამს. ამიტომაცაა, ევროპელებს აფრიკული გუნდების დამარცხება რომ უჭირთ ხოლმე. ამასთან, აქაური ფეხბურთელები ბურთზე ძალიან არიან შეყვარებულები - თავს დაადებენ და დრიბლინგზე მიდიან, გუნდზე კი არ ფიქრობენ. აფრიკელები მეოცნებეებიც არიან.

- თქვენ ახლა სერიოზული ნნეხის ქვეშ ხართ მოქცეული...

- ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ზენოლა აბსოლუტურად ჩვეულებრივი ამბავია და ვინც სხვაგვარად ფიქრობს, ფეხბურთში, მით უმეტეს, მწვრთნელის რანგში არაფერი ესაქმება.

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

დრო წამალია

ვნახოთ, თუ მომეცემა ამერიკაში დაბრუნების შანსი

დღეს გთავაზობთ ნიკა ცქიტიშვილის ინტერვიუს, რომელშიც იგი გასულ სეზონს აჯამებს და სამომავლო პერსპექტივებსაც ეხება. ვიდრე ცქიტოს ნაუბარს წაიკითხავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ექსკურსი სტატისტიკის სამყაროში.

ორწლიან შუალედში (2004-2006) ნიკამ 4 კლუბი გამოიცვალა, "დენვერი", "გოლდენ სტეიტი", "მინესოტა", "ფინიქსი" და ჯამში 319 წუთი ითამაშა (საშუალოდ 6.1 წუთი)...

ახლა ეს რიცხვები სულ რაღაც ოთხ თვეში ცქიტოს სევილიურ სტატისტიკას შევადაროთ: 216 წუთი (საშუალოდ 15)...

როგორც ხედავთ, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ოთხ თვეში თითქმის ორი წლის მონაგარი ჩატია და თავადაც აღიარებს, რომ ესპანეთში გატარებული დრო მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამის თქმის უფლებას მხოლოდ წუთობრივი მაჩვენებელი როდი აძლევს – "კახა სან ფერნანდოში" ქულებსაც საკმარისად აგროვებდა და მოხსნებსაც (საშუალოდ 6.8 ქულა და 3.0 მოხსნა). მაშინ, როცა, ბოლო ორ წელიწადში ამერიკაში 1.5 ქულასა და 1.3 მოხსნას უყრიდა თავს.

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცქიტიშვილი სევილიაში ზამთარში ჩავიდა და აწყობილ გუნდთან შესაგუებლად დრო დასჭირდა... სეზონის ბოლო მატჩებში 20-25 წუთს თამაშობდა და 12-15 ქულას აგდებდა.

ახლა კალათბურთელს მოვუსმინოთ.

- 2006-07 სეზონი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. შეიძლება სტატისტიკის მიხედვით სასწაულები არ მომიხდენია, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ბოლო წლებში ამერიკაში მწვრთნელები არ მენდობოდნენ და მეც საკუთარი თავის რწმენა დაკარგული მქონდა. თამაში მჭირდებოდა და "კახა სან ფერნანდოში" მოცემულმა საკმარისმა დრომ ჩემზე ისე იმოქმედა, როგორც ავადმყოფზე წამალმა. ახლა თავს სხვა კალათბურთელად ვგრძნობ და ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა შემიძლია.

- ასე რომ, ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახე...

- ასეა. ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. თუ კონკრეტული მატჩისთვის სათანადოდ არ განწყვე, იმ დღეს არაფერი გამოგივა. ხოლო, როცა გრძნობ, რომ მწვრთნელი არ გენდობა, სასურველ დონეზე ვერც ერთ მატჩს ვერ ჩაატარებ. სევილიაში ორი მწვრთნელი გამოვიცვალე. მანელ კომასის ხელში გუნდს ნელ-ნელა შევეჩვიე, თავიდან პრეტენზიებით არ ჩავსულვარ, რადგან ვიცოდი, რომ ნებისმიერ ახალწვეულს სქემებში ჩასაწერად დრო სჭირდება. ხოლო კომასის შემცვლელის, პეპე სანჩესის ხელში მთლიანად გავიხსენი. მწვრთნელი პირდაპირ მეუბნებოდა, თავისუფლად ითამაშე და როცა საჭიროდ ჩათვლი, მაშინ ისროლეო. მოხარული ვარ, რომ 4 თვის განმავლობაში რიგითი სათადარიგოდან სასტარტო მოთამაშედ ვიქეცი – ბოლო 10 მატჩი ხუთეულში დავიწყე. ბოლოს ქულებსაც საკმარისად ვაგროვებდი (13-14) და მოხსნებსაც (5-6). ასე რომ, ბევრს დავუმტკიცე – თამაში შემიძლია და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთსავე პირობებში გაისად ერთი-ორად უკეთესად ვითამაშებ.

- სად?

- ესპანეთში საუკეთესო ევროპული ლიგა აქვთ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესპანელები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები არიან. ქვეყანაც ისეთია, ვერანაირ წუნს რომ ვერ შეიტანთ. ამიტომ აქ თამაშზე უარს არ ვიტყოდი. თუმცა სავარჯიშოდ ამერიკაში ვაპირებ წასვლას და თუ NBA-ში დაბრუნების შანსი მომეცემა...

- უფრო კონკრეტულად?

- ამერიკაში "სან ანტონიოს" კემპზე ვაპირებ წასვლას და იქ რა წინადადებები იქნება, ჯერ არ ვიცი... ხოლო, ესპანეთში კონკრეტულად ისეთ გუნდში თამაშს ვისურვებდი, გაისად ევროლიგაზე რომ იასპარეზებს. აქ ჩემი პრეტენზიულობა არაფერ შუაშია – მინდა კვირაში ორი მატჩი ჩავატარო.

- სევილიაში დარჩენას არ აპირებ?

- ჩემი აგენტები ახალ კლუბზე მუშაობენ და როდის მომინახავენ, ჯერ არ ვიცი. "კახაში" დარჩენა მხოლოდ იმიტომ არ მინდა, რომ მომავალ სეზონში მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატში ითამაშებს...

- კლუბის უფროსობა ფლეი ოფში გაუსვლელობას როგორ შეხვდა?

- ყველას ეწყინა, მაგრამ იმასაც კარგად ხედავენ, რომ შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდმა სერიოზული პროგრესი განიცადა და მე-16 ადგილიდან ფლეი ოფის ზონას მიაღწია. რვა გუნდში მოსახვედრად ორი მოგება დაგვაკლდა.

- ყველაზე მეტად რამ მოგხიბლა ესპანეთში?

- ყველაფერმა – გოგონებიდან დაწყებული, კულტურით დამთავრებული. ამერიკა მთლიანად შოუა, ესპანეთი – კულტურა.

- სევილია თუ განსხვავდება სხვა ქალაქებისგან?

- იქ რომ ჩავედი, მითხრეს – სევილიაში სპორტისთვის ვერ მოიცლიო. მხედველობაში ჰქონდათ ათასგვარი გასართობი ადგილები. მაგალითად, ღამის ბარები მეორე დღის 12 საათამდე მუშაობს, შემდეგ ორ საათს ისვენებს და ისევ იხსნება. ასეთი რამ მანამდე არსად მენახა. სხვათა შორის, სევილიაში გასართობად ბარსელონადან და მადრიდიდანაც ჩამოდიან...

- სპორტისთვის ვერ მოიცლიო რომ გითხრა, მართალი იყო თუ - არა?

- გადატვირთული გრაფიკი მქონდა და უქმე დღეებში განტვირთვის გართობა აუცილებელიც იყო. მეგობრებთან ერთად ზოგჯერ ფეხბურთზეც დავდიოდი. "სევილია"-"ბეტისის" მატჩს დავესწარი და სპორტის პარალელურად გულშემატკივართა დაპირისპირება და ბოთლების სროლაც ვნახე...

- ამერიკაში როდის მიდიხარ?

- ერთ-ორ კვირაში. 3 კვირაა საქართველოში ვარ, დავისვენე კიდეც, ახლობლებთანაც გული ვიჯერე, აქაური პურ-მარილიც გავიხსენე და დროა, ვარჯიშს შევუდგე. ამერიკაში წასვლამდე თბილისში მოვემზადები...

- საქართველოს ნაკრების შეკრებას ხომ ჩამოასწრებ?

- იმედია, სწორად გამიგებ. ნაკრებში რომ კარგად ვითამაშო, ჯერ საკუთარ კარიერას უნდა მივხედო. შარშან ისე მოხდა, რომ აგვისტო-სექტემბერში საკლუბო საქმეებისთვის ვერ მოვიცალე და თებერვლამდე უკლუბოდ მომიხდა ყოფნა. ამას საკუთარი თავის გარდა, არავის ვაბრალებ და ყველაფერს ვიღონებ, რომ იგივე არ განმეორდეს. ასევე, ძალიან მინდა, რომ საკლუბო საკითხები 18 ივლისამდე მოვაწესრიგო და ნაკრების შეკრებაზე დროულად გამოვცხადდე.

- როგორ ფიქრობ, რა იქნება აგვისტოში?

- ოფიციალურ მატჩებს მობილიზებულები უნდა შევხვდეთ. ფინეთი თითქოს გადაულახავ ბარიერად გვექცა, მაგრამ ჩვენზე უკეთესი შემადგენლობა რომ არ ჰყავთ, ესეც ცხადია. უბრალოდ, მატჩებს გუნდურად ჩვენზე უკეთესად მომზადებულები ხვდებიან. ჩვენ კი წაგებას ხან მწვრთნელს ვაბრალებთ, ხან - რას და ხან - რას. ჰოდა, გარეშე ფაქტორებს კალათბურთელებმა ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, ერთ მუშტად შევიკრათ და ჩვენი რეალური ძალა გამოვავლინოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ოლიმპიამ გაათანაბრა

სლოვენიაში ჩემპიონატის ფინალური სერიის მეორე მატჩი გაიმართა. "ჰელიოსმა" ოლიმპიას უმასპინძლა და მოულოდნელად 86:87 დამარცხდა. მოულოდნელადო, იმიტომ ვამბობთ, რომ მიმდინარე სეზონში მანუჩარ **მარკოიშვილის** თანაკლუბელი ოლიმპიელები "ჰელიოსის" კალათბურთელებს დაბრიყვებულები ჰყავთ – თასის ფინალშიც მოუგეს, ადრიატიკის ლიგაზეცა და სლოვენიის რეგულარულ პირველობაზე ორჯერვე აჯობეს. ისიც გეხსომებათ, რომ "ჰელიოსმა" ფინალური სერიის პირველსავე შეხვედრაში "ოლიმპია" ლიუბლიანაში 76:74 დაამარცხა.

ასე რომ, სადღეისოდ სერიაში ანგარიში თანაბარია – 1:1. ბევრს მომდევნო დაპირისპირება გადაწყვეტს, რომელსაც "ოლიმპია" 2 ივნისს უმასპინძლებს.

რადგან აქამდე **მანუჩარ მარკოიშვილზე** არაფერი გვითქვამს, მკითხველი მიხვდება, რომ ტრავმის გამო მას არც ამ მატჩში მოუღია მონაწილეობა, ისევე, როგორც ფინელ **ტეემუ რანიკოს**.

მათ არყოფნაში ლიდერობა **ივიცა იურკოვიჩმა** იკისრა და 29 ქულა მიითვალა. ხოლო გამარჯვების მომტანი ორი ზუსტი საჯარიმო საფინალო სირენამდე 7 წამით ადრე გამოცდილმა **დომიენ ლორბეკმა** შეასრულა – 87:86.

თვის თონეები

მაისი

4. ხელბურთი: დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი. პირველ ადგილზე გავიდა "თბილისი".

5. ძიუდო: ლევან რაზმაძემ მოსკოვის მსოფლიოს სუპერთასი მოიგო.

5. ფეხბურთი: ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში რუსთავის "ოლიმპი" თბილისის "დინამოს" დაუზავდა და სამქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

5. კალათბურთი: დაიწყო ფლეი-ოფი: "აზოტი"-"დინამო" და "ავიამშენი"-თსუ.

5. რაგბი: დაიწყო საქართველოს მორიგი ჩემპიონატი.

6. ფეხბურთი: კარიერაში უკანასკნელად ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა ლიდერმა **თემურ ქეცბაიამ**.

13. ფეხბურთი: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად **გიორგი ნემსაძე** აირჩიეს. ერთ საათში ნემსაძე თანამდებობიდან გადადგა.

13. ფეხბურთი: თემურ ქეცბაიას "ანორთოსისმა" კვიპროსის თასი მოიგო.

17. ფეხბურთი: სფფ-ის პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებში **ნოდარ ახალკაცმა** გაიმარჯვა 25 ხმით.

18. კალათბურთი: ფინალურ სერიაში რუსთავის "აზოტმა" 3:0 მოუგო თბილისის "ავიამშენს" და ისტორიაში პირველად გახდა ჩემპიონი.

19. ხელბურთი: საქართველოს ჩემპიონი გახდა სტუ-თელავი.

20. ფეხბურთი: საქართველოს ჩემპიონი 63 ქულით რუსთავის "ოლიმპი" გახდა.

23. ფეხბურთი: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდის პირველ მატჩში პორტუგალიასთან 0:0 ითამაშა.

23. კალათბურთი: საქართველოს ჩეპიონატის საუკეთესო კალათბურთელად "ლელოს" გამოკითხვამ **კოტე ტუღუში** დაასახელა.

23. ფეხბურთი: ჩემპიონთა თასს მეორედ დაეუფლა ქართველი ფეხბურთელი **კახა კალაძე.**

26. ფეხბურთი: საქართველოს თასის ფინალში "ამერმა" 1:0 დაამარცხა "ზესტაფონი" და ტიტულს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.

26. კალათბურთი: საქართველოს სუპერთასი რუსთავის "აზოტმა" მოიგო.

28. ფეხბურთი: 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდში ორი თამაში ფრედ დაამთავრა, ერთი ნააგო და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

29. ჭადრაკი: მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ქალთა ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა და მეოთხე ადგილი დიკავა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ტანვარჯიში

ჩემპიონატი ივლისში უნდა გაიმართოს!



თათია დონაძე

ჩეხურ ბრნოსა და რუსულ ნიჟნი ნოვგოროდში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში. ჩეხეთში გრანპრი მიმდინარეობდა, სადაც ეროვნული ნაკრების ლიდერები – თათია დონაძე და ქეთი ხატიაშვილი გამოდიოდნენ, ხოლო ნიჟნი ნოვგოროდის მსოფლიო თასის ეტაპზე, იუნიორთა ნაკრებს ჰქონდა დებიუტი ჯგუფურ ვარჯიშში. ამ ორ ტურნირსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ელისო ბედოშვილი.

- ჩეხეთში **ქეთი ხატიაშვილი** კონკურსგარეშე გამოდიოდა, რადგან მხოლოდ ერთი ტანმოვარჯიშით ასპარეზობის უფლება გვქონდა. ხატიაშვილი იქ მხოლოდ იმიტომ წავიყვანეთ, რომ მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის წინ, ფორმიდან არ ამოვარდეს. მან ბრნოში საკმაოდ კარგად იასპარეზა და მაღალი შეფასება დაიმსახურა. რაც შეეხება **თათია დონაძეს**, აქ ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, რომ იგი ცალკეულ დისციპლინებში საუკეთესო 12 ტანმოვარჯიშეს შორის მოხვედრილიყო. გურზებით ვარჯიშში თათია ტრადიციულად, ძლიერია და ამ ვარჯიშში, ამოცანა შეასრულა – 15.766 ქულა მიიღო, რითაც 20 ტანმოვარჯიშეს შორის, მეთერთმეტე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, ქულათა ეს რაოდენობა დონაძისთვის პირადი რეკორდია. მთლიანობაში, მან მეთერთმეტე ადგილის დაკავებით, მსოფლიო რეიტინგში ჩასათვლელი ქულები მიიღო. რაც შეეხება რგოლით ვარჯიშს, ამ დისციპლინაში თათიას საკმაოდ რთული პროგრამა აქვს, რითაც ფინალში გასვლაც კი შეეძლო. თუმცა, სამწუხაროდ, რგოლი გაუვარდა, რის გამოც ბევრი ქულა დააკლეს და მე-16 პოზიციაზე აღმოჩნდა.

ნიჟნი ნოვგოროდში მიმდინარეობდა მსოფლიო თასის ეტაპი, სადაც იუნიორთა ტურნირზე გამოვედით. შემადგენლობა ასეთი იყო - **ნინო ქურდაძე, ნათია ნაკაიძე, მერიამ ჯანტეზი, მეგი ბალახაშვილი, თამარ ტვილდიანი და თეკლა ჩარგეიშვილი**. მათ მწვრთნელებთან – **თინათინ ნადირაძესთან, ლალი დოლიძესთან** და ქორეოგრაფ **ინესა მელაძესთან** მუშაობის შედეგად, წარმოდგენილი ჰქონდათ ათგურზიანი ჯგუფური ვარჯიში. შეჯიბრზე გამგზავრების წინ განათლების სამინისტროსთან არსებულმა სატანვარჯიშო სკოლამ, რომლის დირექტორიც სოსო ბაქანიძეა, საწვრთნელი შეკრება მოგვიწყო.

ჩვენმა ახალგაზრდებმა პირველ დღეს ფურორი მოახდინეს და მეხუთე ადგილზე დაასრულეს შეჯიბრება. თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ ჯგუფური ვარჯიშის დადგმა მხოლოდ თებერვალში დავიწყეთ, სხვა ქვეყნები კი წლობით ემზადებიან, ეს სერიოზული წარმატებაა. სამწუხაროდ, მეორე დღეს კი მოხდა ის, რისიც გვეშინოდა. უმნიშვნელო შეცდომის გამო, მსაჯებმა იმდენი ქულა დაგვაკლეს, რომ მერვე ადგილზე დაგვასრულებინეს შეჯიბრება. არადა, ვიდეოფირზე ვნახე იმ გუნდების გამოსვლა, რომლებიც ჩვენზე წინ გაიყვანეს. და ნათლად ჩანს, რომ მათ გაცილებით უხეში და ბევრი შეცდომა ჰქონდათ. სამაგიეროდ, მათ ჟიურიში საკუთარი მსაჯები ჰყავდათ...

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ახლახან საერთაშორისო ტურნირი დასრულდა ბელგიაშიც, სადაც რგოლით ვარჯიშში **თეონა ხელაია** მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

გრანპრის შემდეგი ტურნირი ისრაელის ქალაქ ხოლონშია 7-8 ივნისს, სადაც პარალელურად, გაიმართება იუნიორთა შეჯიბრებაც. ევროპის ჩემპიონატის წინ, ეს იქნება ერთგვარი გენერალური რეპეტიცია, რის გამოც ისრაელში ყველა უძლიერეს ტანმოვარჯიშეს წავიყვანთ.

სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატზე წასვლასთან დაკავშირებით, არ არის გამორიცხული, რომ კვლავ შეგვექმნას პრობლემები ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციასთან. შეთანხმებულები ვიყავით, რომ საქართველოს ჩემპიონატი ივლისში უნდა გაგვემართა, თუმცა - 30-31 მაისს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციამ შეჯიბრება მოაწყო და საქართველოს ჩემპიონატი დაარქვა.

თუკი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ თავისი ტანმოვარჯიშეების წაყვანა უნდათ, ამას ცოცხალი თავით ვერ დავუშვებთ. საამისოდ ქვეყნის პირველობა შარშან ჩავატარეთ, სადაც უფროსებში ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა აჯობეს ყველას. სამაგიეროდ, ახალგაზრდებში ჰყავთ ძალიან კარგი გოგონები – **ელენე ტიტოვა** და **ციცია მკერვალი**. შევთავაზეთ, რომ ეს ორი სპორტსმენი ევროპის ჩემპიონატზე გამოსულიყო ჯგუფურ ვარჯიშზე, რაც საქართველოს ნაკრებს საგრძნობლად გააძლიერებდა, თუმცა, უარი გვითხრეს. მიზეზად ის მოიყვანეს, რომ გაისად უფროსებში გადაგვყავს, ამისთვის ვამზადებთ და ჯგუფური ვარჯიშისთვის ვერ მოვაცდენთო...

საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ნელი სალაძე: - უფროსებს შორის ჩემპიონის ტიტულისთვის სულ ორი ტანმოვარჯიშე იბრძოდა! ამტკიცებენ, რომ ჩემპიონატი კალენდარული გეგმით ჩავატარეთო, არადა, გეგმით ჩემპიონატი ივლისში უნდა ჩატარებულიყო. სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა კატეგორიული უარი უთხრეს ტურნირის გადმოტანაზე მაისში, თუმცა თავისი მაინც არ დაიშალეს.

რაც შეეხება ჩვენი ტანმოვარჯიშეების გამოუსვლელობას: 24-28 მაისს იუნიორთა გუნდი ნიჟნი ნოვგოროდში იყო მსოფლიო თასის ეტაპზე, ხოლო ხატიაშვილი და დონაძე ასევე 24-28 მაისს ჩეხეთის ქალაქ ბრნოში გრან პრის მორიგ ეტაპზე ასპარეზობდნენ. ორივე გუნდი თბილისში 29 მაისს ბრუნდებოდა და აქედან გამომდინარე, 30-31 მაისს ჩემპიონატში ვერაფრით გამოვიდოდნენ. ეს ყველაფერი ჩვენ წერილობით ვაცნობეთ ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციას. კალენდარული გეგმის მიხედვით საქართველოს ჩემპიონატი ივლისში უნდა გაიმართოს!

კობა ხატისაშვილი

ხელბურთი

კავკასიის ლიგა

საქართველო, აზერბაიჯანი და... სომხეთიც?

როგორც უკვე გაცნობეთ, საქართველოს ხელბურთის ასოციაცია შემოდგომიდან იწყებს ახალი პროექტის, კავკასიის ლიგის განხორციელებას.

თუკი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა (და საქმეც სწორედ აქეთკენ მიდის), სექტემბრიდან, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პარალელურად, მეზობელ ქვეყნებთან ჩავატარებთ ერთობლივ ტურნირს. აღნიშნული შეჯიბრება ტრადიციული გახდება. სათამაშო სახეობებში, ანალოგიური პროექტი არცერთ სახეობაში აქამდე ჯერ არ განხორციელებულა.

გუშინდლამდე ცნობილი იყო, რომ სტუ-"თელავსა" და "თბილისთან" სათამაშოდ, აზერბაიჯანის ორი საუკეთესო კლუბის გაჯიბრება იყო დაგეგმილი. იქაური ფედერაციის პრეზიდენტი აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრია და ახლა სწორედ მის დადებით რეზოლუციას ელიან ამ პროექტის განსახორციელებლად.

გუშინ კი, საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ კიდევ ერთი სიახლე გვაცნობა. აზერბაიჯანელთა პარალელურად, დაწყებულა მოლაპარაკება სომხეთის ხელბურთის ფედერაციასთან. თუკი იქიდანაც დასტური მივიღეთ, ლიგას დაემატება ერთი სომხური გუნდიც.

რაკიღა, შეჯიბრება მიმოსვლითი სისტემით უნდა ჩატარდეს, აქვე იბადება კითხვა: ისურვებენ თუ არა პოლიტიკურად სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთის ქვეყნებში ჩასვლას? ჩვენი ხელბურთის უფროსობას ამ საკითხზეც დაუჭერია თადარიგი. კერძოდ, პროექტის ამოქმედების შემდეგ, აზერბაიჯანული და სომხური გუნდები ერთმანეთს თბილისში ეთამაშებიან.

გოგონათა ჩემპიონატი

ფოთმა თბილისიდან ოქრო წაიღო



გოგონათა ხელბურთი ცოცხალია

გლდანის ხელბურთის ცენტრში დასრულდა 1992-93 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ხუთი ქალაქის გუნდი ასპარეზობდა.

ბოლო ტურის წინ, სატურნირო ცხრილის სათავეში თბილისის ხელბურთის ცენტრის გუნდი იყო და მარტივი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი. კერძოდ, ბოლო შეხვედრაში, გლდანელებს საკუთარ დარბაზში, "ფოთთან" ფრეც ჰყოფნიდათ ჩემპიონობისთვის. თუმცა, ზღვისპირელებმა სენსაციურად დაამარცხეს მასპინძლები და ჩემპიონობაც მათ დარჩათ. მართალია, საბოლოოდ, ორივე გუნდს 14-14 ქულა დაუგროვდა, მაგრამ პირად შეხვედრებიც და ბურთების შეფარდებაშიც, უკეთესი მაჩვენებელი **დარეჯან გეფერიძის** შეგირდებს აღმოაჩნდათ.

მესამე ადგილი "რუსთავს" ერგო, რომელმაც "ქუთაისის" მსგავსად, 6 ქულა მოაგროვა, მაგრამ უკეთესი მაჩვენებლების წყალობით აჯობა. სასიამოვნოა, რომ რუსთავში მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, ხელბურთი ხელახლა იდგამს ფეხს...

რაც შეეხება "წყალტუბოს", იმერლებმა ნლეულს სუსტად იასპარეზეს და ყველა თამაში წააგეს, რითაც უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდნენ.

განვლილ შეჯიბრებასა და ჩვენი ქალთა ხელბურთის მომავალზე გვესაუბრა ხელბურთის ასოციაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე.**

- ქალთა ხელბურთის გამოცოცხლება 2005 წელს დავიწყეთ. იქამდე, სამი წელიწადი ქალთა ხელბურთი ჩვენს ქვეყანაში აღარ არსებობდა. თავი მოვუყარეთ ვეტერან და ახალგაზრდა ხელბურთელებს, ჩავატარეთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და დავაკომპლექტეთ ნაკრები გუნდი, რომელმაც 2006 წელს, ბოსნიაში იასპარეზა "ჩელენჯ ტროფიზე". ასე სახელდახელოდ ჩამოყალიბებული გუნდის კვალობაზე, ბოსნიაში არცთუ ურიგოდ გამოვედით და კინაღამ სამეულში მოვხვდით – ბრინჯაოს მედლისთვის მატჩში კვიპროსმა მოგვიგო.

მიუხედავად ამისა, იმ ეროვნულმა ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ გლდანის ხელბურთის ცენტრის გარდა, ნორმალური ქალთა კლუბი, ფაქტობრივად, არ გვყავდა. ეროვნულ ნაკრებშიც ერთადერთი ლეგიონერია – ისლანდიაში მოთამაშე თამარ არჩაია და მართალია, კარგი ხელბურთელია, მაგრამ არა ისეთი, რომ ოფიციალურ შეჯიბრებებში სერიოზული წარმატებები მოაპოვებინოს გუნდს. მას ხომ გვერდით მხოლოდ ვეტერანი და ძალიან ახალგაზრდა პარტნიორები ეყოლება...

ამიტომაც, ეროვნულ ჩემპიონატსა და ნაკრებზე დროებით უარი ვთქვით და გადავერთეთ 1992-93 წლებში დაბადებულთა ჩემპიონატზე, სადაც ხუთი ქალაქის კლუბი გამოდის. რაკიღა ამაზე ერთი წლით უფროსი გოგონებიც გვყავს, გამონაკლისის სახით, ყველა გუნდს დავუწესეთ კვოტა 1991 წელს დაბადებულ ხელბურთელთა დამატებისთვის. მომავალი წლიდან კი სავარაუდოდ, 6-7 გუნდამდე გავზრდით ჩემპიონატს. მართალია, ეს გოგონები ერთ და ორ წელიწადში ვერ მიაღწევენ დიდ წარმატებებს საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ მერე და მერე, როდესაც გაიზრდებიან, შედეგებიც მოვა.

როგორც იცით, ახლახან, დავიწყეთ თანამშრომლობა ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციასთან. წლევანდელ პროექტში, აქცენტს ვაკეთებთ ჭაბუკთა გუნდებზე. თუმცა, თუ დავინახეთ, რომ ქალთა ხელბურთშიც გვექნება საამისო საფუძველი, ნორვეგია-საქართველოს ერთობლივ პროექტში არც გოგონათა ჩართვაზე ვიტყვით უარს.

კობა ხატისაშვილი

წიგნის თარო

სახელმძღვანელო ნორჩი მძლეოსნებისთვის

"**დავიწყებულია**, რომ კაცს ტანი და აგებულებაც აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯასაღდეს, გამაგრდეს", - წერდა დიდი ილია.

ამ თვალსაზრისით, სკოლებში დღეს სასურველი მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. სკოლების უმრავლესობას არ გააჩნია თანამედროვე სპორტული ბაზა და ინვენტარი, ბევრ სკოლაში (განსაკუთრებით რაიონებში) არ ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, არის კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა.

მართალია, განათლების რეფორმა მიზნად ისახავს სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის ძირეულ გარდაქმნას, მაგრამ მას აკლია, როგორც მატერიალური, ისე მეცნიერული და მეთოდიკური უზრუნველყოფა.ამ ხარვეზის რამდენადმე შევსებას ისახავს მიზნად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პროფესორების მ. გ. ტულუშისა და მ. ა. ტულუშის ნაშრომი "მძლეოსნობა" (თბ. 2007 წ.).

ცნობილია, რომ მძლეოსნობა ფიზიკური აღზრდის საფუძველთა საფუძველია. მასზე ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლის ორგანიზმის ნორმალური განვითარება და წრთობა. მისი ამოცანაა გამომუშაოს და განავითაროს მოსწავლეებში სისწრაფე, მოქნილობა, რიტმულობა, კოორდინაცია, გამძლეობა, ფიზიკური ძალის რაციონალური გამოყენების უნარი, სხეულის სილამაზე და სხვა.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ მოძრაობებს, როგორიცაა სიარული, რბენა, ხტომები და ტყორცნები, ე.ი. იმ ვარჯიშებს, რომლებიც მძლეოსნურ სახეობებს მიეკუთვნებიან. წარმოდგენილია 7-12 წლის მოსწავლეებთან ჩასატარებელი სამოცი მეცადინეობის მასალა. ნაშრომში განხილულია აგრეთვე: მძლეოსნობის სახეობათა ტექნიკა; გაკვეთილი, როგორც მეცადინეობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა; მწვრთნელი-მასწავლებელი, როგორც სასწავლო პროცესის მთავარი ფიგურა; თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი თითოეული გაკვეთილის მიმდინარეობა.

წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს, როგორც ფიზიკური აღზრდის მასწავლელებს, ისე სასპორტო სკოლის მოსამზადებელი ჯგუფების მწვრთნელებს, ჩვენი აკადემიის სტუდენტებს.

წიგნი გამოიცა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ თამაზ მდინარაძის ხელშეწყობით.

ლუბა ბიბილეიშვილი,
პროფესორი

თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ დავით პოლოსიანთან

ერთი გაბრძოლებაც...

დავით პოლოსიანი

გორელი მოჭიდავე, ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი დავით პოლოსიანი ბოლო ხანს სულ უფრო ნაკლებად ჩანს სხვადასხვა ტურნირებზე. ბევრი მის ასაკში (33 წელი) აქტიურ სპორტს შეეშვებოდა, მაგრამ დათო არც ასაკს ნებდება და არც ტრავმებს. ტრავმათა სიხშირემ რამდენიმე იძულებითი შესვენება გამოიწვია მის კარიერაში, თუმცა ეს ადამიანი ყოველთვის ნახულობდა ძალებს დასაბრუნებლად. ამასწინანდელი მორიგი იძულებითი პაუზის შემდეგ, პოლოსიანი ისევ გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში ვარჯიშობს და მალე ალბათ, შეჯიბრებებზეც ვიხილავთ.

- მამაც და ბიძაც მოჭიდავეები იყვნენ და მოულოდნელი არ ყოფილა, რომ 8 წლის ასაკიდან მეც ამ გზაზე დამაყენეს. ჭიდაობისადმი სიყვარული, გარდა ოჯახური ტრადიციისა, პირადი მწვრთნელის, ნუგზარ სხირელის დამსახურებაცაა. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი სპეციალისტიცაა იგი და გარდა ამისა, არის ადამიანი, რომელიც თავის შეგირდს უსამართლოდ არავის დააჩაგვრინებს. როცა ასეთი ძლიერი მწვრთნელი გიდგას გვერდით, გამარჯვებისთვის გაორმაგებული ენერგიით იბრძვი. ნუგზარ სხირელისა და მისი სამწვრთნელო შტაბის დამსახურებაა, რომ გორის თავისუფალი ჭიდაობის ამ პატარა დარბაზში აღზრდილ ტიტულოვან ფალავნთა რაოდენობა, ზოგი ცალკეული სახელმწიფოსთვისაც კი სანატრელია.

- შენი წარმატებები ჯერ კიდევ ყოფილი სსრკ-ს დროს დაიწყო. მიღწევები მაშინაც გქონდა, როცა ჩვენს ქვეყანაში სპორტისთვის თითქმის არავის ეცალა...

- 1990 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა მოვიგე, ცოტა ხანში კი ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. ვიყავი სსრკ და შემდგომ დსთ ჩემპიონი. ჯერ კიდევ ჭაბუკთა შორის ყოფნისას უფროსი ასაკის ისეთი სპორტსმენების დამარცხება შევძელი, რომლებიც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მედალისტები იყვნენ. 1994 წელს ევროპის ჩემპიონატზე, დასანანი შეცდომის გამო, ერთი ნაბიჯი დამაკლდა ოქრომდე. ეს წლები მართლაც ძალიან ძნელი პერიოდი იყო სპორტსმენებისთვის. უშუქობა, უწყლობა დარბაზებში, შეკრებების ჩავარდნა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამარჯვების შემთხვევაშიც არაფერს ველოდით ფინანსური თვალსაზრისით. სხვათა შორის, მაშინ გორის დარბაზში ნუგზარ სხირელის დამსახურებით მთლად სახარბიელო თუ არა, სხვებზე უკეთესი პირობები გვქონდა. მე ვფიქრობ, იმ წლებში არა მხოლოდ თავისუფალი ჭიდაობა, მთლიანად ქართული სპორტი ენთუზიაზმისა და უდიდესი მონდომების ხარჯზე გადარჩა.

- მაშინ ბევრმა სპორტსმენმაც დატოვა საქართველო. შენ თუ გქონდა საამისო სურვილი?

- შემოთავაზებები ნამდვილად იყო, ბოლოჯერ სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ მქონდა წინადადება, თუმცა ღრმად მჯერა, რომ მატერიალური ინტერესის გამო სამშობლო არ უნდა დატოვო.

- ტრავმის მიზეზით კარიერაში რამდენჯერმე იძულებითი ტაიმ-აუტის აღება მოგიწია...

- სწორედ ზემოთხსენებული წარმატებების შემდეგ, როცა ვფიქრობდი, რომ დიდი გამარჯვებების დრო დამიდგა, ჯანმრთელობის მხრივ შექმნილმა პრობლემებმა თითქმის სამი წლით „დამასვენა". საჭიდაო ხალიჩაზე დაბრუნებულმა ატლანტის ოლიმპიადა გამოვტოვე, თუმცა ამის შემდეგ, 1997-98 წლებში სპორტული ფორმის პიკზე ვიყავი. ზედიზედ ორჯერ მოვიგე ევროპის ჩემპიონატი და ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. ევროპის ჩემპიონატზე მთელი ტურნირი ისე ჩავატარე, რომ ერთადერთი ქულა დავკარგე, ფინალში კი ანგარიშით 10:0 დავამარცხე მონინააღმდეგე. ეს იყო დრო, როცა ერთი შეხედვით ისიც ვერ წარმომედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა წამეგო, თუმცა ახლა უკვე საზარდულის ტრავმამ აღარ მომცა საშუალება მაქსიმალური წარმატებისთვის მიმეღწია. ცუდია, როცა სპორტული იღბალი შეგაქცევს ზურგს.

- ყველაზე მეტად რომელი ჯილდოს ვერმოპოვებამ დაგწყვიტა გული?

- გული მწყდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გავხდი. მხოლოდ 2001 წელს მოვახერხე ბრინჯაოს მედალის დასაკუთრება, არადა ოთი-ხუთი წლის განმავლობაში ზედიზედ ყველა მსოფლიო პირველობაზე სისტემატიურად ვხვდებოდი ხუთეულში. საოცარი ის გახლდათ, რომ იმ წლებში კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ადიოდნენ სპორტსმენები, რომელთა ჩემპიონობა ყველასთვის სიურპრიზი იყო.

- ვის გამოარჩევდი კარიერის განმავლობაში უშუალო კონკურენტებიდან?

- ჩემი არენაზე ყოფნის განმავლობაში ფაქტობრივად, სამი თაობა შეიცვალა. სამივე თაობაში იყვნენ ძალიან ძლიერი ფალავნები. პირველ ეტაპზე გამოვარჩევდი რუს ფალავანს უმახანოვს - ძალიან ძლიერი იყო, თუმცა მე მუდამ ვუგებდი. სხვათა შორის, შემდეგ მან 63 კილოში აინაცვლა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. მეორე ეტაპზე კანადის სახელით მოასპარეზე ქართველი გივი სისაური გახლავთ გამოსარჩევი. მასთან შეხვედრებშიც უპირატესობა მქონდა. ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე სხვადასხვა ჯგუფში მოვხვდით. მე მონღოლ ფალავანთან დავმარცხდი, რომელიც შემდეგ, ფინალში სწორედ სისაურმა დაამარცხა... ვფიქრობ, მაშინაც მქონდა ჩემპიონობის სერიოზული შანსი. ბოლო ხანებში რამდენიმე გამოკვეთილი ძლიერი ფალავანია საერთაშორისო ასპარეზზე. რომელიმე მათგანის გამორჩევა გამიჭირდება...

- როგორ შეაფასებ შენს გამოსვლას ბოლო საერთაშორისო ტურნირებზე და შენს ახლანდელ სპორტულ ფორმას?

- ბოლოს შარშან, ზამთარში ვიჭიდავე კიევის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პირველ ადგილზე გავედი და აღსანიშნავია, რომ იქ წლევანდელი ევროპის ჩემპიონი, უკრაინელი ვასილი ფედორიშევი დავამარცხე. ფედორიშევს პეკინის მსოფლიო ჩემპიონატზეც შევხვდი, პირველი პერიოდი 1:0 მოვუგე, მაგრამ შემდეგ იგივე ანგარიშით დავთმე მეორე და მესამე პერიოდები და საბოლოოდ მეშვიდე ადგილს დავჯერდი.

სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ შემახსენა თავი ძველმა ტრავმამ, რომელიც პეკინის შემდეგ უკვე გვარიანად გამირთულდა და რამდენიმე თვის განმავლობაში მინიმალურადაც ვერ ვტვირთავდი თავს. ცოტა ხნის წინათ ვარჯიშს ისევ შევუდექი. მწყობრში ვდგები, მინდა კიდევ ერთხელ გავიბრძოლო. ყველაფერი ღმერთის ნებაა, ვნახოთ რამდენად შედეგიანი იქნება ჩემი მორიგი დაბრუნება... თუ არა და - ჩემს წონაში მშვენიერი ახალგაზრდობა მოდის...

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ჩოგბურთი

ყავლაშვილი დარჩა

თინათინ ყავლაშვილი

თურქეთის ქალაქ სტამბოლში 10-ათასიან ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ჩოგბურთელებმა. საამისოდ საკმარისია ითქვას, რომ 8 მეოთხედფინალისტიდან სამი ჩვენი თანამემამულე იყო: **სოფიო შაფათავა, მანანა შაფაქიძე** და **თინათინ ყავლაშვილი**. ტურნირის ამ ეტაპზე წარმატებას, მოულოდნელად, მხოლოდ ურეიტინგო ყავლაშვილმა მიაღწია.

მანანა შაფაქიძემ მეოთხედფინალში ტურნირის პირველ ჩოგან **რია დორნემანთან** (გერმანია) ნააგო - 2:6, 3:6. დამარცხდა მეშვიდე ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავაც**, რომელმაც ტურნირის მეორე ჩოგან მასპინძელ **კაგლა ბუიუქაჭაისთან** წააგო ტაი-ბრეიკში - 4:6, 6:1, 6:7 (6). საღამოს თინათინ ყავლაშვილი მე-4 ნომრად განთესილ **ანა კუმანტუს** (საბერძნეთი) შეხვდა. ქართველის უპირატესობა აშკარა იყო - 6:0, 6:1. სტამბოლის ტურნირის ნახევარფინალში 20 წლის ყავლაშვილი ტურნირის პირველ ჩოგან **რია დორნემანს** შეხვდება. სამწუხაროდ, წყვილთა თანრიგში ორივე ქართული დუეტი დამარცხდა და ასპარეზობას ნახევარფინალში გამოეთიშა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წინსვლა როლან გაროსის წინ

16 წლის ქართველ ჩოგბურთელ **ოქსანა კალაშნიკოვას** ძალიან კარგი სეზონი აქვს. ის წარმატებულად თამაშობს როგორც ახალგაზრდულ, ასევე პროფესიულ ტურნირებში. კალაშნიკოვა 18-წლამდელთა მსოფლიო რეიტინგში 30-ე ჩოგანია (წინა კვირაში სულაც 25-ე ნომერი იყო), დიდებში კი 772-ე პოზიციაზეა, არადა წლეულს მხოლოდ სამ ტურნირში ითამაშა.

გუშინ ჩვენმა თანამემამულემ ბელგიურ შარლერუაში პირველი კატეგორიის ახალგაზრდულ ტურნირში დაასრულა ასპარეზობა. ერთეულთა თანრიგში ოქსანა მე-8 ნომრად იყო განთესილი და ის მეოთხედფინალში ტურნირის მეორე ჩოგან ამერიკელ **ბრენგლთან** დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა. კალაშნიკოვამ წყვილთა თანრიგშიც იყოჩაღა, მისი მეწყვილე კვლავ რუმინელი **ირინა ბეგუ** იყო. პირველ წრეში კალაშნიკოვა და ბეგუ ისვენებდნენ. მეორე წრეში მათ ფრანგ **კოენსა** და ბელგიელ **მაშელეინს** მოუგეს - 6:2, 6:0. "ასტრიდ ბოულის" წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში კალაშნიკოვა და ბეგუ ტაივანელ **ჩანკს** და ამერიკელ **ლის** შეხვდნენ და მათაც მოუგეს - 6:3, 3:6, 6:3. ქართველი ბრძოლას ნახევარფინალში დააკლდა, ოქსანასა და ირინას ავსტრალიელებმა (**კოლდერვუდი, ჰოლანდი**) აჯობეს - 7:6, 5:7, 6:7. მოგეხსენებათ, 18-წლამდელთა ასპარეზზე რეიტინგი კომპლექსურად ითვლება, ასე რომ, ოქსანა ყველა ვარიანტში წინ წაიწევს რეიტინგში "როლან გაროსის" ახალგაზრდული ტურნირისთვის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩრდილოეთი

ეკატერინა ალექსანდროვა

ოლიმპიური მოძრაობა ქუთაისელი ბავშვებისთვის

ქუთაისში ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. სეოკ-ის იმერეთის რეგიონულმა ორგანიზაციამ პატარებს ოლიმპიური ჩემპიონების ბაღში სპორტულ-თეატრალიზებული ღონისძიება მოუწყვეს.

ბაღში შეკრებილმა მოზარდებმა და მათმა მშობლებმა ბავშვების მიერ სპორტულ თემატიკაზე შექმნილი ნახატების გამოფენა დაათვალიერეს, რომელიც ნამდვილად ამართლებდა დევიზს "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ".

1 ივნისის კულმინაცია კი სპორტული შეჯიბრება გახლდათ, რომელიც ოლიმპიური ბაღის შუაგულში გაიმართა. თავიდან პატარა სპორტსმენები სპორტული ტანვარჯიშის სხვადასხვა სახეობაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, ამას მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები შეენაცვლა, ბოლოს კი ყველაფერი აკრობატთა გამოსვლებით დამთავრდა.

ზეიმის მონაწილე ყველა ბავშვს ღონისძიების ბოლოს "პროკრედიტ-ბანკმა" სპორტული საჩუქრები და სამახსოვრო სუვენირები გადასცა.

მერაბ გრძელიძე
ქუთაისიდან

NBA. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ერთი კაცის გუნდი



ლებრონი დაფრინავდა

დიდი გულისა და უფრო დიდი პოტენციალის, უშრეტი შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდამ, რომელსაც ამერიკულმა მასმედიამ არც მეტი, არც ნაკლები "მეფის" იარლიყი მიაკრა, გააკეთა ის, რაც მხოლოდ რჩეულების, დიდი მოთამაშეების ხვედრია. ნამატჩევს, TNT-ის ანალიტიკოსი - **სტივ კერი,** "კლივლენდის" ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს** ოკეანისგაღმური პროფესიული სპორტის მამონტებს, ჰოკეისტ **უეინ გრეცკის,** ბეისბოლისტ **როჯერ კლემენსსა** და ამერიკული ფეხბურთის გრანდ **ფრენკ მარინოს** ადარებდა, მაგრამ ამ უკვდავი ხალხის გვერდით ლებრონის დაყენება, ალბათ, ორი მიზეზის გამოა ნაადრევი - ჯერ ერთი, ჯეიმსს ამ სპორტსმენების დარი მიღწევები ჯერ არ ჰქონია (თუმცა, მიაღწევს და მერე, რამდენს!) და ამასთან ერთად, "კავალიერსის" ვარსკვლავს თავისი, საკუთარი გზა აქვს გასაკვალი, სადაც სულაც არ უნდა ის სხვასთან იყოს გაიგივებული. **ჯორდანი** არავისთვის შეუდარებიათ, თავისი სამყარო შექმნეს **ბერდმა, მეჯიქ ჯონსონმა, ოლაჟუონმა** და **აიზია ტომასმა** და ერთ მშვენიერ დღეს, ჯეიმსიც საკალათბურთო პანთეონში თავის ადგილს იპოვნის.

"დეტროიტთან" სერიის მეხუთე მატჩში, ლებრონმა გააკეთა ის, რაც მანამდე მხოლოდ **უოლტ ფრეიზერს, ქარიმ აბდულ-ჯაბარს, ჩარლზ ბარკლისა** და **სტივ ნეშს** გაუკეთებიათ - მან თავისი გუნდის ბოლო 20 და მეტი ქულიდან, თანაგუნდელებს მხოლოდ 1 ქულა დაუტოვა, დანარჩენი კი თავად აკრიფა. უფრო კონკრეტულად კი, ჯეიმსმა "კლივლენდის" უკანასკნელი 30 ქულიდან, 29 პირად ანგარიშზე ჩაინერა. ამაზე სოლიდური შედეგი მხოლოდ ჯაბარს ჰქონია, რომელმაც "მილუოკიში" ბოლო 36 ქულიდან, 35 მიითვალა.

გადახედეთ ორივე გუნდის შემადგენლობას - "პისტონზს" რეზერვში **ანტონიო მაკდაიესი** ჰყავს, რომელიც ასაკის მატების მიუხედავად, "კავალიერსში" ძირითადის უცვლელი ნევრი და ჯეიმსის შემდეგ გუნდის საუკეთესო მექულე იქნებოდა. "დეტროიტის" მთავარი მწვრთნელი **ფლიპ სონდერსი** არც კი ათამაშებს ცენტრ **ნაზრ მოჰამედსა** და მსროლელ **რონალდ მიურეის**. "კავალიერსში" ნაზრი **ჟიდრუნას ილგაუსკასის** სრულფასოვანი შემცვლელი იქნებოდა, ხოლო მიურეისთვის კი 15-17 წუთი ყველა მატჩში თავისუფლად მოიძებნებოდა.

უკეთესი შემადგენლობა, ბევრად კარგი სამწვრთნელო შტაბი და საფლეიოფო გამოცდილებაც კი ვერ ფარავს ერთი კაცის სიდიადეს და რაც დრო გავა, ნაპრალი ჯეიმსსა და დანარჩენ ლიგას შორის, სულ უფრო გაღრმავდება. სხვა საქმეა, რამდენად წაადგება ყველაფერი ეს "კავალიერსს", რომელსაც ასე მთლად ერთ კაცზე ლოცვაც ბევრს არაფერს მოუტანს.

ჯეიმსს, ისევე როგორც ზემოთ ნახსენებ ლეგენდებს, სოლიდური თანაგუნდელები სჭირდება. ბერდს **მაქჰეილი, პერიში, ეინჯი, უოლტონი** და **დენის ჯონსონი** ჰყავდა, მაიკლის ორად გაყოფილ ეპოქას - **პიპენი, ჰორას გრანტი, პაქსონი, როდმანი, ჰარპერი, კერი** და **კუკოჩი** ამყარებდნენ, აიზიას გუნდში კი, **ლემბირი,** იგივე როდმანი, **დუმარსი** და **აგირე** იყვნენ.

ვინ ჰყავს ლებრონს? **დრიუ გუდენი,** რომელმაც წინა მატჩში ტექნიკური რომ მიიღო, მწვრთნელმა **მაიკ ბრაუნმა,** სიხარულისგან ლამის პირსახოცი შეჭამა - მეგონა, ეს ფლეგმა ახალგაზრდა ხმის ამომღები არ იყო და რახან გინება შეძლებია, ძალისმიერ თამაშშიც გამომადგებაო.

გუდენის მერე კი მოდის ილგაუსკასი, რომელიც იმ მოქმედ ცენტრებში, რომლებსაც "ყველა ვარსკვლავის" მატჩებში აქვთ მონაწილეობა მიღებული, საშუალოდ ყველაზე ცოტა მოხსნასა და დაფარებას აგროვებს.

ლარი ჰიუზი "ვაშინგტონში" **გილბერტ არენასთან** ერთად მაგარი კაცი იყო, ამჯერად კი დიდ კონტაქტს რომ მოაწერა ხელი, მოტივაცია დაეკარგა.

ანდერსონ ვარეჯაო, ალექს პავლოვიჩი, დონიელ მარშალი და **ერიკ სნოუ** კი, სათვალავში არც არასოდეს ითვლებოდნენ.

ასე რომ, "კლივლენდი" ერთი კაცის - ლებრონ ჯეიმსის გუნდია.

ზურაბ თალაკვაძე

ალმოსავლეთი

დეტროიტი-კლივლენდი	107:109
29:23, 23:28, 18:19, 21:21, 9:9, 7:9	

დეტროიტი: რ. ჰამილტონი (26 ქ. 5 პ), ბილაპსი (21 ქ. 7 მ. 4 პ), უებერი (20 ქ. 7 მ), რ. უოლასი (17 ქ. 8 მ. 2 პ. 2 დ), პრინსი (10 ქ. 9 მ. 3 პ), მაქსიელი (9 ქ. 5 მ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (48 ქ. 9 მ. 7 პ. 2 ჩ), ილგაუსკასი (16 ქ. 8 მ. 2 პ. 2 დ), გიბსონი (11 ქ), ვარეჟაო (9 ქ. 2 ჩ. 2 დ), ლ. ჰიუზი (9 ქ).

სერია 2:3

ვარსკვლავი

ტაისონ გეის ამბიციები

ტაისონ გეი

სპრინტის არენაზე ახალი ამერიკელი სუპერმორბენალი გამოჩნდა. მისი სახელია **ტაისონ გეი** და ის არ მალავს, რომ ამ სეზონში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას აპირებს. დღეს ის "რიბოკის" დიდ პრიზზე იასპარეზებს და გვპირდება, რომ სპორტულ სამყაროს აალაპარაკებს.

არცთუ დიდი ხნის წინათ, შტატ ნევადაში ასპარეზობისას, გეიმ ასი მეტრი 9.79 წამში გაირბინა, თუმცა ამჯერად ეს ნორმაზე ძლიერი ზურგქარის დახმარებით გააკეთა. მაგრამ ტაისონი არ ცხრება, ის ამბობს, რომ დოპინგის გამო სპორტიდან მოკვეთილი **ჯასტინ გეტლინის** არყოფნაში წარმოქმნილ ვაკუუმს სწორედ ის შეავსებს.

"ჩემი მიზანია, ამერიკას კვლავ დავუბრუნო სპრინტში მოწინავე პოზიცია. მინდა, ყველას დავანახო, რომ ყველა სპრინტერი მიზანს დოპინგის გამოყენებით როდი აღწევს. ამ ეტაპზე, არც რეკორდები მაქვს დამყარებული და ჯერჯერობით, არც დიდი ტურნირების მედლებს ვფლობ, მაგრამ ვეცდები, ეს ნაკლი მალე გამოვასწორო. კარგ და გრანდ სპრინტერებს ის განასხვავებს, რომ გრანდები სეზონში რამდენჯერმე ახერხებენ ბრწყინვალე შედეგების ჩვენებას. ჰოდა, მეც ვეცდები, რომ გრანდების ნორმა შევასრულო. ამ ეტაპზე, რამდენიმე ტექნიკური ელემენტი გასაუმჯობესებელი მაქვს და ვარჯიშის დროს სწორედ მათს დახვეწაზე ვზრუნავ", - ამბობს ტაისონ გეი, ვინც შარშანდელი სეზონის შედეგებით, 200 მეტრზე სპრინტში მსოფლიო რეიტინგში პირველი ნომერი იყო, 100 მეტრზე სპრინტში კი - მეორე. უფრო მეტიც, 100/200 მეტრზე კომბინაციის მხრივ, ის ყველა დროის უსწრაფეს სპრინტერადაც კი მიიჩნიეს.

ტაისონ გეი მიიჩნევს, რომ მისი ყველაზე დიდი ნაკლი სასტარტო ნიშანზე რეაგირებაა. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ამ ელემენტის დახვეწაზე მუშაობს. ის ამბობს, რომ ოსაკას (იაპონია) მსოფლიო ჩემპიონატამდე რამდენიმე ტურნირზე გამოსვლა, სასტარტო მონაცემების გაუმჯობესებაშიც დაეხმარება.

"რიბოკის" დიდ პრიზზე გეის მეტოქეობას გაუწევენ სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ამერიკელი **დუაიტ ფილიპსი** და კიდევ ერთი ამერიკელი, **დერიკ ატკინსი,** ვისაც ამ სეზონში, ას მეტრზე სპრინტში მეორე საუკეთესო შედეგი აქვს.

რაც შეეხება მსოფლიოს ახლანდელ რეკორდსმენს იამაიკიდან **ასაფა პაუელს,** მან უკვე მოიშუშა აპრილში მიღებული ტრავმა და ბელგრადში შესანიშნავი დებიუტიც კი ჰქონდა. როგორც გეგმავდა, მოკლე სპრინტერული დისტანცია ათ წამზე ნაკლებში (9.97 წამში) გაირბინა.

პაუელმა სტარტიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ბოლომდე წინ არავინ გაუშვია. მან ფინიშთან 0.14 წამით მიასწრო ჰოლანდიის ანტილიის **ჩურანდი მარტინას**. მესამე ადგილი პაუელის თანამემამულე **მაიკლ ფრატერმა** დაიკავა (10.19 წამი).

"შესანიშნავი შედეგია. ძალიან კმაყოფილი ვარ და გპირდებით, რომ ყოველთვის ვიასპარეზებ ამ ტურნირზე. საერთოდ, სეზონში ჩემს პირველ გამოსვლას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და მაქსიმალურად ვირჯები იმისთვის, რომ ათ წამზე ნაკლებში გავირბინო", - განაცხადა პაუელმა, ვინც ასი მეტრი ათ წამზე ნაკლებში 26-ედ გაირბინა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ფორმულა 1

სენსაცია: ჰემილტონი ფერარიში?

სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს ინგლისური გაზეთი - "თაიმსი". "მაკლარენის" 22 წლის პილოტი - **ლუის ჰემილტონი** "ფერარიში" ფინელ **კიმი რაიკონენს** შეცვლის. ეს ტრანსფერი 2011 წელს განხორციელდება, როცა ბრიტანელ ავტომრბოლს **რონ დენისის** გუნდთან კონტრაქტი ამოეწურება.

შეგახსენებთ, რომ ჰემილტონი წელეულს, მსოფლიო ჩემპიონატის ხუთივე ეტაპზე პოდიუმზე ავიდა და ახლა, თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოსთან** ერთად ლიდერობს საერთო ჩათვლას.

თუ ლუისის "ფერარიში" ტრანსფერი შედგა, მაშინ ბრიტანელი პილოტის ხელფასი წელიწადში 40 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

ტოიოტა შუმახერს ენდობა

"ტოიოტას" ხელმძღვანელობამ უარყო გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს იაპონური საჯინიბო თავის პირველ პილოტთან - **რალფ შუმახერთან** აპირებდეს კონტრაქტის გაწყვეტას. გუნდის ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ განაწყენებულნი არიან ამ სეზონში ნაჩვენები დაბალი შედეგებით, მაგრამ იქვე აცხადებენ, რომ გერმანელ პილოტს კრიზისის დაძლევაში დაეხმარებიან.

"ამ ინფორმაციებს საფუძვლად მხოლოდ ჭორები უდევს. ჩვენ რალფთან მუშაობას ვაგრძელებთ და ვცდილობთ, მან რაც შეიძლება სწრაფად გააუმჯობესოს შედეგები. ვფიქრობ, მონაკოს გრან-პრის დროს შექმნილ პრობლემებს უახლოეს ხანებში დავძლევთ. შუმახერის კონტრაქტი ამ წლის ბოლოს იწურება და ჩვენ ხელშეკრულების ორი წლით გახანგრძლივებას ვაპირებთ. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია", - აცხადებს "ტოიოტას" შეფი **ჯონ ჰაუეტი**.

კალათბურთი

ახალი მწვრთნელები

"ორლანდო მეჯიკის" პრეს-სამსახურის ცნობით, მომავალ სეზონში ამ გუნდს ახალი სპეციალისტი - **ბილი დონოვანი** განვრთნის.

ამ მწვრთნელმა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში, ორჯერ გააჩემპიონა NCAA-ს ლიგაში ფლორიდას უნივერსიტეტის გუნდი, ახლა კი, NBA-ში გადადის სამუშაოდ.

"დონავანი - გამარჯვებული მწვრთნელია. ასე რომ, ჩვენ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. დარწმუნებულნი ვართ, ბილი მაქსიმალურად გამოიყენებს გუნდის მოთამაშეთა ნიჭსა და პოტენციალს. მისი ხელმძღვანელობით, "ორლანდო" ახალ დონე ზე გავა", - ამბობს "მეჯიქის" გენერალური მენეჯერი - **ოტის სმიტი**.

42 წლის დონოვანის კონტრაქტის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ საადგენტო "როიტერი" ვარაუდობს, რომ საქმე ეხება 5-წლიან და 30-მილიონიან ხელშეკრულებას.

■ ■ ■

გაისად, ახალი მწვრთნელის ხელში ითამაშებს "ინდიანა პეისერსიც". გუშინ, **რიკ კარლაილის** პოსტი **ჯიმ ო'ბრაიენმა** დაიკავა.

"ინდიანამ" წლეულს, პირველად ბოლო 10 სეზონის განმავლობაში, ფლეი ოფის საგზური ვერ მოიპოვა. სწორედ ეს გახდა კარლაილის გადაყენების მიზეზი. რაც შეეხება ო'ბრაიენს, ის ადრე "ბოსტონსა" და "ფილადელფიაში" მუშაობდა.

სტივ კერი ფინიქსს უხელმძღვანელებს

ფლეი ოფში ხელმოცარული "ფინიქს სანზის" მეპატრონეები, მომავალ კვირას კლუბის ახალი გენერალური მენეჯერის ვინაობას დაასახელებენ. ეს გახლავთ წარსულში ცნობილი კალათბურთელი - **სტივ კერი,** რომელიც ამჟამად, yahoo-ს საკალათბურთო მიმომხილველად მუშაობს.

კერი გენერალური მენეჯერის პოსტზე **მაიკ დ'ენტონის** შეცვლის, რომელიც მთლიანად მთავარი მწვრთნელის ფუნქციების შესრულებაზე გადაერთვება.

უეიდს მეორე ვაჟი ჰყავს

"მაიამი ჰიტის" ლიდერ **დუეინ უეიდს** მეორე შვილი შეეძინა - ამ ინფორმაციას კალათბურთელის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.

ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, გასული წლის ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშეს ამჯერადაც ვაჟი ეყოლა. მას **ზაიონ მელაკი ეირემისი** (Zion Malachi Airamis) დაარქვეს. უეიდის პირველი შვილის სახელია - ზაირი (Zaire).

ოლიმპიზმი

პეკინში მოწევა აიკრძალება

პეკინის ოლიმპიური თამაშების პერიოდში, თამბაქოს მოყვარულებს დიდი დისკომფორტი ელით. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ოლიმპიადის ორგანიზატორები თამაშების დროს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მონევას აკრძალავენ.

აკრძალვა შეეხება ყველა იმ ობიექტს, რომლებსაც უშუალო შეხება ექნებათ ოლიმპიურ თამაშებთან. ეს არის სპორტული არენები, ოლიმპიური სოფელი, სასტუმროები, რესტორნები და სხვა ადგილები.

სიგურეებით სირბილი

პეხშტაინი ნორვეგიაში გადადის

გოლო წლების ერთ-ერთი უძლიერესი მოციგურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი - **კლაუდია პეხშტაინი** აცხადებს, რომ მომავალ სეზონში არა გერმანიაში, არამედ ნორვეგიაში ივარჯიშებს.

35 წლის გერმანელის თქმით, მისი ქვეყნის მოციგურავეთა კავშირს შედეგების გაუმჯობესების ამბიცია არ გააჩნია, შესაბამისად, სპორტსმენებისთვის არანაირი სტიმული არ არსებობს. სწორედ ეს არის პეხშტაინის "ემიგრაციის" მთავარი მიზეზი.

შეგახსენებთ, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა გერმანელი მოციგურავე საზღვარგარეთ ვარჯიშობს. მეორე სუპერვარსკვლავი, ოლიმპიადის ორგზისა და მსოფლიოს 12-გზის ჩემპიონი - **ანი ფრიზინგერი** უკვე ორი წელიწადია ჰოლანდიაში, იქაური სპეციალისტის - **ჯანი რომეს** ხელმძღვანელობით მეცადინეობს. რაც შეეხება პეხშტაინს, ნორვეგიაში მას ცნობილი ამერიკელი - **პიტერ მიულერი** გაწვრთნის.

ჩოგბურთი

როლან გაროსი გადაიხურება

2011 წელს, "როლან გაროსის" ცენტრალურ მოედანზე მოძრავ სახურავს დაამონტაჟებენ. ამის შესახებ გუშინ, საფრანგეთის ღია პირველობის გენერალურმა დირექტორმა - **ჟან-ფრანსუა ვილოტმა** გამოაცხადა.

"წლევანდელი ჩემპიონატის პირველ დღეებში გადაულებლად წვიმდა. სწორედ ამან მიგვანიშნა იმის შესახებ, რომ ცენტრალურ კორტს სახურავი სჭირდება. სამუშაოები 2009 წელს დაიწყება და საუკეთესო შემთხვევაში, 2011 წელს დასრულდება", - ამბობს ვილოტი.



შენონ ბრიგსი და სულთან იბრაგიმოვი

ᲙᲠᲘᲕᲘ. ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ

ᲑᲠᲘᲒᲡᲘ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ

დღეს შტატ ნიუ ჯერსის ქალაქ ატლანტიკ სიტის "ბორდუოკ ჰოლის" რინგზე, WBO-ის კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **შენონ ბრიგსი** თავისი ტიტულის დასაცავად რუს **სულთან იბრაგიმოვს** შეხვდება და იქადნის, რომ პრეტენდენტს სწრაფად გაუსწორდება.

"ჩემი მიზანი, მისი დანოკაუტებაა. არ ვიცი, რას ეტყვიან მას მწვრთნელები ჩემზე, ალბათ იმას, რომ მუშტი-კრივში ის მაჯობებს. ვნახოთ, ეს არც ისე ადვილია. ჩემი მუშტის სიმძიმე ბევრს უგემია და მასაც გავასინჯებ. როცა მას ჩემი მუშტი მოხვდება, ინანებს, რომ ჩემს ტიტულს ნაეპოტინა. მე მას ჭკუას ვასწავლი და ეს სხვებისთვისაც გაკვეთილი იქნება", - იმუქრება ბრიგსი (48-4-1), ვისაც 42 ბრძოლა ნოკაუტით აქვს მოგებული.

ისე, არც იბრაგიმოვია ნაკლები ბიჭი. მას ოლიმპიური ვერცხლი (სიდნეიში, 2000 წელს) აქვს მოპოვებული, პროფესიულ კარიერაში (20-0-1) კი ჯერ ერთი ბრძოლაც არ წაუგია. ოციდან კი 17 ბრძოლა ნოკაუტით მოიგო.

მათი ბრძოლა უფრო ადრე უნდა გამართულიყო, მაგრამ მარტში ამერიკელს პნევმონია ჰქონდა, რის გამოც, შეხვედრა გადაიდო. მაშინ პრეტენდენტმა უქმობა არ ისურვა და ბრძოლაზე სასწრაფოდ შეუთანხმდა ვინმე **ხავიერ მორას**, რომელსაც 46 წამში გაუსწორდა. მორა ბევრი ვერაფერი მოკრივეა, ის ბრიგსს სპარინგპარტნიორადაც კი არ გამოადგებოდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იბრაგიმოვი მისთვის იოლი მეტოქე იქნება.

"მზად ვარ, ეს ტიტული ჩემთვის და რუსეთისთვის მოვიპოვო. აქამდე ჩვენ ერთმანეთს ბევრი "ქათინაური" ვუძღვენით, ახლა კი საქმის დროა. რინგზე უკეთ გამოჩნდება, ვის რისი თავი აქვს", - ამბობს 32 წლის იბრაგიმოვი.

მაგრამ 35 წლის ბრიგსი ტიტულის დათმობას არ აპირებს. *"მის მოსაპოვებლად დიდი შრომა გავწიე და მას არავის დაკუთმობ. მე ემოციური მებრძოლი ვარ და როცა გონგის ხმას გავიგებ, მაშინაც მხეცად გადავიქცევი ხოლმე. და ვაი იმას, ვინც წინ დამიდგება"*, - ბრაზობს ჩემპიონი.

ამ მხეცმა ტიტული მართლაც დიდი გარჯის ფასად მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ შარშან ნოემბერში ფინიქსში მან ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩს** ბოლო წამებზე აგემა ნოკაუტი (რინგის მიღმა გადააგდო) და მას ტიტული ჩამოართვა. არადა, ნოკაუტამდე ის ქულებით აშკარად აგებდა ბრძოლას.

სხვათა შორის, ბრიგსი ასთმითაა ავად და ეს დაავადება მას კარიერაში ბევრ პრობლემას უქმნის. თუმცა, ამის მიუხედავად, ამერიკელ გიგანტს 2002 წლის შემდეგ ბრძოლა არ წაუგია.

"დიახ, მე ამ დაავადებით ვიბრძვი. ასე უკვე ოცი წელინადი გრძელდება, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ის ჩემს შესაძლებლობებზე აისახება? ვერავინ. კიდევ ერთხელ ყველას დავუმტკიცებ, რომ მსოფლიოში ბადალი არ მომეპოვება", - ამბობს ბრიგსი, ვინც იმედოვნებს, რომ იბრაგიმოვის დანოკაუტების შემდეგ, სხვა პრესტიჟულ გაერთიანებათა ჩემპიონები მასთან შეხვედრაზე აღარ იტყვიან უარს. ჰოდა, ისიც ზემძიმე წონაში ტიტულების გაერთიანებას შეუდგება...

ᲖᲔᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐ

ᲙᲐᲚᲫᲐᲒᲔ ᲙᲔᲡᲚᲔᲠᲡ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ

ᲖᲔᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ წონაში სუპერბრძოლა იჩარხება - ბევრი კამათისა და მოლაპარაკების შემდეგ, ბრძოლაზე შეთანხმებას მიაღწია ამ წონის ორი ჩემპიონის, WBO-ის ტიტულის უელსელ მფლობელ **ჯო კალძაგესა** და WBA-ისა და WBC-ს ტიტულების დანიელი მფლობელის, **მიკელ კესლერის** ბანაკებმა. სავარაუდოდ, ბრძოლა სექტემბერში, დანიაში ჩატარდება.

"კესლერის პრომოუტერმა მოგენს პალემ შემომთავაზა, რომ ბრძოლა დანიაში, სექტემბრისთვის დაგვენიშნა, რაზეც თანხმობა შევუთვალე. ახლა ისღა დაგვრჩენია, კონტრაქტიც შევათანხმოთ და ბრძოლაც ოფიციალურად დავნიშნოთ. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვეტილია, მაგრამ პირველი ნაბიჯი გადაიდგა და ახლა პალეს ჯერია. მან კონტრაქტი უნდა გამოგვიგზავნოს", - ამბობს კალძაგეს პრომოუტერი **ფრენკ უორნი** ა დასძენს - ჯოსთვის სულერთია, თუ სად შეხვდება კესლერს. დანიაში? ძალიანაც კარგი, ჩავალთ და იქ მოვიგებთო.

"მთავარია, რომ ამ წონის ორი საუკეთესო მოკრივე შეხვდება ერთმანეთს. ეს ბრძოლა კრივის მოყვარულს დააინტერესებს. არაა გამორიცხული, რომ ამ ბრძოლამ სეზონის საუკეთესო ბრძოლის ტიტულიც მოიპოვოს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი შეხვედრებით კრივის მოყვარულები განებივრებულნი არ არიან", - ამბობს უორენი.

აღსანიშნავია, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ, კესლერის მხარემ უორენი დაადანაშაულა იმაში, რომ ის თავის მოკრივეს ძლიერ მეტოქეებს არიდებს. თუმცა, ამ ბრალდებას საფუძველი ნამდვილად არ აქვს, რადგან კესლერთან მოლაპარაკებამდე, უორენი საშუალო წონის ამერიკელი ჩემპიონის, **ჯერმეინ ტეილორის** მენეჯერებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ტეილორს კი, ვინც ზედიზედ ორჯერ შეძლო ლეგენდარული **ბერნარდ ჰოპკინსის** ძლევა, სუსტ მეტოქეს ვერავინ უწოდებს.

უორენმა კესლერის მენეჯერებს გაუგზავნა თავისი მოთხოვნები და ახლა პასუხს ელის. ის იმედოვნებს, რომ დანიელის ბანაკი არ გადათქვამს და ბრძოლის ჩასაშლელად მიზეზების ძებნას არ დაიწყებს. *"ვფიქრობ, ისინი არ ელოდნენ, რომ ჩვენ დანიაში ბრძოლაზე დავთანხმდებოდით. ჰოდა, არაა გამორიცხული, რომ ახლა პირი გვიშალონ და ჭირვეულობა დაიწყონ. მაგრამ ჩვენ ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბრძოლა შედგეს"*, - ამბობს უორენი და გვახსენებს, რომ კალძაგემ ზესაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონის (სხვადასხვა ვერსიებით) ტიტული უკვე ოცჯერ დაიცვა და ათი წელინადია, ჩემპიონის ტიტულ(ებ)ს ატარებს.

მერაბ ლორთქიფანიძე

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲘᲠᲔᲚᲘ

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2

22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საქართველო (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-უკრაინა (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲣᲔᲚᲑᲐᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 არგენტინის ჩემპიონატი. არგენტინოს ხუნიორსი-სან ლორენსო.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
15:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
17:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი (LIVE).
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
22:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-ხორვატია (LIVE).
00:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:35 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

06:56 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა.
08:50 სპორტფორმრმი.
09:04 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-კოტბუსი.
10:55 ფეხბურთი. ამხანაგურ მატჩი. ინგლისი-ბრაზილია.
12:40 სპორტის ისტორია.
12:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:20 სპორტის სამყარო.
13:50 სპორტის ისტორია.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
15:05 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
15:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:05 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-სერბეთი (LIVE).
22:15 წყალბურთი.
22:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
00:59 სპორტის ისტორია.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-გრემიო (LIVE).
03:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
03:32 სპორტის ისტორია.
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი (LIVE).
06:35 ფეხბურთი. ამხანაგურ მატჩი. ინგლისი-ბრაზილია.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
10:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XX ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VII დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-უკრაინა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
02:30 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. საფრანგეთი.
03:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
12:15 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
15:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
15:45 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ჩინეთი-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი.
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XX ეტაპი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
19:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. გერმანია-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. საფრანგეთი-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ჰოლანდია (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ახალი ამბები.

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲙᲕᲘᲠᲐ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲣᲔᲚᲑᲐᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-კიევი.
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-ხორვატია.
17:55 იტალიის ჩემპიონატი. სერია B. ბარი-იუვენტუსი (LIVE).
20:00 არასაფეხბურთო ისტორიები.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:35 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი.
22:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:05 არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:20 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
09:10 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ბოსნია-თურქეთი.
12:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:15 სპორტის სახეები.
13:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-გრემიო.
15:30 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
16:35 აფროსნობა. ამერიკის თასი.
17:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:35 სპორტკლუბი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია B. ბარი-იუვენტუსი (LIVE).
20:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. III მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
21:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:25 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:54 სპორტის ისტორია.
23:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სანტოსი-კორინთიანსი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ჩეხეთი.
02:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ბოსნია-თურქეთი.
04:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-გრემიო.
06:15 სპორტის სახეები.

EUROSPORT

10:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. საფრანგეთი.
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი. მუგელო (LIVE).
12:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი. 125 cc. მუგელო (LIVE).
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი. 250 cc. მუგელო (LIVE).
15:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი. მოტოგრან-პრი. მუგელო (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. საფრანგეთი.
17:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
18:15 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XXI ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ჩინეთი-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
01:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
01:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. კორეა.
02:15 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი.
03:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. კორეა (LIVE).
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-შვედეთი.
13:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
14:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-საფრანგეთი. იტალია.
15:45 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
16:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-არგენტინა. იტალია.
18:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი (LIVE).
19:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ჰოლანდია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:45 ახალი ამბები.

ᲤᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ-ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ	1:1

ᲘᲜᲗᲚᲘᲡᲘ: რობინსონი, კარაგერი, კინგი, ტერი (72. ბრაუნი), შორი, ბექჰემი (77. ჯენასი), ჯერარდი, ლემპარდი (88. ქერიკი), ჯო კოული (62. დაუნინგი), სმიტი (62. დაიერი), ოუენი (83. კრაუჩი).

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ: ელტონი, დანიელი (65. მაიკონი), ნალდო, ჟუანი, უილბერტო, რონალდინიო, მინეირო (63. ედმილსონი), ჟილბერტო სილვა, კაკა (71. ალვესი), რობინიო (74. დიეგო), ვაგნერ ლავი.

ᲒᲝᲚᲔᲑᲘ: 1:0 ტერი (68), 1:1 დიეგო (90).
ᲛᲐᲧᲣᲠᲕᲔᲚᲘ: 88 745

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ-ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐ	2:0
ᲞᲝᲚᲜᲔᲗᲘ (U21)-ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ (U21)	1:0

ᲔᲕᲠᲝ 2009

UNDER 21

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	4:0
ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ-ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ	1:2
ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ-ᲩᲔ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ	0:1
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	1:1

ᲔᲕᲠᲝ 2007

UNDER 19

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ	5:2
ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ-ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	2:2
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	4:0
ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ-ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ	3:4

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲙᲝᲠᲙᲘ-ᲓᲔᲠᲘ	1:1
ᲓᲠᲝᲒᲔᲓᲐ-ᲚᲝᲜᲒᲤᲝᲠᲓ	1:1
ᲡᲒ. ᲞᲐᲢᲠᲘ-ᲒᲐᲚᲕᲔᲗᲘ	1:2
ᲣᲝᲒᲔᲠᲤᲝᲠᲓ-ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ	1:3
ᲨᲔᲛᲠᲝᲙᲘ-ᲑᲠᲔᲗᲘ	1:0

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲚᲔᲒᲘᲐ-ᲚᲔᲩᲜᲐ	0:2

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲕᲔᲚᲔᲚᲘ-ᲜᲣᲔᲕᲐ ᲩᲘᲙᲐᲒᲝ	2:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲑᲐᲡᲙᲝᲜᲘᲐ-ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	81:73

საფრანგეთის ღია პირველობა

ჟუსტინის საიუბილეო საჩუქარი

გუშინ საფრანგეთის ღიას კიდევ რამდენიმე ძლიერი მეჩოგნე გამოეთიშა. ტურნირი დატოვეს მისმა ყოფილმა ჩემპიონმა, ესპანელმა **ხუან კარლოს ფერერომ**, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა**, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩილედან **ნიკოლას მასუმ**, ტურნირის ორგზის ფინალისტმა, რუსმა **ელენა დემენტიევამ** და ხორვატმა **ივან ლიუბიჩიჩმა**. სამაგიეროდ, წინსვლა გააგრძელეს **როჯერ ფედერერმა, სერენა უილიამსმა** და იუბილარმა **ჟუსტინ ანენმა**.

შარშანდელი როლან გაროსის ნახევარფინალისტი ლიუბიჩიჩი ტურნირიდან იტალიელმა **ფილიპო ვოლანდრიმ** გამოთიშა. ამ მოგებით, ვოლანდრი ბოლო დეკადაში გახდა პირველი იტალიელი, ვინც საფრანგეთის ღიას მეოთხე წრეში გასვლა შეძლო.

ვოლანდრი იმ სამ ჩოგბურთელთაგანია, ვისაც ამ სეზონში ფედერერი ჰყავს დამარცხებული. მან ეს რომის მასტერსზე გააკეთა და როგორც თავად ამბობს, იმ გამარჯვებამ მას საკუთარ შესაძლებლობათა რწმენა გაუძლიერა.

"იმ გამარჯვებას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ვიცი, რომ ნებისმიერთან გამარჯვება შემიძლია, კრიტიკულ მომენტებში კი უფრო მობილიზებული ვარ, რაც ძალიან კარგი თვისებაა, როცა უმაღლეს დონეზე, ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ თამაში გიწევს. ახლა შანსი მაქვს, როჯერს კიდევ ერთხელ შევხვდე. ჰოდა, ვეცდები, ეს შანსი გამოვიყენო", - ამბობს ვოლანდრი, ვისაც მეოთხე წრეში ესპანელი **ტომი რობრედო** შეხვდება და თუ ეს ბარიერიც დაძლია, მაშინ მეოთხედფინალში ფედერერთან ექნება საქმე.

სხვათა შორის, ბოლო იტალიელი, ვისაც ვოლანდრიმდე როლან გაროსის მეოთხე წრეში უთამაშია, **რენცო ფურლანია**. 1995 წელს მან ტურნირის მეოთხედფინალშიც ითამაშა, სადაც ესპანელ **სერხი ბრუგერასთან** წააგო.

ვენუსს, ვისაც ხუთი წლის წინათ ამ ტურნირის ფინალში უთამაშია, მეოთხე ნომრად განთესილმა სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** მოუგო. იანკოვიჩი ამ სეზონს შესანიშნავად ატარებს და ერთ-ერთი საუკეთესოა ვტა-ს ტურზე. შესაბამისად, ფავორიტთა შორისაც მოიხსენიება, თუმცა როგორც თავად ამბობს, ძალიან ცუდ ხასიათზე დადგა, როცა გაიგო, რომ ადრეულ ფაზაშივე უწევდა ისეთ ძლიერ მეტოქესთან თამაში, როგორიც ვენუს უილიამსია.

თუმცა კორტზე შიშის ნატამალიც არ გამოუვლენია. უფრო პირიქით მოხდა, ამერიკელმა 52 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ამით მეტოქეს საქმე მნიშვნელოვნად გაუადვილა. მოკლედ, 22 წლის სერბმა, ვისაც ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემია აქვს დამთავრებული, ზედიზედ მესამედ მოუგო უიმბლდონის მოქმედ ჩემპიონს.

თუ იანკოვიჩი წინსვლას გააგრძელებს, ნახევარფინალში მისი შესაძლო მეტოქე ანენია, რომელმაც ორ სეტში მოუგო იტალიელ **მარა სანტანჯელოს**.

გუშინ ჟუსტინი იუბილარი იყო - 25 წელი შეუსრულდა. ჰოდა, გამარჯვებაზე უკეთეს საჩუქარს ვერც ისურვებდა. მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ვისაც საფრანგეთის ღია სამჯერ აქვს მოგებული (წინა ხუთ სეზონში), ორი სეტის განმავლობაში, მეტოქისგან პრობლემა არ შექმნია. და თუ ანგარიში გამანადგურებელი არ იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ბელგიელს ასე სურდა.

მის უპირატესობაში ეჭვი არც მაშინ შეუტანია ვინმეს, როცა თამაშის დასაწყისში მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს. ჟუსტინმა თავისი უპირატესობა მეექვსე გეიმში მოპოვებული ბრეიკით დაამოწმა, ორი გეიმის შემდეგ კი, მორიგი ბრეიკით, სეტი თავის სასარგებლოდ დასრულა.

მეორე სეტიც პირველის სცენარით დაიწყო. ბელგიელის მიერ აღებულ ბრეიკს იტალიელმა ჟუსტინის სერვისზე აღებული ქულით უპასუხა. ამის შემდეგ, ჟუსტინმა ზედიზედ სამი გეიმი მოიგო (ორი ბრეიკით) და უპრობლემოდ მიიყვანა შეხვედრა გამარჯვებამდე.

შეგახსენებთ, რომ თუ ჟუსტინი ზედიზედ მესამედაც (სულ მეოთხედ) მოიგებს ტურნირს, მაშინ ის გაიმეორებს ხორვატი (გაამერიკელებული) **მონიკა სელეშის** უპრეცენდენტო მიღწევას. 1992 წელს სელეშმა როლან გაროსის ტიტული ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

ერთადერთი ამერიკელი ქალი ვინც ტურნირს შემორჩა, სერენა უილიამსია, რომელმაც ტურნირი ჰოლანდიელ **მიხაელა კრაიჩეკს** დაატოვებინა. კრაიჩეკისთვის სერენა ბავშვობის კერპია და ორმაგად მონდომებული იყო მის დასამარცხებლად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სერენას მომდევნო მეტოქეა რუსი **დინარა საფინა**, რომელმაც ტურნირი იტალიელ **ფრანჩესკა სკიავონეს** დაატოვებინა.

ფედერერმა კი სამ სეტში მოუგო იტალიელ **პოტიტო სტარაჩეს**. შვეიცარიელი მაესტროსთვის ამ შეხვედრას მორიგი მოთელვის მნიშვნელობა ჰქონდა. ის ისედაც კარგად თამაშობდა, მაგრამ მესამე სეტში კიდევ უფრო მოუმატა და მეტოქეს ერთი გეიმიც არ მოაგებინა. მას ყველაფერი კარგად გამოსდიოდა - მოწოდება, მიღება, ხაზიდან თამაში... მოკლედ, დიდი შანსი აქვს, რომ ზედიზედ მეორედ გავიდეს ფინალში. ოღონდ, ჯერ მეოთხე ბარიერიც უნდა გადალახოს. ამჯერად კი მისი მეტოქე რუსი **მიხაილ იუჟნი** იქნება, რომელმაც ხუან კარლოს ფერეროს მოუგო.



ჟუსტინ ანენი

მერაბ ლორთქიფანიძე

ქაცები

II წრე

იგორ ანდრეევი (რუს)-ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3, 3:6, 6:3, 7:5; **პოლ-ანრი მატიე (საფრ)**-ჟილ სიმონი (საფრ) 3:6, 6:4, 6:1, 7:6(2)

III წრე

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:2, 6:3, 6:0; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მიშელ ლოდრა (საფრ) 6:4, 6:2, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 29)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 7) 6:4, 6:7(4), 4:6, 6:3, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 9)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერბ) 6:3, 6:4, 6:0; **მიხაილ იუჟნი (რუს, 13)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 17) 6:7(3), 7:6(3), 6:2, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 15)**-გაელ მონფილსი (საფრ) 7:6(5), 5:7, 6:4, 7:6(5); **გილერმო კანიასი (არგ, 19)**-კრისტოფ კლიგენი (ბელგ) 6:2, 6:2, 2:6, 6:3; **ხუან მონაკო (არგ)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფრ) 6:4, 6:2, 6:4

ქალები

II წრე

დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 12)-ოლგა პუჩკოვა (რუს) 7:6(6), 6:3

III წრე

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-მარა სანტანჯელო (იტა) 6:2, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 4)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 26) 6:4, 4:6, 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 6)**- სამანტა სტოშური (ავსტრალ, 27) 6:4, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:3, 6:4; **დინარა საფინა (რუს, 10)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 23) 3:6, 6:3, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფრ, 18)**-ელენა დემენტიევა (რუს, 13) 6:2, 6:4; **სიბილ ბამერი (ავსტ, 20)**-ნა ლი (ჩინ, 16) 6:4, 6:3; **ტატიანა გარბინი (იტა, 19)**-სტეფანი კოენ ალორო (საფრ) 6:3, 6:0

იბან მაიო

ჯირო დ'იტალია

მაიოს სადებიუტო გამარჯვება

ჯიროს გუშინდელი, ბოლო სამთო ეტაპი ესპანელი **იბან მაიოს** გამარჯვებით დასრულდა. მაიომ პირველად იასპარეზა იტალიურ წრეზე და თავისი დებიუტი ეტაპის მოგებით აღნიშნა. ამგვარად, ესპანურმა გუნდმა "სონიე დიუვალმა" ამ ჯიროზე მეოთხე ეტაპი მოიგო (მანამდე ეტაპები მოიგეს **ლეონარდო პიეპოლიმ, რიკარდო რიკომ** და **ჯილბერტო სიმონიმ**).

29 წლის ბასკმა ველომრბოლმა შეტევა ბოლო სამთო მონაკვეთის, აღმართ ბალინოს შემდეგ დაიწყო და ბოლო 17 კილომეტრის მანძილზე ახლოს არავინ გაიკარა. არადა, თითქმის მთელი გზა წვიმა უშურველად ასველებდა რბოლის მონაწილეებს.

"გუნდმა შესანიშნავად იმუშავა და როცა მოგების შანსი გამიჩნდა, ის გამოვიყენე. მიხარია, რომ ჯიროზე ჩემი დებიუტი ეტაპის მოგებით აღვნიშნე. ამ გამარჯვებას ჩემთვის ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ჯირო პრესტიჟულია და მისი ეტაპის მოგება განსაკუთრებული მოვლენაა. მეორეც, რაც 2003 წლის ტურის ურთულესი, ალპ დ'უზის ეტაპი მოვიგე, ბევრი ჩავარდნა მქონდა. ამ სეზონის წინ ახალ გუნდში გადავედი, რამაც მოტივაცია გამიძლიერა. ამ სეზონში ეს ჩემი პირველი გამარჯვებაა და ვიმედოვნებ, რომ ის ერთადერთი არ იქნება", - განაცხადა მაიომ, ვინც აქამდე ბასკურ გუნდ "ეუსკალტელ-ეუსკადიში" გამოდიოდა.

რაც შეეხება მალია როზა **დანილო დი ლუკას**, მან რბოლა პელოტონის ძირითად ჯგუფთან და სხვა ლიდერებთან ერთად დაასრულა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლასიფიკაციის მოწინავე ათეულში დიდი გადაადგილება არ მომხდარა. დღეს დროზე ინდივიდუალური რბოლაა, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს, თუ ვინ დალევს მილანში საჩემპიონო შამპანურს.

სხვათა შორის, მე-18 ეტაპის შემდეგ, დი ლუკა და კიდევ ოთხი ველომრბოლი, დოპინგზე შეამოწმეს. საერთოდ, რბოლის ლიდერებს ტესტები რეგულარულად უტარდებათ, მაგრამ ამჯერად, შემოწმება იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგთან მებრძოლმა განყოფილებამ ჩაატარა.

"სულაც არ ვნაღვლობ. მათ თავისი საქმე აქვთ, მე ჩემი. საერთოდ, მითხრეს, რომ საერთაშორისო წესებით, დამატებითი შემოწმება არ უნდა გამევლო და მე მისი გაპროტესტება შემეძლო, მაგრამ ამას ათასი მითქმა-მოთქმა მოჰყვებოდა. მე კი დასამალი არაფერი მაქვს. რამდენჯერაც უნდათ, შემამოწმონ. მე სუფთა ვარ", - განაცხადა მალია როზამ.

ოფიციალურად არავის განუცხადებია, თუ ვინ იყო იმ ოთხ ველომრბოლს შორის, რომლებიც დი ლუკასთან ერთად შეამოწმეს. არაოფიციალური ინფორმაციით, ლიდერის გარდა შეამოწმეს სიმონი, რიკო და **ედი მაცოლენი**.

და კიდევ, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა განიხილავს საკითხს, რომელიც ითვალისწინებს იმ ველომრბოლთა ამნისტიას, რომლებიც თავიანთი ნებით აღიარებენ დოპინგის გამოყენებას. კავშირის დოპინგსაწინააღმდეგო სამსახურის მენეჯერ **ანე გრიპერის** თქმით, თუ ველომრბოლებს ეცოდინებათ, რომ ისინი არ დაისჯებიან, ისინი უფრო თამამად აღიარებენ თავიანთ ქმედებას.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-19 ეტაპი. ტრევიზოდან კომანო ტერმედე (179 კმ)

1. იბან მაიო დიესი (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 4:34.49 (38.862 კმ/სთ); 2. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.43; 3. მარკო მარცანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 1.04; 4. მიხაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 1.08; 5. ევგენი პეტროვი (რუსეთი, ტინკოფი) 1.08; 6. მარიო აერტსი (ბელგია, პრედიქტორ-ლოტო) 2.54; 7. ლორენცო ბერნუჩი (იტალია, T-მობილი) 2.58; 8. მაქსიმილიანო რიკეზე (არგენტინა, კერამიკა პანარია) 3.13; 9. ლილიან ჟეგუ (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 3.13; 10. ხოსეპ ხუფრე პოუ (ესპანეთი, პრედიქტორ-ლოტო) 3.13... 18. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 3.13; 19. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 3.13...

კლასიფიკაცია 19 ეტაპის შემდეგ

1. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 86.46.28; 2. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 2.24; 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 2.28; 4. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 3.29; 5. ედი მაცოლენი (იტალია, ასტანა) 3.46; 6. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 5.19; 7. ევგენი პეტროვი (რუსეთი, ტინკოფი) 8.20; 8. დავიდ არიო დურანი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 10.00; 9. ფრანკო პელიკოტი (იტალია, ლიკიგაზი) 10.39; 10. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 10.55...

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეჯაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, ეზიზ ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ძმითვან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტფედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ, 0159 თბილისი
(დილიდან, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა